

652
1964/3



652/3

Հայկական

ՅԵՐԵՎԱՆ

6

1956



ლიტერატურულ-მხატვრული და
საზოგადოებრივ - პოლიტიკური
შურობა

საქართველოს მფარველთა
კავშირის აპარის
განყოფილების ორგანო

შ ი ნ ა კ რ ს ი

ნ. ნაღაზონია — ლექსები	3
მ. გორბილაძე — სოფლის აღმართი (მოთხრობა)	5
რ. ბრთილაშვი — გზები და მგზავრები (ლექსი)	23
ფ. ჯაფარი — მამა (მოთხრობა)	25
ზ. გორბილაძე — ბარათი დილის (ლექსი)	44
ბ. სანაღორაძე — ბებერი ძაღლი (მოთხრობა)	47
ი. მელიძე — მეგობრობა (ლექსი)	56
ბ. მშენაძე — დათუნია (მოთხრობა)	57
ბ. ზუღლისკერიძე — ლექსები	60

უკანონო ლიტერატურის დეკლარაცია

ორი ლიტერატურის მეგობრობა — ორი ხალხის მეგობრობა	62
მ. შამანი — ვაჟა-ფშაველას ნეშტის გადსვენება (ლექსი, თარგმნა გ. სალუქვაძემ)	65
მ. ვიშნია — სამუაროს წარმოშობა (იუმორისტული მოთხრობა, უკრაინ- ულიდან თარგმნა გრ. სიხარული- ძემ)	67
ი. ნახაძე — ლექსები (თარგმნა მ. ვარშანიძემ)	70

5

1964

საქართველო
ოქტომბერი





ეროვნული
ენციკლოპედია

ლიტერატურული კალენდარი	
ზ. გომორიშვილი — რუსული პოეზიის დიდება (მ. ი. ლერმონტო- ვის დაბადების 150 წლისთავის გამო)	72

პრიტიკა და პუბლიცისტიკა

ბ. სურგულაძე — პირველი ინტერნა- ციონალი და ქართველი საზოგადო- ებრიობა	76
მ. ქსრინძე — ვიქტორ გაბეს- კირია	81
მ. ჩიჭავაძე — ქაქ პერსონაჟთა საკეთილსაღვის „ვეფხისტყაო- სანში“	85

ხელოვნება

მ. შორაშელიანი — რუსთაველის სახელობის თეატრის გასტროლების გამო	89
--	----

ბუნების წარსულიდან

ბ. ტახიძე — წითელფიგურიათა გუ- ტუსი ფიქვენარში	93
---	----

რედაქტორი შოთა ქურიძე

სარედაქციო კოლეგია:

ნ. აბულელიანი, ნ. გვარიშვილი, მ. ვარშანიძე (პ/მგ. მდივანი),

პ. ლორია, აღ. ჩავლეიშვილი, ფრ. ხალვაში.

რედაქციის მისამართი: ბათუმი, გოგებაშვილის ქ. № 24.

ტელეფონები: რედაქტორის — 33-71, პ/მგ. მდივნის — 33-72.

ნესვორ მაღაზონია

ფ ე რ ა დ - ფ ე რ ა დ ი

რა კაცობაა თუ ეინმეს ჩაგრავ,
შენი გულისთვის თუ სხვა დამიწდეს!
წინ გაბედულად იარე, მაგრამ
უკან მოხედვა არ დაგავიწყდეს.

* * *

კაცს არ შეენის ცუდი ჩვევა —
ხალხს გაშორდეს, გაირიყოს.
დე, დავიწვათ, ოღონდ ჩვენგან
სინათლე და სიბოი იყოს.

* * *

გაიმარჯვებს — ცხვირს მაღლა სწევს,
მზეც არ უნდა საზიარო...
ხალხი მხოლოდ მას აფასებს,
ვინც არ ყვირის გმირი ვარო.

* * *

ზომა უნდა ფერ-საღებავს,
საჭებსა თუ საკვიმატეს.
მეტისმეტი ყურადღება
თვით სნეულსაც ტკივილს მატებს.

* * *

ასეა: კაცი ორჯერ რომ იშვას,
დაბადების დღეს არც კი აღნიშნავს.
იდედა რომ იყოს, დავუშვათ, წყვილი,
არ იქნებოდა ესოდენ ტკბილი.

* * *

ცუდია, კაცი ბედს შეურიგდეს,
მორჩილად იდგეს კარების უკან.
უხმოდ ელოდოს, როდის მიუგდებს
ვინმე უფროსი მონარჩენ ლუკმას.

* * *

რამდენიც კაცია, იმდენი გულია,
რამდენიც გულია, იმდენი კაცი.
ზოგ კაცში გულია — მადლის სადგურია,
ზოგში სიაყვია, ღვარძლი და ქაცვი.

* * *

მოწყალება სიმდაბლეა —
თხოულობ თუ გთხოვენ,
დოვლათს ისე უნდა ფლობდე,
როგორც ჰაერს ხოლმე.

* * *

ადასტურებს სჯა და კვლევა,
რომ ილევა ზღვა და მთები.
უფრო ადრე ის ილევა,
რასაც მეტად უფროთხილდები.

* * *

არ იცნობ — ნუ აქებ, ნუ სჯი, ნუ აძაგებ,
გაიცნობ — გამოცდა მიანდე წლებს.
დაურთე გულისხმა, გულის სისპეტაკე,
და მერე ნათქვამი ასწლობით ძლებს.

* * *

პატარა კაცი იმიტაც ფასობს,
რომ დიდი კაცი პატარის ახლოს
უფრო დიდი და ჭკვიანი მოჩანს...
მაგრამ ეს სიბრძნე დიდს როდის ახსოვს.



მიხეილ გორგილაძე

სოფლის აღმართი

მატარებელი მოსახვევს მიეფარა და ხმაურიც მიწყდა. დაცარიელებულ ბაქანზე მარტოდ დავრჩი.

ჩემს სოფლამდე ხუთი კილომეტრი უნდა გამევილო. შარას აუჩქარებლად გავყევი. გზისპირა ჩრდილებს ვეტანებოდი. სუსტი ზღვაური ვერ ანელებდა ზაფხულის მცხუნვარებას.

ბორცვს იქით, შორს, თვალით ძლივს მისაწვდენზე გამოჩნდა ჩემი სოფელი. მწვანით დაფარული გორაკები, მზის შუქზე ოქროსფრად მოელვარე კრამიტის სახურავები.

ნაცნობ სურათს თვალი რომ შევაველე, გული ერთბაშად იქითკენ გაიწია... იდუმალი ხმით მეძახდა ჩემი ბავშვობა.

მეძახდა დაბურული წიფლნარი, ჩუმი ლეღები, სავსე მტევნებით დაზნექილი ვაზი, საწნახლიდან მოჩუხჩუხე მაჭარი. მეძახდა კეთილი ბიცოლა. ექვსი წელია იქაურობა არ მინახავს.

გზა ჭალას მიჰყვა.

ნახად შრიალებდა მიხაკისფრად მობიბინე სიმინდის ყანა, იგი თითქოს ჩურჩულით მაგონებდა განვლილ წლებს. მთელი სოფელი ურმეებზე დავსხდებოდით და ზღვაზე მივდიოდით. განსაკუთრებით შემოდგომა მიყვარდა. ურმებს სიმინდით ან თივით დავტვირთავდით, ზედ არხეინად გავიშხლართებოდით და სიმღერას შემოვძახებდით, ურმები კი ჭრიალით მიიწეოდნენ სოფლისაკენ.

გზის პირას, წყაროსთან. ბებერი თხმელის ჩრდილში ურემი შეიქმნა.
ნე. მეტრამე ხარებს უბამდა.

იასონ ბიძია შორიდან ვიცანი. ნაბიჯი ავეუჩქარე.

ბიძაჩემს დატყობოდა განვლილი წლები. ერთიანად გაჟღერებულ-
ყო. მხრებში ლაღად გაშლილი მაინც მხნედ გამოიყურებოდა. გაჩუქტე-
ბულ ხარს რქაში ძალუმად წაავლო ხელი და უღელში შეავლო. ტაბიკის
თასმა გამონასკვა, კამპო მსუბუქად ასწია და წინსადგარი გამოუშალა.

— გამარჯობათ! — გამოცვლილი ხმით მივესალმე.

შემოტრიალდა. მაშინვე მიცნო. სახე გაეხადრა.

— ამას ვის ვხედავ. — მკლავები გაშალა და მკერდში ჩამიკრა. — რა
ქარმა გადმოგავლო, ბიჭო!

მოულოდნელი შეხვედრით გამოწვეულ მღელვარებას თავი დავაღწიე.
მესრამდე დატვირთულ ახალმოჭრილ თივაზე საწვიმარი ლაბადა მზრუნ-
ველობით გამიშალა. რბილად მოვეწყვე. ნეღლი ბალახის ასეთი მძაფრი
სურნელება დიდი ხანია არ მეგრძნო. ასე მეგრძნა, ბუნების ღრმა სუნთქვას
ჩემი სუნთქვა უერთდებოდა და არაჩვეულებრივი ძალით მავსებდა.

ბიძაჩემიც იქვე მოთავსდა.

ურემი დაიძრა.

— ბიჭო, დედაშენი როგორ არის?

— არა უშავს, მოკითხვა დამაბარა.

— აღარ ჩამოდის? მამაშენის დალუპვის შემდეგ იშვიათად გენახუ-
ლობს. ასე არ ვარგა, შვილო. ერთმანეთი არ უნდა დავკარგოთ.

ბიძაჩემი მართალი იყო. არც დედაჩემის გამტყუნება შეიძლებოდა.
წინათ სოფელში ჩვენც გვქონდა ლამაზი სახლი და პატარა ბაღი. მამაჩემი
ამბობდა, პენსიაში რომ გავალ, სოფელში დავბრუნდებიო, მაგრამ ეს არ
დასცალდა. ახალმა თავმჯდომარემ წინადადება მოგვცა სახლი გავვეყიდა,
მიწა კი კოლმეურნეობას ჩავაბარეთ. დედაჩემი ამის შემდეგ იშვიათად ჩა-
მოდიოდა სოფელში, მუდამ ცრემლი ერეოდა, როცა ჩვენს ნასახლარს გა-
დახედავდა. დედაჩემი წარმოშობით სოფლიდან იყო და გლეხური თავდა-
ვიწყებით უყვარდა მიწა. მე კი ნაკლებად განვიცდიდი. ბიძაჩემის კარმი-
დამოც ჩემად მიმაჩნდა. მას ორი ქალიშვილი ყავდა, ორივენი გათხოვდნენ,
სახლში არც ერთი არ ფიქრობდა დაბრუნებას. მოხუცები სიხარულით ცას
წვდებოდნენ, შვილები ან ჩვენ რომ ვეწვეოდით.

ბიძაჩემმა ქისა ამოიღო. მე პაპიროსი მივაწოდე.

— ბიჭო, თავი არ უნდა მომანატრო. რომ დაგინახე, ასე მგონია მამა-
შენი გამომეცხადა. — მისაყვედურა.

— ჯერ იყო და არმიაში ვიყავი, შემდეგ რუსეთში ვსწავლობდი, რა მექნა, სხვანაირად ვერ მოვახერხე.

— რაცხა ჟურნალისტობაა, დაამთავრე?

— ჰო, სექტემბრიდან მუშაობას დავიწყებ.

— კაცების სიაში ჩაგწერეს?

— როგორც ხედავ.

— შენ კი გაიხარე, შეილო, — დიდრონმა აღგზნებულმა თვალებმა მამისეული სიტბო შემომადრქვია, იგი მთელ სხეულში სიამით ჩამედვარა. სურვილი დამეუფლა მოვხვეოდი და მისი ჭალარა დამეკოცნა, მაგრამ მაკაცურმა სიკერებმა დამძლია.

— ქორწილი ხომ არ გამოგვაპარე?

— არა, არა. უთქვენოდ როგორ გადავწყვეტ.

იასონ ბიძიას ესიამოვნა ქათინაური. ღიმბორეულმა ულვაშებზე გადაისვა ხელი.

— აბა, იცოდე, დაუქორწინებელს არ გაგიშვებ.

— იქნებ, საპატარძლოც გყავს ამორჩეული?

— გიორგისთან სოფლის ექიმი ცხოვრობს. ვარსკვლავს ეთამაშება. ისეთ ბიჭებს სტკიცა უარი, გაკვირვებული დავრჩით.

— მეც რომ მტკიცოს უარი, მაშინ სადღა წავიდე?

— რას ამბობ, ბიჭო! ქვეყანა მოგივლია, ამდენი გისწავლია და ისე წახდები, რომ ერთი გოგოს გულს ვერ მოიგებ?

— ვინ იცის!

— მაშინ სილავანა მოგეხმარება, ადექი და მოიტაცე.

სილავანა ჩვენი სოფლის გლახაა. ბიძაჩემის ნართაულ ნათქვამზე ხარხარი ამივარდა.

გულიანი სიცილი იასონ ბიძიასაც გადაედო.

— ო, ო, ხიი! — მამაკაცის ხმამ ხარები შეაჩერა.

იქით მივიხედე. გზა უცნობ ახალგაზრდას ჯიქურ ჩაეკეტა. მის უკან ჩვენი სოფელი ყარამანი იდგა. დამხვდურთ ეტყობოდათ, ყანიდან გამოსულიყვნენ, ჩექმები ღამისეული ცვარითა და მტვრის ლაქებით აჭრელე-ბოდათ.

სალამი მოგვცეს.

ბიძაჩემმა სალამი ძლივს გაიმეტა. გამიკვირდა.

მდუმარე, უხერხული წუთი ჩამოვარდა.

იასონ ბიძიამ ჯიბე მოიჩხრია. მე დავასწარი და პაპიროსი მივაწოდე.

— იასონ! — ყარამანი ურემს მოუახლოვდა და გაბზარული ხმით და-

იწყო: — ერთი სათხოვარი მაქვს და, მეზობლობას გაფიცებ, უარს ხე/
 ტყვი. ეროვნული
ბიბლიოთეკა

— კი მარა, გაგონილა, კაცს მუდამ სამათხოვროდ ქონდეს საქმე?

— შე კაცო, ისეთი რა გითხარი, თავზე ანასინს რომ მაყრი?

იასონ ბიძიამ ასანთს ნერვულად გაჰკრა და ჩამქრალი პაპიროსი ისევ გააჩაღა.

— ჰა, თქვი რა გინდა, ხომ ხედავ, სახლში მივიჩქარი.

— ხრამთან დიდი მსხლის ხე რომ გაქვს, ის დამითმე. ბიჭი სახლს აშენებს.

— ქვეყანაზე ხე-ტყის მეტი რა არის, რაღა ჩემსას დაადგი თვალი?

— წაწვალის თავი არ მაქვს. ტეხა-კრეფამდე გვინდა სახლი გადავხუროთ.

— სხვისი ქონებისაკენ ნუ გძლევეს სული. თავი შეიწუხე. ღმერთი არ გიწყენს.

— ამ უცხო კაცთან თავს რად მჭრი, იასონ, ვის რა წავართვი?

— გეიხსენე, მერგოლური რომ იყავი, რამდენჯერ შეიჩინე ჩემი ნაოფლარი.

— ერთი რაცხა მოხდა და ველარ მოინელე? ღმერთს გეფიცები, ტაბელში გატარება დამავიწყდა.

— იასონ ბიძია, — საუბარში ჩაერია ახალგაზრდა, — ჩამორთმეულ ნაკვეთშია; ხომ იცით, თქვენ არ გეკუთვნით.

— სოფელს სამამულე ტყე ჰქონდა, გაჩეხეთ და გაყიდეთ. იმდენი ბამბუკი და აკაცია იყო, საშვილიშვილოდ იემარებდა, ისიც გაანიავეთ. ახლა ჩემი მსხალი არ გაძლევთ მოსვენებას?

— თქვენი აღარ არის, ამ აზრს ველარ შეეჩვიეთ?

— თუ ჩემი არ არის, სოფლის ხომ არის? ორ ტონაზე მეტ მსხალს ისხამს, ხალხმა ისარგებლოს. რაც ხალხს მორჩება, ღორმა შეჭამოს, ისა ჯობს...

— ამდენ დავიდარაბად ღირს ერთი ძირი ხე?

— ყარამანს მაინც არ მივცემ. ეს რომ კარგი კაცი იყოს, ერთადერთ შვილს არ გაეყოფოდა, სხვა რა გააჩნია ქვეყანაზე, მაგრამ ხალხმა გაყოფის მიზეზიც იცის.

— მერე მაგით შენ რას კარგავ? — თვალები მტრულად აემღვრა ყარამანს.

— შენთვის აღარც სახელმწიფო კანონი არსებობს და აღარც სამართალი?

— უარით გვისტუმრებ?



— ის ხე საჭირო რომ არ იყოს. ცუდი მეც კი მაქვს. ბიძიკო — თანხმობით დაგვითმე. თორემ ბაყს გადავიხდით და მაინც ვერაფერი გავაყენებთ. — რით, კოლექტივის ეკუთვნის. — ხმას აუწია ახალგაზრდამ.

— მაინც მოვჭრითო? — ერთიანად ანთებული ბიძაჩემი მუხლებზე წამოიმართა. — მორიგდით. ხომ? მაგასაც ვნახავ, რა მომჭრელი ხართ. გასწი, ირემავ! — შეუძახა ხარს და თან შოლტი ისეთი გამეტებით მოიქნია, დაფეთებულ ხარებს ყარამანმა და მისმა თანმხლებმა გზა ძლიერს უტიეს.

მოსახვევს გავცილდით.

იასონ ბიძიამ რამდენიმე ნათაზით პაპიროსი ყუამდე დაიყვანა.

— თფუ, მაგათ გაჩენას. ხასიათი გამიფუჭეს.

— ის, მეორე, ვინ იყო?

— ჩვენი ბრიგადირია.

— ბრიგადირი?

— ჰო, თავმჯდომარის ცოლისძმა. სამი წლის წინათ ჩამოასასლა და ბრიგადირად დაგვიყენა. ჯერ იყო და კოლმეურნეობის ფართობიდან საუკეთესო ნაკვეთი საკარმიდამოდ მისცა. შემდეგ იყო და მუქთად სარგებლობდა ხე-ტყეს და მუშახელს. ეჰ... — ღრმად ამოიხვნეშა და გაჩუმდა.

— ხალხი რას ამბობს?

— ხალხი? ხალხს მოთმინება რომ არ ეყო, საერთო კრებაზე ალაპარაკდნენ. ზევიდანაც ესწრებოდა. მაგრამ მერე რა!

— როგორ თუ რა?

— კარგი ორგანიზატორიაო, გეგმებს გადაჭარბებით ასრულებსო. ამ დანაშაულისათვის კი დავსჯითო. არ მოუხსნიათ. ხასტიკი საყვედური აკმარეს, სხვების დასანახავად რაღაც გადაახდევინეს. ეჰ. — ისევ ამოიხვნეშა ბიძაჩემმა. — განა ცოტაა სულმდაბალი? ეტყობა. ბევრს აუხვია თვალი. ერთს თუ აამეს, ამ ამბის მოწმე კათასი უკმაყოფილო რომ დარჩა, ამაზე აღარ ფიქრობენ?

აღარ ჩაეძიებია. გაღიზიანებას მოვერბინე. ჩემთვის ყველაფერი ისედაც ნათელი იყო. საქმე მხოლოდ მსხლის ხეს როდი შეეხებოდა. ბიძაჩემის გულისტკივის უფრო ღრმა ფესვები ჰქონდა.

ხარებმა ღელე საურმე გზით ჩაჭრეს. ოდნავ შეიმუხლეს, წყალი დალიეს და ისევ დაიძრნენ.

სოფლის აღმართს ავეყვით. ირგვლივ ყველაფერი შეცვლილიყო. განაპირა ტყეები უკვალოდ გამქრალიყო. საითაც თვალი მიმიწვდებოდა, ციტრუსისა და ჩაის პლანტაციები ჩანდა. გზის ორივე მხარეს მესრის მაღალი ღობე მისდევდა. აგერ მაღლარი ეენახი მოხვევია ვაშლის ხეს და

კალთა მის ტოტებზე გაუშლია. მსხლისა და ატმის ხეები ერთმანეთში გადახვეულა. ჰაერი მწიფე ნაყოფის სურნელებითაა გაედენილი.

— რა სიმდიდრეა, რა სილამაზეა. — ვედარ მოვითმინე, უჩუქნულო მოვდექი, გზის პირად გადმოხეჩილ ტოტებზე რამდენიმე ცხელი ყვეს მოვწყვიტე.

— ჰო, შვილო, არაფერი გვაკლია. ბედს არაფერ ემდურის, მაგრამ ცხოვრება უფრო სასიამოვნო იქნებოდა, ზოგიერთი ტყვიის რომ არ გვაყენებდეს. — თქვა ბიძაჩემმა.

არ იქნა, აკვიტებულ ფეხებს თავი ვერ დააღწია, ვერ დაიბრუნა ადრინდელი განწყობილება. არც იყო გასაკვირი. ბიძაჩემი საკმაოდ ნაკითხი კაცია. იარაღით იბრძოდა იმისათვის, რაც ჩვენმა ხალხმა მოიპოვა. ორი მსოფლიო ომის მონაწილეა. ათი წელი თავმჯდომარედაც მუშაობდა. ფრონტიდან დაბრუნების შემდეგ ხალხმა ისევ დაასახელა თავმჯდომარედ. მაგრამ არ დაეთანხმა. ძველებურად აღარ შემოძლიაო. ბუნებრივია. იგი მტკივნეულად განიცდიდა სოფლის ავკარგს.

* * *

სანამ ბიცოლაჩემი სამზარეულოში ტრიალებდა, ჩვენ ბაღში ჩავედით. ბაღი უფრო გაზრდილი, გაფართოებული მეჩვენა. ვეებერთელა ვაშლისა და ბლის ხეები აენახათ და მის ადგილას ციტრუსი და ჩაი გაეშენებინათ.

ლობის მიღმა, მამაპაპისეული უზარმაზარი მსხლის ხე ისე იყო გადაბარდნილი, მთელ ხრამს ამოავსებდა. მაშინვე სიხარბით ამღვრეული ყარამანის თვალები მომაგონდა.

ლობესთან სოფლის ბიჭუქელები გამოჩნდნენ, ზოგს გიდელი ეჭირა ხელში, ზოგს ჭილის კალათი.

— ბაბუა იასონ, თუ არ გეწყინებათ, მსხალზე ავალო. — ისეთი ხმით დადმოგვძახეს, დარწმუნებული იყვნენ, უარს არაფერ ეტყოდა.

— კი, შვილებო! ნება რად გინდათ, მთელ სოფელს ეყოფა! მხოლოდ ფრთხილად იყავით, ხიფათი არ მოიწიოთ.

ბავშვები დაღმართზე გაქანდნენ, ბამბუკის კიბეს აჰყვნენ და ფოთლებში მიიმაღლნენ. თითქოს შემთხვევას ელოდნენო, ღორების მთელი ჯოგი გაჩნდა მსხალთან.

უკან რომ დავბრუნდით, სახლს გვერდით, ვენახის ტალავერში ქალიშვილი ფუსფუსებდა. ყვავილებით მოხატულ ჩითის კაბაში მოჩანდა მიწილდელი ნაკვთები, თეთრი მკლავები, ქამრით შებოჭილი ვიწრო წელი.

მივხვდი, რომ ეს იყო სოფლის ეჭიმი ქეთევანი. ბიცოლაჩემის გადმოცემით მე უკვე ვიცოდი, ისეთი ლამაზი, გამარჯე ქალი მეორე არ მოიძებნებოდა.

იგი ტალავერის შესასვლელთან შემოგვეგება.

— ქეთევანი, — ღიმილით მითხრა და ხელი შინაურულად გამოიწყო — თბილი ღიმილი არ შორდებოდა მის ბავშვურ და მიმზიდველ სახეს. დიდრონ ზღვისფერი თვალებს.

თავი უბრალოდ, თავისუფლად ეჭირა. კარგად აეწყო საუბარი.

ბიძაჩემი ღვინის მოსატანად წავიდა. ქეთევანმა ტალავერა ქვეშ მიმიპატიჟა, აქ მეტი სიგრილეაო, მითხრა.

მე გრძელ სკამზე ჩამოვჯექი. ქეთევანი მაგიდის გაწყობას შეუდგა.

სამზარეულოს ღია კარიდან მოუსვენრად გამოგვეყურებდა ცნობის-მოყვარეობით შეპყრობილი ბიცოლაჩემი. მას, ალბათ, მოუთმენლობა სძლევდა, სანამ ჩემს გულში ჩამოიხედავდა.

— როგორ შეეჩვიეთ აქაურობას? — შევეკითხე საქმით გართულ ქეთევანს.

მან წამით მომაპყრო თავისი თბილი, ზღვისფერი თვალები.

— აქაურობას ვინ არ შეეჩვევა?! კეთილი, მოყვასი ხალხია. სოფელს სიმდიდრე და სილამაზე არ აკლია.

პატარა, მრგვალ მაგიდაზე თევზები ჩამოაჩვიდა, ქალაღის ხელსახო-კებზე დანა-ჩანგალი დააწყო, კალათიდან ბროლის პატარა ჭიქები ამოიღო.

— ქეთინო, შეილო, ერთი მც მომეშველე. — სამზარეულოდან გამოსახა ბიცოლაჩემმა.

— თქვენ არ მოიწყინოთ. ახლავე დაგბრუნდები. — ღიმილი შემო-მაფრქვია და წავიდა.

სალამოს ბინდი ჩამოწვა. მე წამოვდექი და ელნათური ავანთე. ვარ-დისფერი მტევნებით დატვირთული ტალავერი მოხატულს დაემსგავსა.

ქეთევანი ბიცოლაჩემთან ერთად დაბრუნდა. მათ მოჰყვა შემწვარი და წვნიანი ქათმების, ცხელი ხაჭაპურების მადის აღმძვრელი სურნელება.

— იასონ, სად დაიკარგე, კაცო, გაცივდება საქმელი! — ტალავრიდან გამოსულმა ბიცოლაჩემმა გასძახა ბიძაჩემს.

ღვინით სავსე დოქით ბიძაჩემი მალე დაბრუნდა.

ქეთევანმა ისე მოხერხებულად განალაგა მაგიდაზე კერძები, რომ სი-ამოვნებით შეეცურებდი მის საოჯახო ხელოვნებას.

— თქვენ დიდებული დიასახლისი ყოფილხართ.

— ოჰო, კომპლიმენტი! — ტკბილად ჩაიკისკისა და აღმაცერად გა-დმოხმედა.

— არა, გულით გეუბნებით.

— თქვენებმა მასწავლეს.

— სადაური ხართ, ქეთევან?

— მე? როგორ ვითხრათ, თბილისში ვსწავლობდი.

— მშობლები იქ არიან?

ქალიშვილის წყნარ, მიმზიდველ თვალებში ღრმა სევდა ჩაღვნილი იყო. ისე გადმოხედდა, თითქოს მის ჭრილობას დაუდევრად შეეხებოდა. ჩაღვნილი
გაღვნილი

— მშობლები არ მყავს, არც ვინმე ნათესავი. საბავშვო სახლში აღ-
ვიზარდე.

ეტყობოდა, მეტისმეტად მტკივნეულად განიცდიდა ობლობას, ნათე-
საურ მარტობას. მინდოდა მაშინვე გამომეყვანა მოგონებებით აღძრული
მტანჯველი განწყობილებიდან, მაგრამ ისეთი ვერაფერი მოვიფიქრე. ბი-
ძაჩემი წამომეშველა.

— რას იზამ, შვილო! — იასონ ბიძიამ მხარზე თანაგრძნობით მოხვია
ხელი, — ბედის სამდურავი მაინც არ გეთქმის. იმდენი ამხანაგი გყოლია, ფო-
სტალიონმა თქვა, დღე არ გავა, წერილი არ მიიღოსო. ღვთის წყალობით,
შენი შესაფერი ვაჟკაცი ამოვიდგება მხარში და ნათესავებს თუ არა, მოყვ-
რებს საკმარისად გაიჩენ.

მაგიდას შემოვუსხედით. იგი სავსე იყო სოფლის სიმდიდრითა და
სიმსუყით.

ვახშმის შემდეგ ქეთევანი გავაცილე.

თქალწარმტაცი ღამე იყო, მშობლიური სოფლის მყუდრო, მშვიდი
ღამე. სავსე მთვარე ცის გუმბათიდან დაქათქათებდა მიძინებულ დედამი-
წას. ნიავს ბალებიდან ყვავილნარისა და მწიფე ხილის საამო სურნელება
მოჰქონდა.

ბებერი თუთა მესრებს იქიდან შარას მთელი ტანით გადმოდგომოდა.
დაზნექილ ტოტებზე ლალისფრად ბრწყინავდა სავსე მტევნები. ფეხის
წვერებზე წამოვიმართე და ვენახის ლერწს მივწვდი. ქეთევანიც წამომეშ-
ველა, კისკისით დაიჭირა დაზნექილი მტევნები და აი, მაშინ ვიგრძენი მი-
სი სხეულის ამაფორიაქებელი, დამატრობელი სიახლოვე.

* * *

გვიან გამელვიძა. მზე უკვე საშუაღლეოზე ამოცურებულიყო.

ქის ცივი წყლით ხელ-პირი დავიბანე, შემდეგ ბიცოლაჩემი მოვიკით-
ხე, მაგრამ ის აღარსად იყო. საუზმე მაგიდაზე დაეწყო და გაზეთი გადაე-
ფარებინა.

საუზმე არ მინდოდა, ხილს დავეტანე, შემდეგ ორლობეს დავადექი.
ნაცნობებს დავეძებდი, მაგრამ ვერავის შევხვდი. სოფელი სამუშაოზე გა-
კრფილიყო.

ღელემდე ჩავედი. მამაპაპური წისქვილი საცოდავად ჩახვსებულ-
ყო. კედლები ჩანგრეოდა, უბატრონოდ მიტოვებული საგუბარი წყალს

წაშალა. ახლა ასე შორს ვინ წაიღებს საფქვავს! ყველა ბრიგადის კლექტროწისქვილი უდგას, წინათ კი... წვიმაში წამოგვეკიდებდნენ და ვიდან ლაბადას დაგვახურადნენ და ჰაიდა, ფეხშიშველი მივტანტალავდით და მივარღვევდით გუბეებს.

აღმართს მოვერიდე, შორი გზიდან დავბრუნდი.

მოწყენილობა რომ გამეფანტა, ბაღში ჩავედი, მწიფე ატმები, მსხლები და ყურძენი დავკრიფე, შემდეგ ჭიდან ცივი წყალი ამოვიღე და დოქები ავახსე. საჩემო საქმე ვერაფერი ვნახე.

ბიცოლაჩემი ადრე დაბრუნდა. სანამ ვახშმის თადარიგს შეუდგებოდა, ტალავერში ჩამოჯდა და დაისვენა.

— ამდენი სად შეგიძლია, ბიცოლა? თავს მიხედე, ოჯახს მიხედე.

— ბარე რომ აღარ შემიძლია, მარა სოფელს რომ უჭირს, სახლში რა გამაჩერებს. ისეა ჩაი შემოსული, აე თვალს არ ენახება.

— ჩაის ახალგაზრდებიც მოკრეფენ, შენ, ალბათ, სამოცს აღარაფერი გიკლია.

— ეჰ, შვილო, ახლა ახალგაზრდები სხვანაირად ანგარიშობენ, უმეტესობა სასწავლებელში მიდის და უკან აღარ ბრუნდება. სოფლიდან გაგზავნილი ფული ძალიანაც უნდათ. იმ ფულის საშოვნელად ოფლის დაღვრას კი არ ფიქრობენ.

— ცოტაც და ყველა სამუშაოს ადამიანის მაგივრად მანქანები შეასრულებენ. ხომ ხედავ, უკვე ჩაისაც ჭკვიანი მანქანები კრეფს.

— ეგ არაფერი, შვილო. მუშაობას ვინ მოუკლავს! რომ მითხრან დღეიდან დაჯექი და ხელი არ გაანძრიოო, ალბათ, ჭკუიდან შევიშლები. ჩემს მეხსიერებაში ხალხი ფაცხებში ცხოვრობდა. ახლა გახედე, სოფელში ღარიბს ვერ ნახავ. ყველაფერი ეს კაცის მარჯვენამ შექმნა. ჩვენი ნუ გეშინია, ისე არ წავხდებით, შენი შვილის ქორწილს არ მოვესწრათ, მხოლოდ დედაშვილობას გაფიცებ, მართალი მითხარი. ვინმე თუ გყავს ამორჩეული?

ბიცოლაჩემი ისეთი მავედრებელი თვალებით შემომყურებდა, კითხვას ბანზე ვერ ავუტდებდი. ამიტომ იყო, რომ პირდაპირ ვუთხარი:

— არა, ბიცოლა, გადაწყვეტით არავინ ამომირჩევია.

— მერედა, შვილო, ქეთინოს რა აქვს დასაწუნი, ანგელოზია, ადამიანს ცივ ქვაზე დაასახლებს. ამ ხნის დედაკაცი ვარ და მასეთი ოქრო ხასიათის ქალი ჯერ არ მინახავს.

ვიგრძენი, რომ სახეზე სიწითლე გადამელვარა. ქეთევანთან გატარებული ერთი საღამოც საკმარისი აღმოჩნდა, რომ მას დაეჩრდილა ყველა ქალი, რომლებზეც ოდესმე შეფიქრა. მაგრამ ჯერ ბიცოლაჩემისათვის არ



შეიძლებოდა ყველაფრის გამხელა, მოთმინება არ იყოფოდა, საჩუქრული შეენახა. ასეთი თავდაუშვრლობა ქეთევანსაც გააღიზიანებდა. ზიზღიერებდა.

— იქნებ, სხვა უყვარს, იქნებ, მე არ მოეწონვარ, მაშინ რაღას იზამ?

— ნამდვილად ვიცი, რომ მოსწონხარ, წუხელ გადმომკრა, თქვენს რძლობას ვინ არ ისურვებსო.

— დარწმუნებული ხარ, რომ საქმრო არ ყავს?

— გადაწყვეტილი რომ ქონდეს, დანიშნულიც იქნებოდა. პაერზე ნათქვამ სიტყვას რა ფასი აქვს. სიტყვა ერთია, საქმე მეორე.

სიცილი ამივარდა.

— რა გაცინებს, — გაცხარდა ბიცოლაჩემი, — ასეთი ანგელოზი ქალი მისით კი არ ჩამოგიწვება ლოგინში, თავი უნდა შეიწუხოს.

იგი სამზარეულოში წავიდა.

თავი ვერ დავაღწიე ქეთევანზე ფიქრს. ვჩქარობდი მასთან შეხვედრას. უკვე მენატრებოდა მისი ზღვისფერი თვალების თბილი ციმციმი, ხალისიანი საუბარი, თავისებური, ჩუმი, აღერსიანი ღიმილი.

შარას დავადექი.

სიცხე აღარ იგრძნობოდა. გადახრილი მზე მაღალ ხეებს მოფარებოდა. მოსახვევში დავლანდე. მსუბუქი, პაეროვანი ნაბიჯებით მოდიოდა. საჩაფანა კაბაში ნათლად ისახებოდა საესე მკერდი, ქამრით შებოჭილი ვიწრო წელი.

— საით გაგიწევიათ? — მკითხა და შემომღიმა.

— რატომ დაიგვიანეთ? — საყვედური ეუთხარა.

— აი თურმე რაში ყოფილა საქმე, — გულიანად გადაიკისკისა, — მაშ, მელოდით?

— როგორც ხედავთ.

— მხოლოდ ერთი რამ არის გაურკვეველი.

— მაინც რა?

— ასეთი მოქმედება გულისხმიერებაში ჩამოგართვათ, თუ რაიმე სხვა გრძნობა გამოძრავებთ?

— ჩემს პასუხს განსაკუთრებულ მნიშვნელობას მისცემთ?

— დიახ. ამიტომ გთხოვთ გულწრფელი იყოთ.

— მიგიხვდით. თქვენ, ალბათ, ისურვებთ გითხრათ, რომ მხოლოდ პირველი მიზეზი მძლევეს... მე ტყუილის თქმა არ შემიძლია...

თვალი მოვარიდე, დაუმთავრებელი ფრაზა მისთვის გასაგები იყო.

— სამწუხაროა, მაგრამ რა ექნა, დასჯის უფლება არა მაქვს: თქვენებს ანგარიშს ვუწევ, თანაც ჩემს სტუმრადაც გთვლით.

შინაურულად შემოძლვა იასონ ბიძიას ეზოში. ტალავერში ბიძის
უკვე მოეტანა ახალდაკრეფილი ხილი.

— ოჰ, რომ იცოდეთ, როგორ მიყვარს ხილი. მე რომ მკითხონ, ქვეყანას ხეხილის ბაღებად გადავაქცევდი.

მწიფე მსხალი შეარჩია.

ჩამოვჯექით. მალე იასონ ბიძიაც შემოგვეერთდა.

საიდანაც გიორგიც გაჩნდა, მამაჩემის ბიძაშვილი, ის, ვისთანაც ქეთევანი ცხოვრობდა.

იასონ ბიძიამ მაგიდასთან მიიპატრუა. ხილი მიართვა, არაყიც გადააკურენა.

— იასონ, — მძიმედ დაიწყო გიორგიმ, — კი მიჭირს თქმა, მარა რა ვქნა. ორი სიტყვა არ მომეტანა?

იასონ ბიძიამ ცივად გადახედა.

— ბრიგადირმა და ყარამანა ყიამყრალმა გამოგზავნა, ხომ?

— ჰო, სული ამომხადეს, ეგებ დაითანხმოო.

— შვილებს გაფიცებ, ერთი შითხარი, ჩემს ადგილას რომ იყო, რას იზამდი?

— შვილებს რას მაფიცებ, კაცო, ისეც გეტყვი. მაგი მსხალი ისეთი დალოცვილი ჯიშისაა, ბრიგადას ყოფნის, მარა რა გინდა რომ ქნა, მათ გადაკიდებას ყველაფერი ჯობია.

— ვითომ რას დამაკლებენ? არა, ღირსი არ არის. ვინმე პატროსან კაცს ან გაჭირვებულს რომ უნდოდეს, კიდევ ჰო, დოვუთმობდი, ყარამანას ჩხირსაც არ მივცემ.

— იასონ, იცოდე, არ მოგეშვებიან, ჯობია მისცე და მოიცილო.

— რატომ არ მომეშვებიან, კაცო?

— ვერ ხედავ რამხელა ხეა? მთელი სახლის კოჭები გამოვა.

— ჰოდა, ასე უთხარი, მანამდე გვერდები არ აგიდგეთ, სანამ არ მოგაჭრეწინოთ-თქვა. ახლა გავათაოთ მაგაზე ლაპარაკი, ქალს ეახშამი მოაქვს და, თუ კაცი ხარ, შემარგე.

* * *

ჩიტების ყლურტულმა გამომალვია. უკვე გათენებულიყო.

აივანზე გამოვედი. აქ უფრო მძაფრად იგრძნობოდა ყვავილნარისა და მწიფე ნაყოფის ტკბილი სურნელება.

ბიძაჩემს სამზადის გვერდით კუნძი წაექცია, ზედ ცალი ფეხი დაეგჩინა და მჭრელი ცულით ჩეხავდა. სამზადის ღია კარიდან მოჩანდა ახალგაჩაღებული კერა. ცეცხლიდან აღენილი სიფრიფანა კვამლი კრამიტის სახურავის კრილებიდან მოიპარებოდა და მაღალი ხეების ტოტებში იფან-

ტეზობდა. სადღაც, მიღმა, ბიცოლაჩემის ტკბილი ღუღუნის ისმოდა, მაგრამ
ეალერსებოდა. მის ხმას უერთდებოდა ჩამოწეული რძის ჩხრჩინება. ^{გინჯიერს}
ტაც და ბიცოლაჩემიც გამოჩნდა. ხელში სარძევე ვედრო ეჭირა. აივანზე
რომ შემამჩნია, ადრე ამდგარხარ. შევილოო, ტკბილად გამომელაპარაკა.
მის „შვილოში“ იმდენი გრძნობა იყო ჩაქსოვილი, რომ ძარღვებში სასიამოვნო
სითბო ჩამელვარა.

ეზოს უკანა ჭიშკარმა გაიჭრიალა. ჭიშკარი არ ჩანდა, მაგრამ აშკარა
იყო, ვიღაც ჩამოვიდა.

— ჰეი, მეზობლებო, ხომ ყოჩაღად ხართ? — იკითხა ქალის სათუთმა
ხმამ. ქეთევანი იყო. ბიცოლაჩემის თქმით, შემთხვევა არ ყოფილა. სამსახურში
წასვლის წინ მათთან არ გამოველს და ამბავი არ ეკითხა.

— ოჰ, შენ კი გაიხარე. ჩემო ანგელოზო. — ბიცოლაჩემი მიეგება.
ეტყობოდა, სარდაფში შევიდნენ, კარი ხმაურით მიეჯახა კედელს. ცოტა
ხნის შემდეგ ქეთევანი გამოჩნდა, ხელში ყურძნის მტევანი ეჭირა.

მალა ამომხედა და ხელი დამიქნია.

— დღეს რაიონში მივდივარ. თუ დამაგვიანდეს, არ ინერვიულო. —
დაცინვით მომამახა და დაცვარული ეზო გადაჭრა. მე თვალი მანამდე არ
მომიშორებია, ვიდრე მოსახვევს არ მიეფარა. შხის სხივებით აკიაფებულ
დაცვარულ მინდორზე დარჩა მისი პატარა ფეხის ანაბეჭდი.

საუზმის შემდეგ ბიძაჩემს ეთხოვე, სამუშაოზე წავეყვანე. ხელები მე-
ქავებოდა, რამდენი ხანია ყანაში არ მიმუშავია, ნეღლი მიწის სურნელე-
ბა არ მიგრძნია.

თოხის ტარზე საკმელებიანი ჩანთა წამოვაგე და მხარზე გავიდე. მე-
ორე ხელში წყლით სავსე დოჭი დაეჭირე, ხარები გავრეკეთ და პლანტა-
ციისაკენ გზას გავუდექით.

ხარები ჭალაში საბალახოზე თოკით ჩაეაბით, ჩვენ ციტრუსის ბაღში
გავედით.

ხრამის პირას ეკალ-ბარდი მომძლავრებულიყო. ნაპირში ჩავდექით და
შამბნარს შევუტრეთ.

სანამ მზე საშუაღლეოზე წამოდგებოდა, არ შეგვისვენია. ვცდილობ-
დი ბიძაჩემს არ ჩამოვრჩენოდი. მიჭირდა, მაგრამ ისტებარს არ ვიტყვდი.
ნაპირს გულდაგულ მივყვებოდი. გარჯისა და სიცხისაგან ოფლად ისე გა-
ვიღვარე, რომ პერანგი მთელ ტანზე შემომეწება. კუნთებიც მომიდუნდა.

როგორც იქნა, გავიტანეთ ერთი ნაპირი.

ჩრდილი შევარჩიეთ და უმაღლეს მწვეანზე გავიმხლართე. მთელი სხე-
ული ისე მომიდუნდა, რომ ძლივს ვინძრეოდი. ასე მეგონა, საცაა სახსრებ-
ში დავიმლებოდი.



— გაგიჭირდა? — თანაგრძნობით მკითხა იასონ ბიძიამ.

— ჰო, ადვილი არ არის.

— ასეთი სიმწრით ნაჯაფი რომელიმე უქნარამ რომ წაგგლიჯოს, რა ხასიათზე დადგები?

— რა ვიცი, ალბათ, თავს გავუტეხავ.

— ო, ო, ო, მაშინ რამდენი თავი გატყდებოდა? — ჩაიცინა იასონ ბიძიამ.

— თუ კი ასეა, რატომ არაფერს ამბობთ?

— ამბობენ, მაგრამ იქ კი არა, სადაც საჭიროა. ერთმანეთს უზიარებენ გულის ტკივილს. მე პარტიული კონტროლის საგუშაგოს წევრი ვარ. ამას წინათ დამავალეს შემემოწმებინა ერთი ანონიმური წერილი, ჩაის მიმღებ პუნქტზე მწონავმა ზუთი კილოგრამი ჩაი დააკლო კოლმეურნესო. ეს სისტემატურად ხდებოდა. სიგნალი დადასტურდა. დაზარალებულს საჩივარი მაინც ვერ დავაწერიე. ყველას აკლებს, სხვამ დაწეროსო. იყო შემთხვევა, რომ კოლექტიურადაც უჩიოდნენ. მერე რა, გამოუჩნდა მფარველები და იმით „დასაჯეს“, რომ სხვა პუნქტში გადაიყვანეს.

— არ უნდა დათმობ.

— გვაკლია ერთსულოვნება, პარტიული პირდაპირობა. ზოგჯერ თვალს ვხუჭავთ აშკარა დანაშაულზე. რაკი ეკონომიურად არ უჭირს, ზოგიერთი იტანს ერთეულ უსამართლობას, ზოგიერთი კი ელოდება უფრო გაბედულს, დამწყებს, შემდეგ კი მზად არის ბანი მისცეს.

— არა, მასე არ ვარგა.

— საქმეც ეს არის. ისეთები, რომლებიც სახელმწიფოსა და ხალხის ინტერესების საწინააღმდეგოდ იყენებენ თავიანთ თანამდებობას, მიწასთან უნდა გაასწორო, თორემ ეს რასა ჰგავს?

დავისვენეთ, ცოტა წავთვლიმეთ.

შიმშილმა გამაღვიძა. ბიძაჩემს უკვე გაეწყო სახელდახელო სუფრა.

ისე მაღიანად არასოდეს მიჭამია. ცივ მჭადსაც უჩვეულო გემო მისცემოდა.

მეორე ნაპირი უფრო პატარა აღმოჩნდა. ადრე დავამთავრეთ. ჭალაში ჩავედით, ხარებს წყალი დავალევიეთ და სახლისაკენ გავუყევით.


სანამ იასონ ბიძია ხარებს თოკს ხსნიდა. მე ეზოში შევედი.

შეშფოთებული ბიცოლა შემომეგება. მოხუცი ძლივს ლაპარაკობდა.

— დედაშვილობას, მიშველე, ფათერაკს გადამარჩინე.

— რა მოხდა ასეთი?

— მსხალი მოჭრეს. მეშინია კაცი არ გადამერიოს. ის ოჯახდაქცეულ-





ლები იქ მაინც არ დაუხვდებოდნენ. ცხელ გულზე ვინ იცის, რა იქნება მხოლოდ მსხლის ხეს როდი ეხებოდა საქმე. მთავარი ის იყო, რომ ბიძაჩემს ანგარიში არ გაუწიეს, არაფრად ჩააგდეს, ვერაგულად მოიქცნენ, დრო იხელთეს და ისე მოჭრეს.

დამიჯერებდა? დათმობდა?

ბიძაჩემს საეჭვო ხმა გაეგონა. იგი აღელვებული შემოიჭრა ეზოში.

— ხრამიდან ისმის, ხომ?

გაირინდა და ყური დაუგდო.

— მაგ ძაღლიშვილებმა თავისი მაინც არ მოიშალეს? — მხოლოდ ესა თქვა. წამიც არ დაფიქრებულა, მაშინვე გაქანდა იქითკენ.

სიტყვის თქმაც ვერ მოვახერხე. ალბათ, მაშინ არ მომისმენდა. კიდევ კარგი, რომ თოფი არ მოგონებია.

ხევის მხარეს ყველაფერი გამოცვლილი მეჩვენა, თითქოს ცას ფარდა ჩამოგლეჯოდა, თითქოს მთელი მთა მორღვეულიყო. ვეება მსხალი ღობის გასწვრივ ჩაწოლილიყო. ხუთნი მუშაობდნენ, აჩქარებით ჩეხდნენ ტოტებს. ხეს ტანი ისე განიერი ჰქონდა, რომ ზედ ორნი მხარიმხარ იდგნენ და ერთ-მანეთს ოდნავადაც არ უშლიდნენ ხელს.

როგორც კი ბიძაჩემი დალანდეს, სხვებმა მუშაობას თავი მიანებეს და გვერდზე გადგნენ.

შუა ხეზე მარტოდ დარჩენილი ყარამანი ისე მოჩანდა, თითქოს უფსკრულის პირას იდგა. ვერ გადაეწყვიტა, გაქცეულიყო თუ ჯიქურ დახვედროდა. ჭროლა თვალებს არ ამორებდა ბიძაჩემს.

ბიძაჩემი ღობეს მიაწყდა. მესერი მაღალი იყო, ვერ გადავიდა. არც დაფიქრებულა, ფეხის მძლავრი კვრით მესერი გაამტვრია და იქით მხარეს გაიჭრა. მისი დაჭერა ვცადე, მაგრამ გვერდით გამიქნია. აი მაშინ მიხვდა ყარამანი, რომ საქმეს კარგი პირი არ უჩანდა.

— იასონ, მეზობლობას გაფიცებ...

— ახლა გაგახსენდა მეზობლობა, შე წუბრელავ? — ბრგე მოხუცი ისე მსუბუქად აიჭრა გადანაჩეხზე, რომ მივხვდი, ჯერ კიდევ ბევრი შეეძლო. ყარამანმა ბასრი ცული ხელში შეათამაშა.

— ახლოს მოსვლა არ გაბედო, თორემ ცოლ-შვილს გეფიცები, გაგათავებ!

— შე უნამუსო, სისხლსა მწოვ და კიდევ მემუქრები? — იასონ ბიძია გადანაჩეხიდან წაქცეული ხის ტანზე გაჩნდა.

— ხალხო, დაიჭირეთ, ცოდვაში ნუ გამასვრევინებთ ხელს. — დაიყვრა ყარამანმა, მაგრამ ბიძაჩემის დაჭერა აღარავის შეეძლო, მათ შორის სამიოდენ ნაბიჯი დარჩენილიყო.



მაშინ ყარამანის ცულმა სახიფათო წრე მოხაზა ბიძაჩემის ცხენსა ღებოდა. ვიდრე ის მეორედ აღმართავდა ინერციით დაქნეულ ცულს, ბიძაჩემი მარცხენა ხელით ტარში წვდა, მარჯვენათი ისე გაუშალა სახეში, რომ ამოდენა კაცი ბურთივით გაიქნია.

ყარამანი გადაბარდნილ ტოტებში გადაიჩეხა. იმავე წუთს დამფრთხალი ღორის წყვიტინს შეუერთდა ყარამანის გულშემზარავი ყვირილი.

— ოი, თვალი, მომკლა, მიშველეთ!

იქით მივაწყდით, ტოტებიდან ძლივს გამოვიყვანეთ, მაგრამ ფეხზე დგომა აღარ შეეძლო. მთელი სახე სისხლით ჰქონდა მოსვრილი. სისხლი განსაკუთრებით მარჯვენა თვალიდან გადმოსჩქეფდა. ეტყობოდა, მწვავე ტკივილი ტანჯავდა. იქნებ შიგ ნამტვრევები ჩარჩენოდა. ხელის ზღებას ვერავენ ბედავდა.

მთელი სოფელი შეგროვდა.

ახალგაზრდებმა იყოჩაღეს, მხარში შეუდგნენ. შარამდე მიიყვანეს, იქ ავტომანქანა იცდიდა. მაშინვე რაიონის საავადმყოფოში გააქანეს.

განვლილ ნახევარ საათში ბიძაჩემი შესამჩნევდ მოტეხილიყო. მან ახლა შეიგნო. რაოდენ გადააჭარბა.

კრიჭაშეკრული გრძელ სკამზე ჩამოჯდა და თავი ჩაქინდრა.

მისმა დამწუხრებულმა, სინდისის ქენჯნით გატანჯულმა სახემ სიბრაღით ამავსო. მინდოდა გამემხნევებინა, მაგრამ ვერ მოვახერხე, მხოლოდ მხარზე მოვხვიე ცალი ხელი. მეორეთი შაპიროსი მივაწოდე.

ხალხი არ დაშლილა, ჩვენთან დარჩნენ. ზოგიერთები ოხუნჯობის განწყობილებათუც იყო.

— ვენაცვალე, რა გემოზე უთავაზა!

— ადგეს ახლა და ცალი თვალით უყუროს ქვეყანას.

შემდეგ თავმჯდომარესაც მიწვდნენ, ძველი და ახალი მოიგონეს.

დაღამდა. ხალხი მაინც არ მიდიოდა. რაიონში წასული ავტომანქანის დაბრუნებას ელოდნენ.

როგორც იქნა, მოაღწია ავტომანქანამ. იგი ჩვენს ჭიშკართან გაჩერდა. თანასოფლელებს ქეთევანიც მოჰყვა. ჭიშკართან მივეგებე. მღელვარებით მოველოდით რა ამბავს მოიტანდნენ.

მეხსიერებაში ჩამრჩა ქეთევანის მშვიდი, ოდნავ მოღიმარი სახის თბილი გამომეტყველება. უმაღლესი მივხვდი, მდგომარეობა არცთუ უნუგეშო იყო. შეება ვიგრძენი, თითქოს ილაგამწყვეტ ტვირთს დავაღწიე თავი. ო, როგორ მომინდა ჩამეკოცნა მისი ზღვისფერი თვალები, ღიმილით გახსნი-



ლი უმანკო ტუჩები, ლამაზი სახის ნაკვთი, რომელთა დანახვამაც აკრძალავდა ხარული მომანიჭა.

— სად არის ჩვენი რაინდი? — სიცილით მკითხა.

ხელზე ხელი მოკვიდე და ბიძაჩემთან მივიყვანე.
სხვებიც შეგროვდნენ.

— ბეწვზე გადარჩენილა. საფეთქლიდან ყვრიმალამდე ღია ჭრილობა აქვს, ოთხი ნაკერი დაადეს. მისი ყვირილი ცას წვდებოდა.

— საშიში აღარაა?

— ათიოდე დღეში შეუხორცდება. თვალის გარსიც აქვს დაზიანებული, მაგრამ გაუვლის.

— ოჰ, შენ კი გაიხარე, შვილო! — გულაჩუყებულ ბიცოლაჩემს ახლა მოერია კეთილი.

* * *

ყარამანმა იასონ ბიძიას შუაქაცი გამოუგზავნა.

ყველანი სახლში ვიყავით. გიორგი და ქეთევანიც ჩვენთან იყვნენ.

ყარამანი მკაცრ ულტიმატუმს აყენებდა. იგი მიყენებული ტყვილებისა და შეურაცხყოფის სანაცვლოდ მოითხოვდა ხუთას მანეთს, აგრეთვე ხუთი დღის ვადაში ბიძაჩემს უნდა დაეხერხა მსხლის ხე და დაეწყო ყარამანის ეზოში. წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლოთი იმუქრებოდა.

დუმილი ჩამოვარდა.

მუქარა უსაფუძვლო როდი იყო. სასამართლო კონფლიქტის გამომწვევ მისელებს გადამწყვეტ მნიშვნელობას თუ არ მისცემდა, ბიძაჩემის მდგომარეობა მართლაც მძიმე აღმოჩნდებოდა.

იასონ ბიძიას გადავხედე. მას აღელვება ეტყობოდა, მაგრამ აღელვება მოსალოდნელი საფრთხით კი არ იყო გამოწვეული, რაღაც ზიზღს შეეპყრო, ტუჩები მძულვარებით მოღრეცოდა. ღრმად ჩაფიქრებულს ჯერ საპასუხო სიტყვაც არ დაეძრა.

მხოლოდ ბიცოლაჩემი ვერ ფარავდა შეშფოთებას, უსასოოდ შეჰყურებდა ხან ერთსა და ხან მეორეს, ჩამოწოლილ ხანმოკლე დუმილს მოთმინებიდან გამოყავდა. ალბათ, უნუგემოდაა საქმე, თორემ ახლა კაცი გაჩუმდებოდა, — ფიქრობდა. ამიტომ იყო, რომ სხვას დაასწრო პასუხი.

— კი, ნენავ, რასაც მოითხოვს, ყველაფერს გავაკეთებთ! რად უნდა მაგას სასამართლო და სხვისი ჩარევა.

— გაჩუმდი, დედაქაცო! — მკაცრად შეუტია იასონ ბიძიამ, — გესმის რას ამბობ?

— რაღა არ მესმის, კაცო!

— დღემდე სინდისი მტანჯავდა, სულ იმას ვფიქრობდა, ეს რა უნდა იყო, თავი რაფერ ვერ შევიკავე-მეთქი, ხალხში გამოსვლა მრცხვენდა! — მასწავლებელი ისე მომეშვა გულზე, ჩემს თავს აღარაფერს ვუსაყვედურებ... — მან ჩამქრალი პაპირისი გააჩაღა, ოდნავ ჩაფიქრდა და შემდეგ შუაყაცს მიუბრუნდა: — უნამუსო რომ იყო, კი ვიცოდი. მაგრამ საკუთარ სისხლსაც თუ გაყიდდა, ეს არ მეგონა. ბიძიკო, ასე უთხარი, ჩემგან გროშსაც ვერ მიიღებოქვია. გადამცეს სასამართლოს. ვნახავ, სასამართლო ყარამანას ჭკუით თუ ივლის. მხოლოდ იცოდეს, სანანებელი არ გაუხდეს, სააშკარაოზე გამოვიტან მისსა და მისი ამფსონების ჭრელ საქმეებს.

აშკარა იყო ბიძაჩემი უკან არ დაიხევდა.

უკან არც ყარამანმა დაიხია. დანაქადი შეასრულა.

იქნებ, ყარამანს არც გადაედგა ასეთი ნაბიჯი, წინასწარ რომ სცოდნოდა, თანასოფლელებმა როგორ შეკრეს ბიძაჩემთან პირი. ისინი მზად იყვნენ სასამართლოს წინაშე ემხილებინათ აქამდე დაფარული ბევრი საეჭვო საქმე.

როცა ბიძაჩემის დასაკითხავად რაიონიდან გამომძიებელი ჩამოვიდა, მას ახსნა-განმარტება მზად დახვდა.

* * *

იმ დღეს ქეთევანი ჩვეულებრივზე ადრე დაბრუნდა. ეტყობოდა, სამხიარულო ცნობა მოჰქონდა, ჭიშკრიდანვე მოითხოვა სამახარობლო.

სახლში მარტო ვიყავი.

— ახალ ხილს დამეგრდები? — შევეკითხე.

— რა გაეწყობა. იმედი მაქვს, იასონ ბიძია უფრო გულუხვი იქნება. — შემომღიმა და ჩრდილში ჩამოჯდა.

ხილი კალათით მივართვი. ჭიდან ცივი წყალი მოვიტანე.

ქეთევანი ახალი ამბით ისე იყო აღგზნებული, რომ მოუთმენლობა ძლევდა, სანამ ყველაფერს მეტყოდა.

— ყარამანს სასამართლოდან საჩივარი გამოუტანია. ცუდად მიდის თავმჯდომარის საქმეც.

— ეს როგორ?

— გამომძიებელს იასონ ბიძიას ახსნა-განმარტება რაიკომის პირველი მდივნისათვის წაუკითხავს. მდივანს ცეცხლი დაუკვესებია, ეს რაები მესმისო. მაშინვე განკარგულება გაუცია მკაცრად გამოეძიათ ყველაფერი. თავმჯდომარეც უმაღვე დატრიალებულა, უცდია მდივნის გული სხვაგვარად მოეგო, მაგრამ კოვზი ნაცარში ჩავარდნია, ქრთამი როგორ მკადრაო, სულ გახელებულა მდივანი. მოკლედ, თავმჯდომარეს მოულოდნელად ჩაუტყდა ხიდი. მთელი რაიონი ამაზე ლაპარაკობს.



— ვიცოდი, ეს საქმე ასე რომ დამთავრდებოდა!

— ხალხს მოუთხოვია, თავმჯდომარედ წითელაძე ავირჩიოთ?

— რომელი წითელაძე?

— ოფიცერი ყოფილა, ახლახან დაბრუნებულია დემობილიზაციით. ადრე ავრონომიული დაუმთავრებია. შემდეგ ფაშისტებთან უომია, ცხოვრებაში ბევრი ჭირ-ვარამი გადახდენია. აქებენ, კარგი ოჯახიშვილიაო.

— ალბათ, ისონ ბიძია იცნობს, წითელაძეები გვენათესავენბიან.

ძალდი გაავებით მიაწყდა ჭიშკარს.

ფოსტალიონს ახალი გაზეთები მოეტანა.

— ექიმო, თქვენი წერილიცაა, — გადმოგვძახა, გაზეთები ჭიშკრის გისოსში ჩასჩარა.

გაზეთებისათვის წავედი.

ქეთევანის წერილზე მისამართი რუსულად იყო წარწერილი.

— ვისი წერილი გაგახარებთ? — შორიდანვე ვკითხე.

— ნილოსიდან.

— ნილოსიდან? — გამოვივირდა, კონვერტს ისევ დავხვდე.

არაბეთიდან იყო.

— არაბეთიდან? — ეს სიტყვა ტუჩებზე შეაცივდა, ინსტინქტურად სკამიდან წამოიჭრა და ჩემკენ გამოქანდა.


მან წერილი მთრთოლვარე თითებით ხელიდან გამომტაცა და უმაღლეს გახსნა.

რამდენიმე სტრიქონი ჩაიკითხა, მღელვარებით გაფითრებული სახე გაეხსნა, გაებადრა, სიხარულის ცრემლებით აციაგებული თვალები მომანათა. ფეხზე დგომა გაუძნელდა, სკამი მოძებნა, ჩამოჯდა და წერილის კითხვა თავიდან დაიწყო.

ფრაზას რომ ჩაათავებდა, ისევ უბრუნდებოდა, სტრიქონებს შორის იღუმალ აზრებს პოულობდა. თავისთვის იღიმებოდა, უმანკო, ლამაზ სახეზე ისეთი ბედნიერება ესახებოდა, რომლის გადმოცემა შეუძლებელია.

— ოჰ, რა სიხარული მომიტანეთ. — გვიან გავახსენდი. თითქოს ამის გამო ბოდიშს იხდიდა, ხელი გამომიწოდა და სკამზე დამსვა. — იგი თვის ბოლოს აქ იქნება, მშენებლობა დაუმთავრებია.

მე საპასუხო სიტყვაც ვერ დამეძრა. ეს იმიტომ, რომ სწორედ იმ ულმოხელმა წერილმა ჩემს რომანტიკულ ოცნებებს ბოლო მოუღო.





ჩვეუ ართილაყვა

გზები და მგზავრები

გზა სიცოცხლეა დიდი,
გზა სიმღერაა დიდი,
გზა ხმაურობს და ისიც,
აღბათ, თავის გზით მიდის.
გზებს ვთვლით ცხოვრების აზრად,
გზები ერთმანეთს კვეთენ,
ზოგს ეძახიან მცდარ გზას,
ზოგს ეძახიან კეთილს.
არის ხმაური გზებზე,
მოძრაობაა გზებზე
და ცხოვრებაშიც ყველა,
ყველა თავის გზას ეძებს.
ზოგი მიიწევს წინ და,
ზოგი ბრუნდება უკან,
ზოგი დადის და მაინც
დგას ერთ ადგილზე მუდამ,
ზოგი ისწრაფის მაღლა,
ზოგი ეშვება დაბლა,
ზოგს დამჩნევია დაღლა
და გამჩნევება უნდა.
ზოგი ნებდება დაღმართს,

რადგან აღმართი უჭირს,
ზოგი კი უტევს აღმართს,
რადგანაც მუხლი უჭირს.
ზოგი ჩქარობს და ილტვის,
ზოგი ძაღლონეს ზოგავს,
ზოგს კი აწვალებს ბოდმა,
ზოგს თუ გაუსწრო ზოგმა.
მშვიდად როდი ვართ გზაშიც,
ვოცნებობთ ახალ გზებზე
და ყველა თანამგზავრში
თანამოაზრეს ვეძებთ.
ზოგმა გატანა იცის,
ზოგი კი ზოგის მსგავსად
ხშირად უბრალოდ იცვლის
გზასაც და თანაც მგზავრსაც.
გზამ თავისი გზა იცის
და ფიქრობს თავის ბედზე,
თითქოს მგზავრია ისიც —
ერთგულ თანამგზავრს ეძებს.



ჯეჟალ ჯაყელი

მ ა მ ა

ალიონმა ნამყენებთან მოუსწრო. მერე სამარგლ სიმინდებში ამოპარულმა ბალახებმა წაიტყუეს და მთელი ბოსტანი მოატარეს. ჭიშკარს რომ მიაღწია. მუხლებამდე გალუმპული იყო. სახელოებიც დაევაგებოდა ბერიკაცს. ღარზე ხელ-პირი დაიბანა, მერე ტანსაცმელი გამოიცვალა და ოთახში შევიდა წასახემსებლად. გაუკვირდა, ამდენხანს რატომ სძინავს ოჯახის დედას.

— მზემ ამოწვერა, ქალო, ადექი.. დღეს ბიჭებს თვრამეტ-თვრამეტი წელი უსრულდებათ!

სალიე შეიშმუშნა, გაიღიმა და ისას დაკოჟრილი ხელი გულში ჩაიკრა. ხელი იყო ახალდაბანილი, გრილი და სასიამოვნო. ისამ შუბლზე აკოცა მეუღლეს და წინა ოთახში გავიდა. მაგიდაზე ჯერ კიდევ თბილი ნამცხვრები და ტკბილეული რომ დაინახა, მიხვდა, ოჯახის დედას წუხელ ბაქლავის ცხობაში შემოთენებოდა.

ასეთ დროს სალიეს არასოდეს სძინებია. არც ისას. უთენია ყანაში ტრიალებდა ან ობოლი კლდისნაპრალში მიწას ჰყრიდა, რომ გაგანია სიცხეში სოფლის არხს წყალი არსად გაჰპაროდა. დღეს კი სამუშაოზე არ ჩქარობდა, — მშობლებს უხაროდათ, რომ გოჩასა და გიას მეთვრამეტე

ჯ. ჯაყელის მოთხრობა „მამა“ წარმოადგენს ავტორის სადიპლომო შრომას, რომელიც ავტორმა წარადგინა მოსკოვის ლიტერატურის ინსტიტუტში. იბეჭდება შემოკლებით.

დღეობა გაუთენდათ. თანაც ღღეს გოჩა ქალაქში უნდა გაეგზავნათ. ინს-
ტიტუტში მისაღები გამოცდების ჩასაბარებლად, გია კი სოფელში
ბოდა.

ბიჭები წამოდგნენ და ღარზე ხელ-პირი დაიბანეს. დაღონებული იყვ-
ნენ, რომ ღღეს პირველად უნდა დაცილებოდნენ დაბადებიდან თანშე-
ზრდილები. არც ბურთისათვის წაუტრავთ ფეხი და არც ორძელზე შეფ-
რენილან.

მამა ფანჯრიდან უმზერდა უეცრად დადინებულ ტყუპებს და უღვა-
შებში ეცინებოდა, დედა კი ფარულად ცრემლებს იწმენდა.

— დაუძახე, შემოვიდნენ! — თქვა მამამ.

შვილები ოთახში მხარიმხარ შემოვიდნენ. ორივენი ტანმალაღნი იყვ-
ნენ, ორივეს შავი თმები და გადაბმული წარბები ჰქონდა. ყველაფერში
ერთმანეთს ჰგვანდნენ.

— მოდით აქ! — მშვიდად და ხმადაბლა მოუხმო მამამ. ბიჭები იქით-
აქით ამოუდგნენ. მამამ ფარული სიამაყით გადახედა შვილების მხრებს,
რომლებიც მის ომგადახდილ და ნაჭრილობევ, მალალ და ამტან მხრებს
გასწორებოდნენ... ომის დაწყებისას თითო წლისანიც არ იყვნენ! გაიღიმა
და შუბლზე აკოცა. ისე თბილი და მშობლიური, ისე ახლობელი და წმინდა
იყო ახლა ეს ღიმილი, რომ ყველა საჩუქარს აღემატებოდა. შვილებმაც
ლოყაზე აკოცეს მამას და მოკრძალების ნიშნად თავი დადრიკეს.

— მე უკვე სამოცი წელი შემისრულდა. — დაიწყო მამამ. — ცხრაას
ჩვიდმეტიც მახსოვს და ოცდაჩვიდმეტიც. ორმოცდაერთიც და ორმოცდა-
ხუთიც მახსოვს, მთავრობის დანაბარებიცა და მამის დანაბარებიც. როცა
საჭირო იყო, ვიბრძოლე. ახლა შრომაა საჭირო. აი ის ცეცხლი. კერაზე
რომ ღვია, არ ჩააქროთ. კერიის ცეცხლსა და ოჯახის ნამუსს თქვენ გაბა-
რებთ. ერთ-ერთი უნდა დარჩეთ. ერთსაც უმაღლესში ვგზავნი. სწავლა და-
უსწრებლადაც შეიძლებაო, ასე მითხრეს. თამარიც დაუსწრებელზე უნდა
მოეწყოს თურმე...

დედამ სუფრა გაშალა და დაუდასტურა, — მეც ასე გავიგეო.

თამროს ხსენებაზე გია შეფაქლდა. ღაწვებზე ისეთი ცეცხლი შემოე-
კიდა, როგორც მაშინ, თამარს რომ უთხრა, მიყვარხარ და ეგ არიო.

— რომელი წახვალთ ინსტიტუტში? — ღუმილის შემდეგ იკითხა
მამამ.

— გოჩა წავიდეს! — თქვა გიამ და დედას ისეთი თვალთ შეხედა. თი-
თქოს ესაყვედურებოდა, ყველაფერი გადაწყვეტეთ და რაღას გვეკითხე-
ბითო.

— გია წავიდეს! — თქვა გოჩამ და თვალი მოარიდა მამას.

მამა თუთუნს აბოლებდა.

ღედა გოჩას საგზალს უშზადებდა.

გია ძმას ეხვეწებოდა:

— ბიძია მერაბმა მამას მოსწეროს, ან ამოვიდეს და სთხოვოს, რომ მეც გამიშვან სასწავლებელში.

ძმები ეზოში გამოვიდნენ.

მამამ გოჩას ბეჭზე ხელი დაადო და ხმადებლა უთხრა:

— გასაღესად გაგზავნილი ხმალი გაუღესავად თუ დაგიბრუნდა, ცუდია, მაგრამ სულ თუ არ დაგიბრუნდა, კიდევ უფრო უარესია... წადი ახლა და მშვიდობით იარე.

* * *

იმ საღამოს მამა ჩვეულებრივ სიტყვაძვირობდა.

მოწყენილი ღედა ვახშამს ამზადებდა.

გია საწოლზე ტანგაუნდელი გაშხვართულიყო და ფიქრობდა. ამ ფიქრებში ის ხან თამარს ესაუბრებოდა, ხან გოჩას უმეორებდა, — ბიძია მერაბმა მამა დაიყოლიოსო, ხან კიდევ ნატრობდა, როგორმე გზიდან უხმაუროდ ჩამოეცილებინა... ბიბო.

მამამ ღედას ანიშნა, — დაუძახეო, შემოვიდესო გია.

გია ოთახში შევიდა და კარებს აეტუზა. შავი თმები ჩამოშლოდა და გაბუტულივით იდგა. მოგრძო, შავგვრემანი პირისახის უძრავ კუნთებში მოწყენა ჩასციებოდა. უეცრად შენიშნა, რომ კედლის კალენდარზე წინა დღის ფურცელი არავის ჩამოუხვევია, მაგრამ გიას აღარაფერი აინტერესებდა, არც იუმორი და არც საჭადრაკო ეტიუდი. თანშეზრდილი გოჩა, ღვიძლი ძმა და მეგობარი, ღღეს პირველად დაცილდა. წლების განმავლობაში მერხზე ერთად ისხდნენ, ერთად სწავლობდნენ და ერთად ეძინათ, ერთი სხეულივით ეწოდათ ერთმანეთის ტკივილი და სიამოვნებათ სიხარული.

— წადი ახლა კლუბში, ღღეს კარგი სურათი გადის, — უთხრა მამამ და თუთუნი შეახვია.

გიას სიტყვა არ შეუბრუნებია. სულაც არ აინტერესებდა კინო, მაგრამ მამის სიტყვას როგორ გადავიდოდა. წავიდა. ჰადიეთს რომ გააღწია, გულმა ისევ თავისი მყუდრო ოთახისაკენ გაუწია, მაგრამ უკან დაბრუნება უხერხული იყო.

შორიდანვე გაიგონა „განდაგანას“ მელოდია და ფეხი აუჩქარა.

ღრამწერეს მუშაობა დაემთავრებინა და კინოს დაწყებამდე ბიჭები ცეკვა-თამაშით ერთობოდნენ.

ღელელმა ბიჭმა კიბონზე „განდაგანა“ რომ „გადაარწო“, მაღალმა

და გიაზე არანაკლებ ეშხიანმა ბიბომ წრეს ქორივით ჩამოუარა და... თქ
შართან ჩაბუქნა.



ბიბოს დანახვაზე გია შეიშმუშნა და კარს აეფარა.

ბიბოს თამართან „ძველი ანგარიშები“ ჰქონდა და გაბოროტებული იყო.

— გამოდი, თამარ, საცეკვოდ!

— არ ვიცი ცეკვა, — თქვა თამარმა და გოგონებს ამოეფარა.

— კი იცი, მაგრამ ჩემთან არ გინდა იცეკვო. გამოდი, თორემ ძალად გამოგიყვან! მინდა გავიგო, დრამწრეში გამოდგები თუ არა...

— არ მინდა ცეკვა, გაიგე? არც მინდა ვიცოდე!

— მე შენ გაჩვენებ „მინდა-არმინდას“, — თქვა ბიბომ, წვდა მაჯაში და ძალით გამოიყვანა.

თამარმა შეჰკივლა, როცა სასტიკად აეწვა მაჯა. გოცებულმა მეჭიბონემ ქარახსაზე გაჰყინა თითები. ვილაცამ დაიყვირა: — ეჭვი, რას შვრები, ბიბო, მამამისის მორიდება მაინც გქონდეს. თავმჯდომარე!

— თავმჯდომარე რა შუაშია?! ქალიშვილის მორიდება იქონიე, ქალთან უხეშობა ვაჟკაცისათვის თავის მოჭრა! — დაუძახა მეჭიბონემ.

სიტყვა არც კი დაემთავრებინათ, თამარმა ისე მაგრად გააწნა ბიბოს, რომ ახლად გაპარსულ ლოყაზე ხუთი თითის ანაბეჭდი დააჩნია.

ბიბოს სირცხვილისაგან უფრო აეწვა ლოყა, ვიდრე სილისაგან. ადგილზე დაბნეულად შეტრიალდა და ჩვეული, ახლად დაბოხებული ხმით დაიქაღნა:

— შენს მაგიერად იმას გადავუხდი სამაგიეროს. ის გაიძულებს, რომ არ გამეკარო? გადავუხდი! — და გარეთ გავიდა, რადგან კლუბში ვერსად მოლანდა გია.

გია კარს უკან დაიმალა, რომ ბიბოს არ შეფეთებოდა. ღამის დარაჯს შეეცოდა ბიჭი, ჩამოეფარა და გადაუჩურჩულა: — ნუ გეშინია, მე აქა ვარ. გიას გაეცინა. სულაც არ ეშინოდა, მაგრამ თავს იჭერდა, აყალმაყალს კინოსეანის ჩაშლა მოჰყევებოდა, მამა გაიგებდა, სოფელი გაიგებდა...

ბიბო ეზოში დაბოროილებდა და გიას დაეძებდა.

ყველამ იცოდა, რომ თამარს და გიას ერთმანეთი უყვარდათ, ბიბო კი გზაზე ელობებოდა.

კინოსურათი დაიწყო. ყველა დარბაზში შევიდა. ბიბო ეზოში იდგა და ფეხს არ იცვლიდა. გულში ბოღმა შემოსწოლოდა და გიას დაეძებდა. იცოდა, რაკი თამარი აქ იყო, ისიც მოვიდოდა.

დარაჯმა კარის უკან დამალულ გიას გადახედა:

— ეგ მატრებაში წასვლას არ აპირებს. შენ რას იზამ? თუ გინდა, გა-
გაცილებ.

— მაღლობთ. — თქვა გიამ და გაიცინა.

— რა გრცხვენია, შე კაი კაცო. ყარამან ყანთელიც კი გაქცევია მო-
წინააღმდეგეს! — და დაუყვავა: — ეგ ერთი თავგასული ბიჭია, თამამი და
ამაყი. არ მინდა, რომ დაგჩაგროს.

— ჯავრი ნუ გაქვს, ბიძავ! ახლა მე ფარდულს შემოვუვლი, ვითომ სა-
ხლიდან მოვდივარ, და ძელსკამზე გეახლები.

დარაჯს გაუკვირდა, თანაც გაეხარდა, რომ გია ასე გაბედული გამოდ-
გა. ის ვერც მშიშარა ბიჭებს იტანდა და ვერც თავხედებს.

გია მივიდა ძელსკამთან, საღამო მშვიდობისა თქვა და ბიბოს გვერ-
დით ჩამოჯდა.

— სად იყავი?

— სახლში. — იცრუა გიამ.

— მე დრამწრის ხელმძღვანელი ვარ და... შენ და თამარი დრამწრეში
უნდა ჩაგწეროთ. ასეა საჭირო. — გაგულსებით თქვა ბიბომ.

— ასე რატომ მელაპარაკები? ანდა შენ ვინ გკითხავს ჩვენს ჩაწერას
და ამოწერას. თუ საჭიროა, კომკავშირის კომიტეტში დამიბარებენ და მე-
ტყვიან.

— ჩვენ ქალი გვჭირდება წრეში, გაიგე?!

— ჩუ, ხმადაბლა ილაპარაკე. მერე ვინ გიშლის ხელს!..

— შენ თამარს უკრძალავ!..

— რა შუაში ვარ მე?

— იმ შუაში ხარ, რომ... თამარი მე მომწონს. გაიგე?!

— ჩუ, ხმადაბლა ილაპარაკე. აგერ დარაჯი მოდის, სირცხვილია.

მოთმინებადაკარგული ბიბო წამოხტა, გია ორლობეში გაიწვია და
წინ გადაუდგა:

— თამარს უნდა დაანებო თავი. მისი და შენი წინაპრები ერთმანეთს
ემტერებოდნენ, თქვენს შორის სისხლია, გაიგე? მე კი... მიყვარს ის! —
ამ სიტყვებზე წვდა საყელოში და შეაჯაჯგურა. გიას ქათქათა ხალათს ლი-
ლი აწყდა და მთვარის შუქზე ბროლივით გაიცრიალა.

— შენ თამარს აბუჩად იგდებ და სიყვარულს ეთამაშები, მე კი ის
სიცოცხლეს მირჩევნია...

— სისხლი გიძევთ შუა-მეთქი, გესმის?! — გაიმეორა ბიბომ და კიდევ
უფრო მოუძვინჯა გიას საყელო.

— სიყვარულმა არც სისხლი იცის და არც სიკვდილი! — მკაცრად
შეუუტია გიამ და ისე მაგრად გაართყა, რომ თვალები დაუბნელა.



ბიბომ კბილებში გამოსცრა: „აი, თურმე რა ყოფილხარ! ახლა ახლა!“ ტანში შეიკრა, მხრები წამოჰყარა და მისკენ გაეჭანკრა.

— სიყვარულმა არც სისხლი იცის და არც სიკვდილი. თამარის სახელი აუგად არ ახსენო, თორემ... — მიადახა გიამ და ერთიც ისე გაარტყა, ბიბო მიწაზე დასცა.

გონს რომ მოვიდა, ბიბომ გადაწყვიტა, ხელი არ გაენძრია, თორემ ეს ღონით დატკეპნილი „სულძალი“ გია ცემით მოკლავდა ბნელ ორღობეში.

— წადი ახლა სახლში. — ხმადაბლა უთხრა გიამ. — წადი. შენ თუ არ გამამხელ, გეფიცები, მეც არსად ვიტყვი, რომ გაგლახე, არც საღამოს დაგაკავებ... თუ გინდა შევრიგდეთ!

ბიბო წამოდგა, მწარედ გაიღიმა, წავიდა და გულით წაიღო სიძულელი და ბოროტება.

* * *

მამამ უთენია გააღვიძა გია. ისაუზმეს და სათოხნელად წავიდნენ. ისას უხაროდა, რომ ცხოვრების უღლის გამწევი ვაკეკაცი შვილი მხარში ედგა. შვილივით ნახარდი ნარგავ-ნათესებიც მხარში ედგნენ გლეხაკს. მან თავისი ძალ-ღონე მიწას მისცა და იცის, რომ მიწას შეუძლია კაცთან მეგობრობა. თვითონ თუ არ მოატყუე, მიწა არასოდეს მოგატყუებს, არასოდეს გიმუხთლებს. მიწა მშობელია, მიწა დედა!

— ჰა, რას იტყვი, მიწა უკვდავებაა, ხომ?

— ამბობენ, სიყვარულით უკვდავი. იგი სიკვდილსაც ამარცხებს.

— სიყვარული მიწის შვილია, ბიჭო! ცეცხლი ყველაფერს გადააშენებს, მიწას ვერაფერს უზამს. მიწა უკვდავება! — თქვა და თოხი მიწაში მიმოთურია.

ისინი სათოხნელს მიაღწენენ.

ისამ სახელო დაიმკლავა და შარვლის ტოტები მუხლებამდე ამოიყეცა. გიამაც ამოიყეცა შარვლის ტოტები და ფეხსაცმელში ჩავარდნილი გორბის კვინწი ნეკით ამოაგდო.

მამას ჩაელიმა, ფეხზე გაიხადა და თქვა:

— ადამიანი მიწის შვილია. ფეხშიშველმა უნდა გაიარო, რომ მოგაშუშოს მიწის ორთქლმა და ცის ნამმა.

გიამ გაიხადა, მაგრამ დილიდან საღამომდე ტუფლებში გამოიწყედებული ფეხი შეახო თუ არა ხორხოშ მიწას, დატორტმანდა.

— ნუ გეშინია, ამაღამ წაბლის ხის გატრუსულ ქერქს დაგახვევ ფეხზე და მოგიშუშებ... აი, იმ ნიგვზის ხემდე თუ მიგვადეთ ნაპირი, დღეს ორ-ორ შრომას დაგვიწერს მოანგარიშე. — თქვა ისამ და, თოხი რომ მო-

უსვა, ისეთი ხალისი და სიამოვნება იგრძნო, რომ უნებურად აღმოცნდა „ჰოპი“.



ამ სიამოვნებისაგან შორს იყო გია. უცებ გრამატიკის გაკვეთილი გააჩნდა. სკოლას რომ ამთავრებდა, გამოცდაზე შორისდებული მოუწია. წაკითხული წიგნებიდან ბევრი მაგალითი გაიხსენა და დაწერა დაფაზე, მაგრამ მამის დღევანდელი „ჰოპი“ სხვაგვარი მოეჩვენა, ცხოვრებისეულად და ამიტომაც უფრო ბუნებრივად.

— ის სიმინდი გასაშენებელია, თუ იცი? — კითხა მამამ და განათონისაკენ მიახედა, — ერთმანეთთან ახლოს დგანან, არც ერთს არ გამოუვა კაკალი.

— შემენანა.

— აი, ასე უნდა გაამეჩხრო სიმინდი! — თქვა მამამ და ნაპირს ჩამოუარა, — მოუსვი ახლა თოხი!

მზე ერთ ნახტომზე შედგა და ხეთა ჩრდილები დასავლეთისაკენ გადაწვინა. ყანას აღმოსავლეთით ლეკისა და რცხილის ტევრი აკრავდა. ხეები ტოლი მანძილით იყვნენ დაცილებული და შესანიშნავ სწორ ხეივანს ქმნიდნენ. ამ ტევრს თავიდან ბოლომდე ვენახი ისე მოსდებოდა და ჩახვეოდა, ტოტები აღარსად ჩანდა. მზე, მიწა და ადამიანი ამ დილას თითქოს უკვდავების ძალით შერწყმოდნენ ერთმანეთს და ერთ დაუსრულებელ მელოდის მღეროდნენ.

ისინი თოხნიდნენ და ერთმანეთის სიახლოვე უხაროდან.

ვიას ეზარებოდა მუშაობა.

მამას ისევე კარგად ესმოდა გიასი, როგორც ამ სიმინდებისა, როგორც დილაგრძლის ფრინველთა ხალისიანი გალობისა. უხაროდა, რომ შეილი გვერდით ჰყავდა. გამწევი და გამტანი, ოჯახის მომავალი ბურჯი, მასპინძელი და პატრონი.

— წინაღუეს მე და დედაშენმა მოვთვალეთ სოფლიდან წასულები... ასორმოცდაათი ახალგაზრდა წავიდა. ისწავლეს, განათლება მიიღეს და აღარ დაბრუნდნენ. სხვადასხვა ქალაქში ცხოვრობენ და მსახურობენ. იცი რა არის ასორმოცდაათი კაცის ძალა?... ხელი შეანაცვლე თოხს... ფეხებზე ამალამ ვიშკურნალებ... სოფელი ხალხითაა, ქალაქი — სოფლით. უხალხოდ ქვეყანა ტყედ გადაშენდება...

— ვიცი, ეგ ოხერი კვიმატა გამიჩნდება თითებში...

— კვიმატა რაა ფოლო მიწაზე ფეხშიშველა სიარულის სიამოვნებასთან... მე შენს ადგილას ხალათსაც გავიხდიდი.

ისამ ერთხელ კიდეც დაუარა ნაპირს და სიმინდები გაამეჩხრა. ნამეჩხრალები მკლავზე დაიწყო და კოდმესთან, ლელვისძირას დაჰყარა.

გიაშ გახედა მამას და ესიაშოგენა მისი მხნეობა. დღეს სულ სხვაგვარად მოეჩვენა მამა, თბილ კაცად, გულისხმიერად, ახლობლად, მეგობრად. დღემდე გულცივ კაცს უფრო ჰგავდა, ვიდრე ოჯახის მამას, იყო სიტყვა-ძვირი და ჭიუტი.

ისას დონიჭი შემოეყარა და გაღელილ გულზე თეთრი ბანლები მოუჩანდა. ულვაშებიც ჭროლა ჰქონდა და წარბებიც, შუბლის ზემოთ თეთრი თმები და უბეებთან ნოჰები გაფენოდა.

— მოდი აქ, გია, დავისვენოთ ახლა. — დაუძახა მამამ და ნამეჩხრალი დაუგო. ახლოს მოიწია და თვითონაც დაგორდა. ასე ახლოს არასოდეს არ მჯდარა გიასთან. — ჩემსავით გაწვადე ფეხი. მუხლებმა დაისვენონ.

„რა კარგია მამა! გოჩა რომ ამოვა, ვეცყვი, რომ მამა ძალიან მეგობრული და გულისხმიერი კაცი ყოფილა. აქამდე კი არ ვიცოდით“, გაიფიქრა გიამ და გაიღიმა.

— ამ უზარმაზარ ვენახიან ხეებს რომ ხედავ, ბაბუაშენის დარგულია. მე და მამამ ტყიდან მოვიტანეთ ლეკისა და რცხილის ნერგები, რომ აქ ლამაზი, ვენახიანი ტევრი გაგვეშენებია. ამ ხეებზე ისეთი მეკრენჩხი, საკნატურა და ჩხავერი მწიფდებოდა... თანაც ისე ბევრს ისხამდა, რომ მთელ სოფელს ყოფნიდა საჭმელად და საფელამუშედ. მერე გავაერთიანეთ კოლექტივში. ახლა ჰექტრობით დაბლარი ვენახი გააშენეს...

ამ საუბარში რომ იყვნენ, სალიემ სადილი ჩამოუტანა.

— ხომ არ დაიღალე, შვილო? — კითხა დედამ და სუფრა გაშალა.

გია წამოხტა, კალათის ჩამოდგამაში მიეშველა და პასუხის მაგიერად გაწითლებულ, მიწიან ხელებზე დაიხედა.

— ნუ გეშინია! — თქვა ისამ, — ადამიანს ხელზე სქელი კანი უნდა ჰქონდეს, შუბლზე — თხელი!

ისინი სადილს შეექცნენ.

დედა წყაროზე წავიდა.

სადილის შემდეგ კვლავ ნაპირს დაუბრუნდნენ.

მზე ბოსტანათის მწვერვალს რომ გაუსწორდა, მამამ შაბაში გამოაცხადა. გია ხელ-პირის დასაბანად მდინარეზე გაგზავნა და დასასვენებლად ორი საათი ღრო მისცა.

გია მდინარეზე წავიდა.

მორევს რომ მიუახლოვდა, ლოდისძირში დაგებული ანკესები გაახსენდა. ფეხზე გაიხადა და შარვალი კიდეც უფრო ამოიკეცა. ფეხი წყალში რომ ჩაყო, სიამოვნება იგრძნო. ანკესებისაკენ მიიწია, შუა ძაფს წვდა და თავისკენ მოსწია. ძაფი წამიერად დაიძაბა და მოეშვა. კამკამა ქავლებში სამ განშტოება ძაფზე სამი კალმახი სხლათუნობდა. „აი, თქვე ცელქებო,

ხომ ჩაგიგდეთ ხელში!“ — გაიღიმა, შეუძაფი მოზიდა და კალმახი ბაწრზე
ააფართხალა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბავშვივით უხაროდა.

„აი, ნეტავ აქ იყოს გოჩა... მივწერ!“

დახრილი რომ მორევს ჩასცქეროდა და კალმახებს ეალერსებოდა,
მორევში ვილაცამ კენჭი გადმოისროლა. წრეები გაჩნდნენ, გაფართოვდ-
ნენ და გადაილინ. ისევ ჩავარდა კენჭი და შხეფები სახეზე შეაყარა.

გიაშ შუბლი სახელოთი ჩამოიწმინდა და მიმოიხედა.

„ბიბო ხომ არ წამომეპარა?“ — გაიფიქრა, ამოაბოტა და ბუჩქს წა-
აღდა.

— აი, შე ფერიაჲ! გამოდი ბუჩქიდან, თორემ გამოგაბრძანებ!

თამარი კისკისებდა.

გიას მოეჩვენა, ისე ლამაზი, ისე მშვენიერი იყო ახლა თამარი, რო-
გორც იელის ბუჩქის თაიგულში ჩასმული შირაზული.

თამარმა შავი ნაწნავები გადაიყარა და წამოდგა. თვალეები შავი ჰქონ-
და და წამწამებიც, სახე კი თეთრი და სუფთა.

— რას ეძებდი მორევში? — კითხა, ტანი კალმახივით მოიქნია და
ქვაზე შესკუბდა.

— მარგალიტი დამეკარგა და ვიპოვე.

— ნუ მეხუმრები, მითხარი რას ეძებდი.

— შენს ლანდს ეძებდი, თამარ...

— ხომ გითხარი, ნუ მეხუმრები-მეთქი! — ტანი არეკლა, აიწია და
დაზნექილი ტოტის ლორთქო ნაყარი მოსტეხა. თითქოს უცებ დასერიო-
ხულდა. კითხა:

— წუხელ სად იყავი?

— სახლში. გოჩა ქალაქში გავაცილე, უხასიათოდ ვიყავი. არსად წავ-
სულვარ. — იცრუა გიამ. — შენ რა, თითქოს იცი რამე და არ მეუბნები.
კარგი სურათი იყო?

— კარგი სურათი იყო, — თქვა თამარმა და ბიბოს წუხანდელი თავ-
გასულობა დაუმალა. მოიწყინა და თავი დახარა. ნაწნავი გადმოუტურდა
და სავეს მკერდზე წყალვარდნილივით გადმოეკიდა.

— მოეშვი წუხანდელზე ფიქრებს. რა იცოდი, რომ აქ ვიყავი?

— ნაოჩევიდან დაგინახე. დღეს მთელი ყანა ნამეჩხრალი ავკრიბე.
ცოტა კიდევ დამრჩა. მომეხმარები?

ისინი ყანაში წავიდნენ.

სანამ თამართან იყო, გია არც დალლას გრძნობდა და ვერც იმას ამ-
ჩნევდა, თუ როგორ მიიპარებოდა დრო. სამხრობა რომ გადადგა, მაშინ გა-

ახსენდა, რომ მამამ მხოლოდ ორი საათით გამოუშვა, და თამარს გამო-
ეთხოვა.



თამარმა გიას სთხოვა, ბიბოსთან შეხვედრას მოერიდეთ.

გია ილიმებოდა და არ უმხელდა, რომ წუხელ ბიბო კაი მაგრად მი-
ბერტყა.

— ნუ გეშინია! — ხელი დაუქნია და დაღმართი სწრაფად ჩაირბინა.
ნიგეზის ხეს რომ მიადგა, დაინახა, თუ როგორ მოწყენილი თოხნიდა მამა.
აღბათ, ფიქრობდა, გიამ საქმეს აარიდა თავი და დაიმალო.

გიას მამის ისე მოერიდა, ისეთი სინანული და უხერხულობა იგრძნო,
მზად იყო მისულიყო და პატიება ეთხოვა, აწი არასოდეს დავიგვიანებო,
გვერდიდან არ მოგცილდებო. გაკვეთილზე რამდენჯერ დავგვიანებით შე-
სულა, მაგრამ ასეთი უხერხულობა არასოდეს უგრძნია.

მამა კვლავ ყაირათიანად უსვამდა ლაზურა თოხს, მოწყენილი იყო,
არ ილიმებოდა.

გია თავდახრილი მივიდა, მხარში ამოუდგა და უსიტყვოდ შეუდგა
თოხნას.

მამას დიდხანს არ ამოუღია ხმა.

სალამოს ნამეხჩრალეები მკლავზე დაიყარეს და სახლში წავიდნენ.

* * *

ღრუბლიანი დღეა გათენდა.

ისა რატომღაც იგვიანებდა სათოხნელად წასვლას. იდგა ალუბლის
ძირას და ორღანიას ქედზე ნისლში ჩაყვინთულ მწვერვალებს ეძებდა.

ამ ქედის ძირას, სერისტოდან საყაერეთამდე კოლექტივის სათიბი იყო
გადაჭიმული. მთიბავეებმა წელზე მომდგარი ბალახი გათიბეს და მჭელე-
ბად ჩამოარიგეს. მჭელებში გარეული ველური პიტნისა და რეჰანის სუ-
რნელება იაილებსა და წყაროთვლებს მოსდებოდა.

„წვიმას აპირებს... ჩაფენილ ბალახს შველა უნდა, თორემ საქონლის
მთელი ზამთრის სარჩო დაიღუპება“, — გაიფიქრა ისამ და ფარდულში
შევიდა ფიწლის მოსაძებნად.

ძანილი მოესმა და გამოიხედა.

ეზოში ბრიგადირი ჩამოვიდა.

— სალამი, ისა ბიძავ!

— გაგიმარჯოს. წვიმას აპირებს, ზომ?

— უფროსებმა გამომგზავნეს... დღეს მემინდვრეებიცა და მევენახე-
ებიც სერისტოს მივიღივართ. ბალახი უნდა დავაბუღოთ... გაზეთებში
წერენ, წვიმა იქნებაო. რადიოშიც ასე თქვა...

— გიაც წამოვიყვანო?

— არაა საჭირო, ზოგი ადგილზე დარჩეს, ასე ნაქვს ნაბრძნელს...
ემჯდომარე რაიონში გამოიძახეს, სესიაზე. ჩვენ მოვედით ყველა ერთად.

— სესია გადაარჩინს ვითომ ზალახს?

— რა ვიცი. — თქვა ბრიგადირმა და წავიდა.

ისამ გია სათოხნელში წაიყვანა. ნაპირი მოუწინა და უთხრა:

— აი, ხედავ? ამ ნაპირს გათოხნი დღეს. იმ ხურომას უნდა გაუსწორო ხაზი. ეს არის შენი დღევანდელი საქმე. მე სერისტოს მივდივარ ზალახის დასაბუთებლად. საღამოს ჩამოვალ, თუ მშვიდობა იქნა. აბა შენ იცი. გია შეუდგა თოხნას.

ისამ მხარზე საგზალი გადაიკიდა და ხალხს კორტონის აღმართზე დაეწია.

* * *

მთებზე ნისლები კიდევ უფრო გადმოიგრავნა. ვიამ გაიფიქრა, იქნებ გაწვიმდეს და გადავრჩეთ თოხნას. ხურმისაკენ ზარმაცად გაიხედა და უკმაყოფილოდ გააქნია თავი. უჭირდა ამ დავალების შესრულება, მაგრამ მეტი გზა არ ჰქონდა. რაკი მამამ უბრძანა. გათავდა!

თოხს ჩაეჭიდა. რამდენიმეჯერ რომ მოუსვა, ხელები აეწვა. თოხი მკერდზე მიიყრდნო და თითები შეისრისა. „იქნებ გაწვიმდეს“. მაგრამ წვიმა ჯერ არსად ჩანდა. აღმოსავლეთით, ჩაქუფრულ ცაზე, მკრთალად მოხაზული წრე ამხელდა მზის სიმაღლეს.

იქნებ გამიადვილდესო საქმე. ნაპირს ჩამოუარა, სიმიწდები გაამეჩხრა და სახელოები დაიმკლავა. საქმე ადგილიდან არ იძვროდა. უცებ გოჩა გაახსენდა და თოხის ტარს დაეყრდნო.

იფიქრა. ბევრი იფიქრა...

„სულ ერთად ვიყავით... ახლა გამლაპარაკებელიც არავინ მყავს. რას შევება ნეტავ? აქ რომ იყოს, წუხანდელ ამბავს მოეუყუებოდი. ბიბო ძალიან თავხედიანა. წასვლისას ისეთი თვალებით შემომხედა, ვიცი, სადღაც მომდებს ქამანდს, მომშხამავს... სისხლი გიძევით შენ და თამარს... — მეორე მხრით დაეყრდნო თოხის ტარს და არც კი შეუწინავეს, უნებურად როგორ მოიგდო სიმიწდი ფეხქვეშ... — ჩააბარებს გოჩა, ეჭვი არ მეზარება. ბევრი ამხანაგი ეყოლება... მერხზე გვერდით ვინ მიუჯდება ნეტავი? ათ წელიწადს ჩვენ ერთად ვიჯექით მერხზე. ახლა დამივიწყებს. როგორც ბიბოა მერაბმა დაივიწყა მამა. არა, არ დაუვიწყნია, მაგრამ... წელიწადში ერთხელ ეწვევა. რატომ არ ამოვიდა ნეტავ, რომ მამას შეხვეწნოდა, მეც ვავეგზავნე სასწავლებელში? გავიპარები, სინდისს ვფიცავარ, გავიპარები!.. მირჩევნია ნახევრად მშვიერი ვიყო. ვიდრე მიწა ვჩიქქნო, ვიდრე ბიბოსთანებს ვუფრთხილდე... მამა მაინც შემირიგდება. მე და გოჩა ორივე ნას-



წავლი ვიქნებით. დღეს აუცილებლად ვეტყვი თამარს, რომ ასეა საჭირო!
რა იცის მამამ! ჰგონია, რომ უმიწოდ, უსოფლოდ ცხოვრება შეუძლებელია.
ლია. ახლა სხვა დროა. ახლა მთავარია განათლებული კაცი იყო. უნდა წა-
ვიდე. დაუსწრებელიო? სწავლა ბედნიერებაა. ვინა თქვა დაუსწრებელი
ბედნიერება?!“

გიამ გახედა ნაპირს. უნდა რაიმე იღონოს, როგორმე ადრე მორჩეს
საქმეს. ადრე მიაგდოს ნაპირი ხურმის ხემდე, წავიდეს მდინარეზე, კალ-
მახებს შეეთამაშოს, ხელ-პირი დაიბანოს და, თუ გუშინდელა მორევში
კენჭს გადმოისვრიან, მიხვდეს, რომ ეს თამარია. ამოაბოტოს წყლიდან,
გვერდით დაისვას თამარი და უთხრას, რომ დაუსწრებელი ბედნიერება
ჯერ არავის გაუგონია...

გაცხარებით მოუსვა თოხი. აღარ აქცევდა ყურადღებას, რომელი სი-
მინდი დაეტოვებინა და რომელი მოეჭრა. ციბრუტივით ტრიალებდა, ნერ-
ვულად, უზბროდ თოხნიდა. მას მხოლოდ ერთი რამ უტრიალებდა თავ-
ში, — რაც შეიძლება მალე მორჩენილიყო საქმეს...

როგორც იქნა, დაამთავრა. თოხი მიაგდო და წელში გაიმართა. განა-
თოხნს რომ გადახედა, ცოტა არ იყოს, სინდისის ქენჯნა იგრძნო, რომ ეს
მთელი სოფლის ზიარი ყანა უგულოდ, უწესოდ გათოხნა. თავი დახარა
და ჩაფიქრდა.

იმ დღეს მზე არ გამოჩენილა. გუშინდელი ჩრდილები სადღაც გადა-
კარგულიყვნენ მამის ღიმილთან ერთად. ორღანიას მწვერვალიდან ნისლი
უფრო ქვევით, სათიბებისაკენ ეფინებოდა და კატრიქედს ეგრაგნებო-
და. ქვევით კი აჭარისწყალი ზანტად მიედინებოდა, თითქოს დარდი სჭირს
და ვერ ინელებსო.

გია მდინარეზე წავიდა.

ფეხზე გაიხადა. შარვლის ტოტები ამოიყვია და წყალში შეაბოტა.

დღეს მორევში არავინ გადმოისროლა კენჭი.

ანკესების ბაწარი აეცა, თევზები ჩხირზე ააცვა და ნაოჩევის ბებერი
ვაშლისკენ გაემართა, იქნებ თამარი დაეინახო.

„როცა რამეს გულისთ ელოდები, ცრუვდები, როცა მოულოდნელად
ხედები, ვერ აფასებ, დაკარგავ და ნანობ... ნუთუ გუშინდელ ცისკართან,
ყვავთან, ჩრდილებთან, მამის ღიმილთან და ხელების ტკივილთან ერთად
გაქრა ყველაფერი? გუშინ გული ყველაფრით სავსე იყო, — სიხარულითა
და ტკენით, სიამოვნებითა და ოცნებით, შეხვედრითა და თავდავიწყებით.
დღეს კი მხოლოდ ღრუბლები, აჭარისწყალის ყრუ ბუბუნნი და წვიმის მო-
ლოდინი“.

კოდმესთან, მწარე ბლის გვერდით ბარდებში შემძვრალი ბავშვები
დაინახა და დაიყვინძა:

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— ჰეი, რომელი ხარო მაქ, თქვე ჭინკებო, თქვენა!

ბავშვები დამნაშავესავით გამოძვრნენ ჭინცხიდან. წვივები ეკლით დაკაწროდათ და სახე მაყვლის წვენიტ მოთხუზნოდათ.

— დედას გამოეპარეთ და აქ კოლექტივს მაყვალს პარავთ, არა? მოდით აქ!

— კოლექტივის თუა, ამ ბალს რატომ ატეხენ ტოტებს? — თქვა ბიჭმა და სახელოთი პირი მოიწმინდა.

— ვინ ატეხს, ბიჭო, ტოტებს?

— ვინ და... ბიბო ბიძია. ვიღაცა ქალი ახლდა... ეს საადრეო ვაშლიც დაკრიფა და კალათში ჩაუყარა. მამამ თქვა, შარშან კოლექტივს ტყავი გააძვრესო, მოხსნილი ბუღალტერი კი რაიონში დააწინაურესო... ბიბო ბიძიამ ორჯერ დაკრიფა.

— მე იმას ყურებს ავუწევ, თქვენ კი არ გაბედოთ მაგ ვაშლზე აცოცება, გესმით? მოდი შენ აქ. — დაუძახა უფროს ბიჭს, — ჰო, მოდი, ნუ გეშინია! ხედავ ამ თევზებს? გაჩუქებ, თუ გინდა.

სახემოთხუზნული გიასთან რომ გაიქცა, დანარჩენებიც უკან გამოუდგნენ. გიამ მათ მხრებზე ხელი მოუთათუნა, თმები მიმოუწეწა და კალმახები ჩამოჰრიგა.

— მოუსვით ახლა სახლისაკენ. შენ დარჩი, ბიჭო, გეტყვი რამეს, — უბრძანა უფროს ბიჭს და ნიკაბი აუწია, რომ მის დიდროს, სუფთა და მართალ თვალებში კარგად ჩაეხედა.

— დღეს თამარ დეიდა დაინახე სადმე? — კითხა ხმადაბლა.

— კი! — წამსვე მიუგო და ბავშვებს მიუხედა. ბავშვები კურდღლე-ბივით გარბოდნენ, რომ დედისათვის კალმახი მიეხარებინათ.

— სად არის თამარ დეიდა, თუ იცი?

— სახლში... სარეცხი გამოაფინა... დედამისი ავადაა. იმათ ისეთი კრუხი ჰყავთ, ძალივით იკბინება...

— შენ ჰკვიანი ბიჭი ხარ. რასაც ახლა დაგაბარებ, წახვალ და თამარ დეიდას წაუჩუჩრულებ. გაიგე?

— კი! — დაუფიქრებლად თქვა და ბავშვებს მიუხედა. უნდოდა დაწეოდა და თავი მოეწონებინა, აქაოდა, დღეს მაყვალზე მე წამოგიყვანეთ და კალმახებიც მე მოგაგებიანეთ.

— აქეთ მოიხედე! წადი ახლა და თამარ დეიდას უთხარი, რომ გია ბიძია ნაოჩევის ბებერ ვაშლთან გელოდება-თქო. თუ არ სცალია, შემომითვალოს, სადამოს სად იქნება.



ბიჭმა თავი დაუქნია და მოკურცხლა.

— აი, ხედავ ამას? — დაუძახა და ანკესები დაანახა. დაბრუნდები, გაჩუქებ.

ბიჭს სიხარულისაგან ფრთები შეესხა. გაიქცა და თამარ დეიდას ყველაფერი შეატყობინა. ცოტა ხნის შემდეგ აქოშინებული დაბრუნდა. ცხვირზე სახელო მოისვა და ანკესებს შეხედა.

— რაო, ბიჭო?

— ახლა არ მცალიაო, სადამოს ვარსკვლავს მოსაძებნად წავალ სახნავათშიო.

— სახნავათშიო, ვარსკვლავსაო?!

— პო. ვარსკვლავა მათი ძროხაა. ო. იმდენს იწველის!..

— კარგი, წადი ახლა. ეს ანკესები შენი იყოს. ხვალ თუ მზიანი იქნება, წავიყვან მდინარეზე და თევზაობას ვასწავლი.

* * *

სადამოს სოფლის კლუბში ლექცია იყო. კლუბის წინ ჯოჯოხეთიდან დაბრუნებულმა თავმჯდომარემ შენიშნა და თითი დაუქნია. აქ მოდიო.

— სადმე გეჩქარება?

— არა, ისე...

— ახლავე წადი და ქოჯათელეს ბენდზე არხი ჩაკეტე. ამელამისთვის წვიმა გამოცხადებულა...

— მოვისმინე რადიოთი...

— გაზეთშიც წერენ. არხის ყველა განშტოება გასინჯე, ყანებისაკენ არ იყოს მიშვებული... სათავეში ლაფერი საიმედოდ დაუცე, თორემ ქოჯათელე თუ აღიღდა, ყველაფერს ღვარი წაიღებს.

ბიბო თავმჯდომარის გვერდით იდგა და ყველაფერს ისმენდა. უცბად გაბრაზდა, რატომ მე არ გამგზავნა და გიას დაუძახაო.

გია წავიდა. თემბულხანამდე არც კი მიეღწია. წვიმა რომ დაიწყო. მთელი დღის დახურული, განაყუჩები ჰაერი შეიმშუშნა, შეირხა და შეირხნენ ფოთლები, აშრილდნენ ხეები და გადალუსკუშდა ცა.

* * *

მთიბავეებმა დროზე უშველეს საქმეს — მონათიბი მოფოცხეს, დააბულულეს და დატკეპნეს, ზემოდან აწული დააყარეს, რომ წვიმას არ გაეტანებინა.

— კარგად დასრავნეთ, ბიჭებო! — უკანასკნელი ბუზბუზიდან გასძახოდა ისა მეფიწლეებს და საყვედურობდა. — ჩქარა მომავოდეთო.

თითქოს ცა ერთ მტკაველზე ჩამოვიდაო, ორღანიას მწვერვალთან
სამზიარამდე ნისლმა ყველაფერი დაფარა.

გავეშებული რომ შემობრუნდა და ბულუღიდან გადმოიხსნა, მის
მოულოდნელად მკლავში ფიწალი შეერჭო, შეაყრდოლა და ამოიგმინა.

— ჩქარა, ისავ, მოგვეღალა ხელი! — შესძახეს ქვემოდან. ისამ კბილი
კბილს დააჭირა და ბულულს ერთი წრე კიდევ შემოუარა. ძირს რომ ჩა-
მოვიდა, თავი ველარ შეიმამრა და წაბარბაცდა.

— რა დაგემართა, ისა ბიძავ?! — გაიოცა ჯევედეთმა და მხრებში
წვდა.

— ფიწალი შემესო, ბიჭო, ეგ ოხერი!

— მერე რა ცუდ დროს, არ იტყვი!

ისინი იაილაში გადავიდნენ და ცეცხლი გააჩაღეს. ისა უცებ შეკრთა
და წამოიჭრა.

— წასვლა საჭირო... თავმჯდომარე რაიონიდან როდის ამოვა ვინ
იცის... დიდი ხანია არ უწვიმია და არხი არავის აღარ ახსოვს...

ტექა-ქუხილი და წვიმა უფრო გაძლიერდა.

ჯევედეთმა საწვიმარი ჩაიცვა და კარებში გაიხედა. უკუწეით იყო.

მარტოდ ვერ გაგიშვებო, თქვა ისამ და შეხვეული მკლავი კისერზე
ჩამოიკიდა. ბრიგადირმა კვარის ჩამონაბობი ანთო და ისას დარჩენა ურ-
ჩია. თუ ასეა, ყველა წავიდეთო, — თქვეს გლეხებმა. ისამ „დიგარას“ ნამ-
წვავი შუაგეცხლში გადაისროლა და ბიჭები დაარბია: ფრთხილად იყავით,
მეწყერი არ წამოგეწიოთო.

* * *

გია მწვანე მორევს მიადგა, შარვლის ტოტები მუხლებამდე შეაგდო,
სახელოები დაიმკლავა და ლაფერი მოძებნა. დიდი ხნის წვეთუნახავი გამ-
ხმარი ლაფერი მზეზე დაბწკალულიყო. ბევრი აღარ დაუყოვნებია. ლაფე-
რი რკინა-ბეტონის სპეციალურ ჩარჩოში ჩაუშვა და ზემოდან ფეხით შედ-
გა, რომ კარგად ჩაქედლიყო, წვეთიც არ გაეტარებინა და ვერც ვერაფერს
ამოეგდო. ამასაც არ დასჯერდა და ლაფერს ზემოდან ქვეები დააწყო. გული
რომ იჯერა, ხელები დაიბანა, ტანსაცმელი ჩაიფერთხა და სახნავათისკენ
გაეშურა, რომ თამარს შეხვედროდა.

მუხფერდის ბორცვის გადასამზერიდან დაუსტვინა. თამარი ჯუჯა თხე-
მლარიდან გამოეპასუხა. ბიჭი შქერნალში დაეშვა და ჩანისლულ ხევში მა-
რგალიტივით იპოვა თამარი.

— დიდი ხანია ეძებ ვარსკვლავს?

— ჰო, დამეკარგა ჩემი ვარსკვლავი! — თქვა და სველი პირსახე კა-
ბის სახელოთი ჩამოიწმინდა.

მომეტებულად ჩამოხდნულა და წვიმამ კიდევ უფრო დაუშინა.

— წადი, თამრო, აი იმ სუროიან მუხას შეეფარე. ძროხას მოეძებნე და მოვალ. წადი, ნუ სველდები.

მაღე უკან მობრუნდა და ძროხაც მოდენა.

— მოდი აი, ამ მშრალ ფესვზე ჩამოვისვენოთ, ცოტა წავილაპარაკოთ და მერე წავიდეთ.

ისინი შიშველ ფესვზე ერთმანეთის გვერდით ჩამოსხდნენ.

ორივეს ჩიტივით უფართქალებდა გული.

მუხფერდს ქარიშხალი ედებოდა და ფოთლებიდან წვეთებს შხუილით ერეკებოდა.

ისინი ახლა არც წვიმაზე ფიქრობდნენ და არც სახლში წასვლაზე.

— თამრო, მე უშენოდ ფეხს არსად გავაბიჯებ, სულ ერთად უნდა ვიყუოთ, — თუნდაც ამ ხისძირის მეტი არაფერი გავგაჩნდეს!..

თამარმა თმები გადაიკრიბა და გაიღიმა.

მუხფერდს ისევ მოედო ქარიშხალი და ააფორიაქა. ფოთლებმა წვიმა ველარ შეიკავა და ხრიალით გამოატანა.

ვარსკვლავს შეუძახეს და იძულებით გაიგდეს გზაზე.

პირუტყვმა ყურები გააბარტყუნა, ქელი შეირეკა და გაიქცა. გიამ და თამარმა ერთმანეთს ხელი ჩაჰკიდეს და გამოუდგნენ. უცებ ელვამ მოჰკვეთა იმათ თვალები და ზეცამ დასავლეთისაკენ გადაიგრუხუნა.

— ამალამ რაღაც უბედურება მოხდება...

— არაფერი, თამრო! ყველა ნაკადული თავისი კალაპოტით წავა, ყველა კაცი თავისი გზით.

— ვითომ ტოტს გადაუხვევია გზიდან და ცოტა გადავარდნილა კალაპოტიდან! — შენიშნა თამარმა.

— სიყვარულის მომრევი რომ არაფერია ქვეყანაზე, ეს ერთი კი ვიცოც კარგად.

* * *

მწვანე მორევი დულდა და ქაფქაფებდა.

ხევებში ჩაწვნენ ხმელთამომსკრელი ნაკადები.


ქოფათღელე აივსო და ნაპირებს გადავიდა.

ელავდა. გრუხუნებდა. წვიმდა.

წვიმა ვერ აბრკოლებდა... ბიბოს. მისი გონება მოეწამლა გიასადმი სამაგიეროს გადახდის სურვილს...

სოფელში ყველამ იცოდა, რომ არხის ჩაქეტა გიას დაავალეს. ამ დავალებას თუ არ შეასრულებდა, კოლმეურნეობის ნათესებს წყალი წაიღებდა. ამას კი არავინ აპატიებდა. ყველა ზურგს შეაქცევდა: ხალხი, თამარი,

შვებლებიც. თამარი დარწმუნდებოდა გიას ცუდლუტობაში.  რაც გულს აიყრდა და... იქნებ დაეპატიმრებინათ კიდევაც.

...ბიბომ ხელის ფათურით მიაგნო არხში გიასაგან საგუდოში.  ჩასმული ლაფერი, დახერგილი ქვეები გადაყარა და მესამე თავგამეტებულ ცდით საგუბარს გზა გაუხსნა. ლაფერი დეღეში რომ გადაისროლა, ტანსაცმელი ჩაიფერთხა, ხელები დაიბანა და გაიცილა. შეგუბებულმა წყალმა იხუვლა და ყანებისაკენ გაქანა.

ბიბომ დოინჯი შემოიყარა და გახედა გამძვინვარებულ წყალს, რომელიც, თითქოს ამდენი ხნის გვალვის კი არა, გიას ჩასასანთქავად მიისწრაფოდა.

ბიბო გზაბაწარზე გამოვიდა და ძველ წისქვილს შეაფარა თავი. წვიმის შტრიალსა და უკუნეთში მარტოსულივით იდგა და ფიქრობდა:

„ა? გია, ხომ გაგლახე?! აი, ასე უნდა გალახვა. შენ რომ მცემე, ეს არავინ იცის. მე რომ გცემე, ამასაც ვერავინ გაიგებს. დილაშე ტკბილად იძინე, უდარდელად. ვნახოთ, ხვალ სად და როგორ დაიძინებ. ხა, ხა, ხა! იქნებ, თამარის სველი ტუჩებიც დაგესიზმროს...“

ისე მაგრად დაიჭუხა, რომ ძველი წისქვილის კარები შეაძაგაძაგა.

ხა, ხა, ხა, — ექოდ ჩაესმა ბიბოს... — ხა, ხა, ხა! მრისხანებდა არხში წყალი და სოფელს წალეკვით ემოქრებოდა.

* * *

ბიბოს მამა სამამულო ომის დროს დაიღუპა. იმ გემზე მოხვდა, რომელიც ქერჩის მისადგომებთან დაბომბეს. დედამ ვერ გადაიტანა უბედურება და მალე ისიც გარდაიცვალა.

ბიბო უდედმამოდ გაიზარდა, ბებიას ხელში.

რძიან ბოთლს უბეში უთბობდა და ისე ასაზრდოებდა ბებია. მთელი სოფელი თავზე ხელს უსვამდა ობოლ ბიბოს და ომს სწყევლიდა.

ბიბო გათამამდა.

მისთვის სულ ერთი იყო, ვის რა ეწყინებოდა და გაეხარდებოდა.

ჯერ მისთვის არავის არაფერი დაუწუნებია. არც ყური აუწევია.

სანამ სკოლაში სწავლობდა, ბევრი რამ დააგმობინეს და სწორ გზაზე გამოიყვანეს, მაგრამ ბევრ რამეში იგივე დარჩა.

და მხოლოდ დღეს, როცა ამ თავსხმა წვიმაში გიასადმი სამაგიეროს გადასახდელად არხს სოფლისაკენ დაულო პირი, მიხვდა თუ რა დააშავა.

— ხა, ხა, ხა! — ჩაესმა ექო.

— ხა, ხა, ხა! — მიხარხარებდა ქოფათღელე.

ჰეჰა-ჰუხილი აძაგაგებდა ძველი წისქვილის დაღრეცილ კარებს.

მოცდა შეუძლებელი იყო.

ბიბო სახლისაკენ გაიქცა, რომ არავის დაენახა, დაეძინა და აღძრე წამომდგარიყო.

დაწვა და თვალი დახუჭა.

გია წამოეჩვენა შეკრული წარბებით.

წაუყრუა და სახურავიდან ჩამონადენ წყლის ჩხრიალს მიაყურადა.

თვალწინ გაშმაგებული არხი წარმოუდგა. შეიშმუშნა. თითქოს ახლოს, სულ ახლოს მოვარდა ადუღადუღებული ქოფათლეღე და გულზე გადაუბრინა. ბიბოს სული შეეხუთა. წამოიჭრა და საწოლზე ჩამოჯდა. პერანგის საყელო გადედოდა და მკერდს ბაგა-ბუგი გაუდიოდა. მეზობლის კივილი შემოესმა, ლოგინში მოწყვეტით ჩავარდა და თავი ბალიშში ჩარგო. წვიმის ჩხრიალი მაინც ესმოდა.

კივილიც ესმოდა.

გიას შეკრულ შუბლს ხედავდა და... გულზე ისევ გადასდიოდა აზავთებული ქოფათლეღე.

ტანზე ჩაცმა ვერც კი მოეაზრებინა.

ბოსტანი წყალს მიჰქონდა, მაგრამ თავისთავზე აღარ ფიქრობდა.

არხის წყალი ნაოჩევს მოსდებოდა. დუბეში შეგუბებულიყო და ახლა კოდზე ზათქით გადმოდიოდა. წვიმა კიდევ უფრო უშენდა და ამღერებდა ნაკადულებს.

„ეჰ! აგრონომ-სელექციონერის საცდელი ნაკვეთი წყალს მიაქვს“, უაზროდ წამოიძახა და გაიქცა.

გარბოდა ფეხშიშველი, საცვლებისამარა, რომ არხის სათავე ჩაეხერგა. ამით დანაშაულს ვერ გამოასწორებდა, მაგრამ მაინც იჩქაროდა წყლის გადასადგებად.

ცხემლისწყაროსთან ორჯერ ზღართან მოადინა და ტალახში ამოიგანგლა, მაგრამ არაფერს ეპუებოდა. სულ დავიწყებოდა გია და შურის გრძნობა. გარბოდა, თითქოს ტანზე ცეცხლი ეკიდა ამ თავსხმაში.

სათავეს მიადგა და შეცბა.

თავმჯდომარე, ჯევედეთი, ბრიგადირი და კიდევ ორი-სამი კაცი, სიბნელეში ვერ გააჩია, გამწარებით ეძებდნენ ლაფერს.

ბიბო წამით შეცბუნდა და ხეს ამოეფარა. აქ არავის მოელოდა. ეგონა ყველამ იცოდა, რომ ეს მან ჩაიღინა, წამით უკანვე გაუწია გულმა, მაგრამ რაკი ხედავდა იმ ლაფერს ეძებდნენ, რომელიც წელან წყალს გაატანა, ველარ მოითმინა, გადახტა და შეყვირა, არხი ქვებით ჩახერგეთო. სანამ სხვები გონს მოვიდოდნენ და ქვებს მონახავდნენ, ბიბომ არხში ჩაიშრუხლა და ლაფერის ვიწრო ჩასასვლელს მიადგა.

— აი, შენ კი გენაცვალე, ბიბო! — შესძახა ჯევდეთმა და დიდ ქვე-
ძებნა დაიწყო.

— ფონში შემოდით და მოძებნეთ! — დაიძახა თავმჯდომარეთმაც და მუ-
ხლებამდე წყალში შესტომა.

არავინ ერიდებოდა ფეხსაცმელსა და ტანსაცმელს. ფონიდან გულზე
მოფხატებული ქვეები გამოჰქონდათ და ბიბოს უყვიროდნენ. — ამოდი-
თორემ გაცივდებით.

— ჩემი გაცივება რა სათქმელია... ჩქარა მოზიდეთ ქვეები და სალაფე-
რეს ვიწრო ყელთან ჩახერგეთ! — იძახდა ბიბო და მორევში თავს მაღლა
სწევდა, რომ მღვრიე წყალი პირში არ ჩასვლოდა.

არხი ჩახერგეს და ამოისუნთქეს.

არც ტანსაცმელი ჩამოუფერთხაეთ და არც ხელები დაუბანიათ.

ქანდაკებებივით მდუმარედ, უძრავად იდგნენ და სოფელს გასცქე-
როდნენ, როგორც ბრძოლის ველს გადარჩენილი მებრძოლები.

ყველა იმას ფიქრობდა, რატომ მოგვჭრა გიამ თავი, რატომ ჩააგდო
სოფელი ამ დღეში, თვითონ კი ტკბილად დაიძინაო.

— ეგ ციგანი გია მამამისს მაინც ვერ გადაურჩება. ძალღივით დაახ-
რჩობს და ხიდზე გადაკიდებს. — უცებ აღმოხდა ჯევდეთს და ბიბოს
შეხედა. — ამის შემდეგ რა ეკუთვნის ახლა იმას, ა? არხის ჩაკეტვა დაავა-
ლეს, ის კი სახლში წავიდა და დაიძინა.

ბიბო გვერდით მიდგა და გული დაწყდა.

(დასასრული იქნება)



ზუკაბ გორგილაძე

ბარათი ლილის

გამარჯობა!.. სევდის დაო, ლილი,
როგორი ხარ, ან როგორ ხარ, ნეტავ?!
შუა მზეში გამოსული დილით,
ერთი შვილის ნაღვლიანი დედა.
ჰო, თამამი სურვილებით გკადრე,
ეგ ბარათი — გამხელილი ბოლმა.
სიზმარულ ლანდს თუ ჰგავდი ადრე,
ახლა ცხადში გრიგალივით მოხვალ.
დაირხევა უნაზესი სევდის
თითქვი ტყავით შემოსილი რტონი,
მერე ტყავით გამოჟონავს წვეთი
და შიგ ჟინით დამწყვდეული დრონი.
მღუმარება და კედლები ცივი,
სარკე, მერე მუქი ორთქლი ზედა,
წერილები და წიგნები ირგვლივ,
აი, რასაც შეგატოვა ბედმა.
რა მაღალი და სასტიკი იყო
ის ვნებები, მხურვალე თუ ცივი,
თუ გაწვიმდა, ისევ გადაიღო,
მაგრამ სხვაა ხსოვნა ძველი წვიმის.
მოგონებებს მზის სხივები ხრავენ,


და სადარდელს გაუბრახარ თითქო...
განა ვისმეს დაუშავა რამე
შენი ტკბილი სილამაზის ხვითომ?!
ადრეული ყვავილების იღბალს
დაედარე და გაუგე ქალმა,
ისე ნაზი და კეთილი იყავ.
ეჰ, ამისთვის გაგიმეტეს. ალბათ.
ცივ მზერაში ნუ დამწყვდევ ხალისს.
ხმაურს ვითხოვ ამ მხურვალე დარში.
შენ გაცდუნეს, მაგრამ მაინც, მაინც...
გაცდუნეს და უცოდველი დარჩი.
ასწი, უფრო მაღლა ასწი ფარდა!
ეგ მტევანი, დარჩეული ქარში,
პატიება დგას ცხოვრების კართან,
უმოწყალო კაცს რომ ჰგავდა მაშინ.
წვიმა წყდება ყვავილების ქოთანს,
ყვავილები სწორდებიან წელში,
შენ დგები და შენ ალაგებ ოთახს
და სარკესთან იჭვნეულად ხენეში.
ჩაიდანზე თეთრი ორთქლი ადის,
ორთქლი, შენი სურვილივით სუფთა...
რა გემო და რა სითბო აქვს სადილს.
მაგრამ მაინც ცივი არის სუფრა.
ნაზი სევდა და თითები თეთრი,
ჩუმი აზრი მიმოხევის რტოთა,
შენს ცივ ოჯახს ისე მძაფრად ერთვის.
ნერვიულობ და დუმილით მოთქვამ.
ვინ გაუგებს ასე ლამაზ ტირილს,
თავზეც უნდა დატრიალდეს კევრი,
ახლა ოჯახს არ ეყოფა, ლილი,
გრძელ ფრჩხილებზე დარიჩინის ფერი.
ახლა ოჯახს ვერ უშველის, კარგო,
ვერც ცხოვრებას დაუოკებს სურვილს
მღვრიე ფერში გახვეული ტანგო
და კაბების მათრობელი სუნი.
მთვარე თეთრი, შემოაღებს სარკმელს.
ბალიშს წყვილი დაეცემა ცრემლი...
აღდექ, გოგო! გაიარე საღმე

და სიმღერა გაიგონე ჩენი.
ბედს, იეზის კონეზივით დაშლილს.
ბევრს ვერაფერს გაუბედავს ქარი,
სარეცელზე შენ ქალწული დარჩი,
ცხოვრებაში შეცდენილი ქალი.
მას კი როგორ გაუღიმოს ბედმა,
შენ კი როგორ დაგადარო, ლილი—
შენ ხომ გქვია უნაზესი დედა.
და მარადის ქალწულებით ივლი.

.

.

ეჰ, რა აღრე დაგიძახეს დედა,
ცოლს კი ვინმე დაგიძახებს გვიან.





გიორგი სანაღიჩაძე

გ ე გ მ რ ი ძ ა ლ ლ ი

პატარა ბიჭს, რომელსაც ქერა თმა და ჭორფლიანი სახე ჰქონდა, თენგოს ეძახდნენ. იგი ცხოვრობდა ბარბიუსის ქუჩაზე, ზედ ზღვის ნაპირას, სადაც თეთრად შეღებილი შუქურა დგას და ნავების შემთეთრებელი სახელოსნოს ეზოზე გავლით მეტეოროლოგიურ სადგურში შეიძლება მოხვდეთ. ბიჭს მაშუთში ამოთხუბნული შარვალი რამდენიმე ადგილას გაკერილი ჰქონდა. მაგარი, მკვრივლანჩიანი ბოტინკები ეცვა. ბოტინკებს ფერზე ეტყობოდა სულ ახალი იყო, მაგრამ იმ მოკლე ხანში, რაც ამ ტანდაბალსა და ჭორფლიან ბიჭს ეკუთვნოდა, საშინელი ჯაფა ადგა. თენგომ გვერდი აუარა სილიან ბორცვს, კონსერვის ცარიელ ქილას მძლავრად გაკრა ფეხი, ქილა გაგორდა, წარახუნდა და ქვის გალავანს მიენარცხა საშინელი ხმაურით. თავისი სიმარდით კმაყოფილი ბიჭი ღიღინით გაემართა პატარა მოედნისაკენ. სადაც მისი აზრით, ბურთის გახურებული თამაში უნდა ყოფილიყო: მზიანი დღე იდგა. ბარბიუსის ქუჩაზე მზეს ტკვამებად დაეხეთქა ასფალტის სარკე, რის გამოც პაერში ფისისა და კიდევ რაღაც უცნაური სუნი ტრიალებდა. როცა მზე აჭერდა, ჭადრის ხეებთან დგომას არაფერი სჯობდა. თენგო ხედავდა, როგორ სხლტებოდა მზის ნაყური შუქი ხეთა რუხ ტოტებზე, როგორ მოიწევდა ქვევით, თანდათან მოიწევდა და როგორ დაჰკანკალებდა მტკაელის სიმსხო ფოთლებს. მეტეოროლოგიური სადგურიდან ოფოფი წამოფრინდა. წრე მოხაზა და ასფალტზე დაჯდა. ბიჭი გაიტრუნა. ეს ჩიტი კარგა ხანია აგულებული ჰყავდა, მაგრამ ასე ახლოს

ერთხელაც არ ენახა. და ახლა ბიჭმა შენიშნა, რომ ოფოფი ძალზე ^{დაბალი} იყო. ოფოფმა ამაყად გაიარ-გამოიარა. შეჩერდა, მიმოიხედა. ^{თავის} გრძელი ნისკარტით რაღაც მოქექა და შემფოფოება დაეტყო. „^{გრძელ} უელვა ბიჭს, — გასაგებია. არ ესია მოვნა ცხელი ასფალტი. ნამდვილად შტერი ჩიტია. მე რომ ფრთები მომცა, ა, იმ მწვანე ბორცვებისაკენ მოვუსვამდი. ეს კი ამ გაგანიაში ისრუქება“. ბიჭს ძალიან უყვარდა მწვანე ბორცვები. ისინი შორს, ჰორიზონტზე, ზღვის მეორე მხარეს აღანდულიყვნენ. ეს ბორცვები მათი სახლიდანაც კარგად ჩანდა და მოწმენდილ ამინდში ბიჭს მთელი საათობით შეეძლო ბორცვების ცქერა.

წამოფრენილ ოფოფს ბიჭმა თვალი გააყოლა, თითები პირში ჩაიდო და ისე დაუსტვინა. როგორც მემტრედე ბიჭები სტვენენ ხოლმე — გაბმულად და მძლავრად. ოფოფმა პირველად ზღვისკენ აიღო გეზი, მაგრამ როცა სტვენა შემოესმა, დაფრთხა. ფრთები მოწურა და სადღაც — მეტეოროლოგიურ სადგურსა და შუქურას შორის გაუჩინარდა.

ქუჩა ცარიელი იყო. რა თქმა უნდა. მოხუც გაბოს იმ რამდენიმე ქათამს თუ არ ჩავთვლიდით, რომლებიც უბნის რწმუნებულის არაერთი გაფრთხილების მიუხედავად, მაინც მშვიდად იქექებოდნენ ჭადრების ჩრდილში. მოხუც გაბოს ბარბიუსის ქუჩის მრისხანებას ეძახდნენ. დიდი უხიაგი ვინმე იყო. სამი ვაჟიშვილი ჰყავდა, მაგრამ არც ერთთან არ ცხოვრობდა. რძლებს ვერ შეეწყო და განუღგა. მისი ავტურის დაბალი სახლი ძლივს ჩანდა მაღალ გალავანს იქით აღმართულ ჭადრებში და მეთევზეთა უბნის ბიჭების მოთქმა-მოთქმის საგანი იყო. გაბოს ჭიშკართან ოციოდე ნაბიჯზე პატარა, ამწვანებული ბორცვი მშენებლებმა მოშალეს, ტრაქტორით მოასწორეს და ბავშვებისათვის სათამაშო მოედანი გააკეთეს. მოედანი არ იყო მაინცდამაინც დიდი, მაგრამ მეთევზეთა უბნის ბიჭებისათვის ამაზე კარგ საჩუქარს ვერავინ მოიფიქრებდა. არდადეგების დღეებში, მზეგადახრილიდან ბარე მიმწუხრამდე დიდი ფეხბურთის ციებ-ცხელება ტრიალებდა. და განსაკუთრებით მაშინ იყო თამაში საინტერესო, როცა ბარბიუსის ქუჩის გუნდი ქალაქის სხვა რომელიმე ქუჩის გუნდს ხვდებოდა. მაგრამ დროდადრო ბიჭებს არ შეიძლებოდა ავსულებით არ მივილინებოდათ მოხუცი გაბო. ამ დროს გაბოს გრძელი ჯოხი ეჭირა, ხმალივით იქნევდა. დაერეოდა ბავშვებს და ყვირილით მიმოფანტავდა, ბერიკაცს მშვიდად სიკვდილსაც არ მაცლითო. ეგონა. ქალაქის საბჭომ განგებ მომიწყო ეს „ჯოჯოხეთი“, რადგან ჩემი აქედან ასახლება უნდათო. დღე ერთი იყო და ბარე ათ საჩივარს წერდა. მთელი უბანი აკლებული ჰყავდა. დიდსა თუ პატარაში თავის მტერს ზედავდა, არავის მეზობლობდა და არავინ უყვარდა.

როცა თენგო მოედანს მიუახლოვდა, მან ბიჭები დაინახა, რომლებიც

მშენებლობიდან მოტანილ ბრიკეტებზე ისხდნენ. „რად არ თამაშობთ? იკითხა თენგომ. — მე ხომ გითხარით, ცოტას დავაგვიანებ-მეთქი“.

„ვითამაშებდით, მაგრამ... ბურთი გაბოს ეზოში გადაგვივარდნა“.

„ჰოო... ახლა თენგოც მოკალათდა ბიჭების გვერდით. მან გულდაწყვეტილ დახედა თავის ბოტინებს, რომლებიც ამ სიცხეში ბურთის სათამაშოდ ჩაიცვა და საშინლად წვავდა ფეხისგულს. წამით სიჩუმე ჩამოვარდა. ბიჭებს ოფლი ასკდებოდათ, რადგან პირდაპირ მზის გულზე მოკალათებულ იყვნენ. მზისთვის არავის ეცალა. „თუ იცით, გაბო სახლშია?“ — იკითხა თენგომ.

„რომ არ იყოს, ჩვენ რა... მაინც ვერ ამოვიღებთ ბურთს. ისეთი ძაღლი ჰყავს, რომ...“

„რატომღაც მე არასოდეს არ დამინახავს“.

„ჰმ, არ დაგინახავს! არ გახსოვს, იმ შემოდგომაზე წრიბას რომ უკბინა?“.

„ახლა გამახსენდა“.

„რომ ვთხოვოთ?“ — თქვა ვილცამ.

„მოიგონე რაღა!“ — ჩაიქნიეს ბიჭებმა ხელი.

„მამაჩემს ვეტყვი, მამაჩემი მილიციელია“.

„გაბოს მილიციის კი არა, შვილების ხათრი არა აქვს“.

„ვისი იყო ბურთი?“ — იკითხა თენგომ.

„წრიბასი“.

„უჰ, რას მელაპარაკები! ის ბურთია, იმ შესახვევის ბიჭებს რომ მოვუგეთ?“

„კი, ის ბურთია“, — თქვა ცხვირდაჭყაპულმა თედომ.

„ხვალ ბამბის ქუჩას ვეთამაშებით. თუ ეს ბურთი არ იქნება, წავაგებთ. იღბლიანია“.

„იღბლიანი რომ იყოს, გაბოს ეზოში ჩავარდებოდა?“ — ჩაუბრუნა აყლაყულა ირაკლიმ.

ასე იყო თუ ისე, ბიჭებს ძალიან ენანებოდათ ბურთი. ბოლოს, თენგომ თქვა: „ბიჭებო, იქნებ ძაღლი როგორმე გაიტყუოთ? მე გადავძვრები. თუ გაბო სახლში არაა, არაფერი მომივა“.

„სახლში რომ არაა, ნამდვილად ვიცი. — წამოიძახა ცხვირდაჭყაპულმა თედომ. იგი თენგოზე ერთი წლით პატარა იყო და მესამე კლასში სწავლობდა, მას თვალები აუტიმციმდა: „მაშ გაგიტყუოთ? ეს ადვილი საქმეა. მაგრამ შენ რომ შეგეშინდეს?“

„რატომ შეგეშინდება? — გაიოცა თენგომ. — შენ შეგეშინდებოდა?“ — მიუბრუნდა თედოს.

„მე? არა, რატომ შეგეშინდებოდა“.

„შენ შეგეშინდებოდა?“ — ახლა აყლაყუდა ირაკლის მიუბრუნებელი თენგო.

„მე ახლავე გადავძვრები, მაგრამ ამ სიგრძეს რა დამმაღავს, თუ მაღლაზე მიდგა საქმე?“

„რა თქმა უნდა“, — დაასკვნა ამაყად თენგომ. მერე რიგრიგობით გადახედა ყველას. ბიჭებს შორის იგი ყველაზე ტანდაბალი იყო და ყველაზე დიდი უფლებებით სარგებლობდა. რა უნდა მომხდარიყო ბარბიუსის ქუჩაზე ისეთი, რომ მას არ სცოდნოდა. ბიჭები პატივისცემით ეპყრობოდნენ, რადგან გასულ ზამთარს ორი უზარმაზარი კეფალი დაიჭირა და გამოცდილი მეთევზეებიც გააკვირვა. მაგრამ მარტო ამისათვის როდის აირჩიეს იგი მეთაურად. თენგოს ოქროს გული ჰქონდა — ამაყი, მოსიყვარულე და ნაზი, სწორედ ისეთი, როგორიც უყვართ მეთევზეთა ბიჭებს, მერე კიდევ თენგოს პატარა და გამხდარ სხეულში იმოღენა ძალა იყო დამალული, რომ მთელ უბანში თანატოლი კი არა, ბევრად უფრო დიდიც ვერ ბედავდა მის წყენას.

სამოქმედო გეგმა სწრაფად შეადგინეს. აყლაყუდა ირაკლი და თედო ეზოს უკანა მხრისკენ გაიტყუებდნენ ძაღლს, სანდრო და მალხაზი თენგოს ღობეზე ასვლაში დაეხმარებოდნენ. წრიბას მეთვალყურეობა დაეგალა.

ბიჭმა ამოშვებული ხალათი შარვალში ჩაიტანა და გალავანზე აფორთხდა. გადაიხედა, ძაღლი არ ჩანდა. ეზო ორი ნაწილისაგან შედგებოდა. ერთ მხარეს ბოსტანი იყო, მეორე მხარეს — ხეხილის ბაღი. ხეთა ძირებს მრავალძარღვა მოსდებოდა. ბიჭმა შენიშნა, რომ მრავალძარღვას ფოთლებს შორის, აქა-იქ, ვაშლები ეყარა. ბიჭი კიტრის ფარჩხს დაებიჯა და ქვევით ჩახტა, ფრთხილად, ძალზე უჩუმრად ჩახტა. ბურთი ვაშლის ხის იქით ეგდო, სწორედ იმ ადგილას, სადაც ბაღსა და ბოსტანს ჩაღის დაბალი ღობე საზღვრავს. ბიჭი მოიკუნტა, თავი კიდევ უფრო ჩამალა მხრებში და სწრაფი, მაგრამ ფრთხილი ნაბიჯებით გაეშურა ბურთისაკენ. არავითარი საეჭვო ჩქამი, არავითარი შრიალი. ბიჭმა ცალი თვალი გააპარა გაბოს სახლისკენ. სახლის წინ ხის ვეება კასრი იდგა, კასრსა და ღობეს შორის ბაღე შრებოდა. ბიჭი დაიღუნა. ბურთი უბეში მოიგდო და, როცა ხელმეორედ გასწორდა, გაშეშდა. მის წინ, ჩაღის ღობის გადაღმა, გაბოს ვეებერთელა ნაგაზი იდგა.

„იჩქარე, — მოესმა თენგოს მალხაზის ხმა, — იჩქარე, თორემ დაგჭამს“. ძაღლი აიფხორა, დიდი, ფლამუნა ყურები მოუსვენრად გააპარტყუნა და კბილები დაკრიჭა.

„თენგო! — დაუძახეს ისევ ქუჩიდან, — თენგო, გაბო გამოჩნდა!“

ამან თითქოს გამოაფხიზლა ბიჭი — დაბნეულად მიმოიხედა, მერე სწრა-

ფად შემობრუნდა და გალაენისაკენ გაიქცა. ის იყო კიტრის ფანქსი ფუნთა
აპყოლოდა, რომ ფარჩხმა უმტყუნა და მიწაზე გაიშლართა. ~~ფუნთა~~
წყევლა. მერე გაბოს ზმაც გაისმა: „ეცი მურა, ეცი!.. ჰაიტ, შენაშენაშენაშენა,
ჰაიტ. შე ქურდბაცაცა!.. ეცი, მურა, ეცი!..“ ზღვს ფეხებში გოროხი მოხვ-
და. წამოვარდა, იფიქრა, შეიძლება კიდევ გადავასწორო, მაგრამ მოტ-
ყუედა. გაბომ ხალათში ჩაავლო ხელი და მოსწია... თენგოს არ უტირია.
უბიდან ბურთი გადმოვარდა და კვალში გაგორდა...

米 米 夫

„მაგრად მოგარტყა?“ — კითხეს ბიჭებმა.

„არა, არც ისე“; — იცრუა თენგიზი.

„დედა არაფერს გეტყვის, როცა დახეულ შარვალში გნახავს.“

„მოვიგონებ რამეს. ბურთი მართლა დაგვიჭრა?“

„ჰო, ნაკუწ-ნაკუწებად აქცია. არ იცი, რა კაციცაა გაბო?“

„მთხლეა“.

„მოხლე კი არა, შაღლია“.

„აბა, მაჩვენე“, — თენგომ შარვლის ტოტი აიწია და თითონვე შე-
ეშინდა. მუხლისთავს ქვემოთ ხელის მტევანი აჩნდა წითლად. „ესეც შენი
გაბო“, — ბოღმით გაიფიქრეს ბიჭებმა. მაგრამ გარეგნულად არაფერი შე-
იძინეს. ერთხანს ნაევბის შემკეთებელ სახელოსნოსთან ისხდნენ, გულს
იოხებდნენ, მერე, როცა სადილობის დრომ მოატანა და შუქურის ფერდ-
ზე სამჯერ დაჰკრეს ზარს, „საღამომდეო“ უთხრეს ერთმანეთს, თან პირო-
ბა დადეს. გაბოს ეზოში მომხდარი ამბავი არავის გაუუმხილოთო. მაგრამ
იმ დღის შემდეგ ქუჩაში გამოსულ თენგოს მეზობლები მოსვენებას არ
აძლევდნენ, როგორც კი დაიმართოხლებდნენ, მაშინვე დააყრიდნენ კითხ-
ვებს:

„იმ კვირადღეს ვინ გცემა, თენგო?“

„არავინ“.

„ბურთი ვინ დაგიჭრა, თენგო?“

„არავინ“.

„შარვალი ვინ შემოგახია, თენგო?“

„ასე მქონდა“.

„დაფარე, დაფარე, მაგრამ მე ხომ ვიცი, რომ გაბომ გაგიმეტა ასე?“

„ტყუილია. გაბო თვალითაც არ მინახავს“. — მშვიდად იტყოდა ქეთათმისანი ბიჭი და ამბის გამკითხველს პირდაპირ თვალებში ჩახედავდა.

აი, როგორი ბიჭი იყო თენგო, სოკოსავით დაგვალული ბიჭი იყო და ბარ-
ბიუსის ქუჩის ბიჭების მეთაურად ითვლებოდა.

გავიდა ერთი თვე. მოვიდა სექტემბერი და ბიჭებმა ჩანთებში ჩაიკრეს
ნეს. სექტემბერმა წვიმები მოიტანა. სკოლისაგან თავისუფალ დროს ბარ-
ბიუსის ქუჩის ბიჭები მიტოვებულ ნაგებობის შემგებებელ სახელოსნოში
იყრიდნენ თავს. ამზადებდნენ ციცარისფრთიან სატყუარებს, რადგან ხან-
გრძლივი წვიმების მერე წვრილი სტავრიდულას ქარავნები მოაწყდებოდა
ნაპირს. გულგოროზ გაბოს იშვიათად თუ გაიხსენებდნენ.

„დაინახეთ, — იტყოდა ცხვირდაჭყაპული თედო, — იმ წოპწოპა გა-
ბოს ეზოში რა ლელვი უღებდა?“

„მამამ მითხრა, მის ღობეს სათოფედ არ მიეკარო, შიგ ელექტრონი
გაუყვანიაო“, — შეაწევდა აყლაყუდა ირაკლი.

„შემაკვდება მაგ შეჩვენებულს ვილაცა“, — დაასკვნიდა თენგო, და
მორჩა, სხვა რამეზე გადაიტანდა საუბარს.

შაბათი დღე იდგა, ბარბიუსის ქუჩის ბიჭებისათვის ყველაზე სანუკ-
ვარი დღე. აგურის დაბალი სახლიდან ცეროდენა, ლამაზად ჩაცმული თენ-
გო გამოვიდა. წვიმის შემდეგ ქუჩაში იასამნისა და შემწიფებული სამყუ-
რას სურნელი ტრიალებდა. მხარზე ბამბუკის გრძელი და წვრილი ხალხა
გაედო. კონსერვის ქილაში, რომელიც მაგარი ძაფით მიემაგრებინა ქამარ-
ზე, ზღვის ახალმოთხრილი ჭიები დახოხავდნენ. იგი შუა ქუჩაში გაჩერდა.
მიმოიხედა და დაუსტვინა. სტვენა უფრო მბრძანებლური იყო, ძლიერი
და შეურყეველი. ცოტა ხნის შემდეგ ბარბიუსის ქუჩის მთელ სიგრძეზე
ჩამწკრივებულ სახლებში ერთმანეთზე მიყოლებით გაიღო ფანჯრები...
ამ ფანჯრებიდან საპასუხო სტვენა მოისმა. ერთი წუთიც და ქუჩის კუთხე-
ში გუნდის ყველა წევრი შეიკრიბა. მათაც ბამბუკის გრძელი ჯოხები ჰქონ-
დათ. წყალგომარდობის სადგურისაკენ აპირებდნენ. იქ ზღვა მუდამ წყნა-
რი იყო და ზღვის ახალმოთხრილ ჭიებზე შეიძლება კეთილი დაეჭირათ.
გაბოს სახლს რომ ჩაუარეს, უცნაური სურათი გადაეშალათ. გაბომ თავისი
ბამბურა ძაღლი ეზოს გადაღმა გამოიყვანა, თოკი შეხსნა და რაც ძალი და
ლონე ჰქონდა სწყვიტა ფეხებში. ძაღლმა წკავ-წკავი მორთო, მაგრამ ად-
გილიდანაც არ დაიძრა. გაბომ ისევ მოიმარჯვა თოკი და ისევ აწკაფწკაედა
ძაღლი. მერე წინ გაიწია და ბიჭებმა შენიშნეს, რომ ძაღლი კოჭლობდა.

„რას ერჩის ნეტავ?“ — თქვა აყლაყუდა ირაკლი.

„ძაღლის გარდა, ყველასთან ნაჩხუბარია და ა, იმასაც მიაღდა“. —
თქვა ქერათმიანმა თენგომ.

„ერთი შემოუბრუნდებოდეს და დაჭამდეს“.

„არ დაჭამს, რაც არ უნდა იყოს, პატრონია...“

ბიჭებმა ერთმანეთს ხელი ჩაკიდეს და ჩაიარეს.



როცა თევზაობიდან ბრუნდებოდნენ, გვიანი იყო და წვიმდა.

ძალღი გაბოს ჭიშკრის ქვეშ იწვა.

ძალღი მთელ სამ დღეს იწვა ასე, კუდი შემოეკეცა, თავი ფეხებს შორის

რის ჩაერგო და ყმუოდა, საცოდავად ყმუოდა. ხანდახან წოპწოპა გაბო გა-
აღებდა ჭიშკარს, მისი განუყრელი ბზის ჯოხით გამობრძანდებოდა ქუჩა-
ში, „შენ ისევ აქ აგდისარო“, — დაუღრიალებდა ძალღს და მისდგებოდა...
ბიჭები მოშორებით იდგნენ. უყურებდნენ, როგორ სცემდა გაბო თავის
ერთგულ ბამბურა ძალღს და გული უკვდებოდათ. „ავი მოხუცი, — ფიქ-
რობდნენ ბიჭები, — ძალღს სიარული არ შეუძლია, ამან კი სახლიდან გა-
აგდო და სცემს კიდევ...“

მეოთხე დილით ძალღი მოედნის ბოლოს, სანაგვე ყუთთან მოკალათ-
და. სკოლაში მიმავალმა ბიჭებმა მთელი საუზმე მურას მისცეს. მურა აღარ
იყო ძველებურად მრისხანე და საშიში. იგი დიდი, საცოდავი ძალღის შთა-
ბეჭდილებას ტოვებდა. როცა შემწვარი კოტლეტითა და კარაქქასმული
პურით ჩაიტკბარუნა პირი, თავისი ამღერეული, დაღლილი თვალებით ამო-
ხედა ბიჭებს.

„საწყალი ძალღი“, — თქვა წრიბამ.

„მე რომ ასეთი ძალღი მყავდეს...“ — თქვა თენგომ.

„რომ იკბინება?“ — ჩატრთო ირაკლიმ.

„რა უჭირს, ძალღი უნდა იკბინებოდეს, აბა, რის ძალღია. მთავარია,
არ გააბრაზო...“

„გეგეც მართალია“, — დაასკვნა თედომ.

გადაწყვიტეს, აქეთობას ისევ გამოეცლოთ მურასთან და მოეტანათ
საჭმელი. პატარა სანდრომ სახლიდან ძველი ვარცლი მოარბენინა, წყლით
გაავსო და ძალღს ახლოს დაუდგა.

„ნახეთ, რა ლმობიერად გადმოგვხედა?“, — თქვა ბარბიუსის ქუჩის
ბიჭების წინამძღოლმა თენგომ. ეს საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ
ძალღსა და ბიჭებს შორის მეგობრობა დამყარებულიყო.

„წამოდი ჩვენთან“, — თხოვეს ბიჭებმა.

მურამ კუდი გააჭიციანა.

„წამოდი, პო, წამოდი“.

მურამ ყურები ცქვიტა და დაიწყებუტუნა.

„არ შეგიძლია, მურა? აბა, რა ექნათ?“

ბიჭებმა კიდევ მიუტანეს საჭმელი, თივა დაუგეს და წავიდნენ. წყნა-
რი და ნათელი საღამო იყო. ოდნავ ფუნთქლავდა, მაგრამ ღრუბლები არ
ჩანდნენ, რაც იმას მოასწავებდა, რომ საცაა გადაიღებდა. ძალღმა თავი
მოაბრუნა და ქუჩას გაუშტერა თვალი.

მეორე დღეს იგი წამომდგარი დახვდათ ბიჭებს. ბიჭებმა სკოლის სა-



საუზმეში ნაყიდი ფუნთუშები დაუყარეს. „რა იქნება, რომ მოგიფიქრო?“ — გაიფიქრა თენგომ, რომელიც ბარბიუსის ქუჩის ბიჭების მძღოლი იყო და უშიშარი გული ჰქონდა. „რომ მიკბინოს?.. არ მიკბენს...“ იგი ძალზე ახლო მივიდა ძაღლთან, ჯერ ზურგზე გადაუსვა ხელი. მერე ყურები გადაუწია უკან. ძაღლს თვალები დაეხარა, სციოდა და მთელი სხეული უთრთოდა. „წამოხვალ, მურა ჩვენთან? მოგივლით, სახლს გაგიკეთებთ, არც საჭმელს მოგაკლებთ. წამოხვალ?“ ბიჭები მოშორებით დადგნენ. დაუძახეს. ძაღლმა ძლივს წადგა ფეხი. დაიწკაწკავეა. არა, ფეხი არ ჰქონდა მოტეხილი, მაგრამ ძალიან ტკიოდა. ბიჭებმა ისევ დაუძახეს. ძაღლი ხტუნვა-ხტუნვით წამოვიდა. ხშირად ისვენებდა. ბიჭები ამხნევებდნენ, ეფერებოდნენ, და ასე წვალეებით, მოტყუებით, მოფერებითა და დაპირებებით მიიყვანეს ნავების შემკეთებელ სახელოსნომდე. რომელიც აგერ ერთი წელი იყო თავიანთ რეზიდენციად ჰქონდათ მიჩნეული. უკვე ციოდა. ქარი ქროდა. ქარი მიძვრებოდა მიტოვებული სახელოსნოს კედლებში, ხან სახურავიდან ჩამოტრიალდებოდა და მტვერს აყენებდა. ბიჭებმა ფიჩხები მოარბენინეს და ცეცხლი დაანთეს. ძაღლი კუთხეში იწვა, თავი მტკივნეულ თათზე დაედო და კრუსუნებდა. იმ ღამეს ბიჭები გვიანობამდე დარჩნენ მურასთან.

* * *

ფოთლები ეყარა ყველგან — ძველ ნავეზზე, მოედნებზე, სკვერებში. ბიჭები ხვეტდნენ ფოთლებს. ახუნულავებდნენ და ტომრებს ავსებდნენ. „აეროსტატი!.. აეროსტატი გავაკეთოთ!“ — ყვიროდნენ ბიჭები და სავსე ტომრებს ნაპირისაკენ მიათრევდნენ. უხარმაზარი ბამბურა ძაღლი ყეფით მისდევდათ. ძაღლი ტომრებს ახტებოდა. კბილით აფრინდებოდა და ერთობოდა. მზიანი დღე იყო. უღრუბლო. ბიჭებმა ჟრიაშულით განვლეს ბარბიუსის ქუჩა და, როცა მეტეოროლოგიურ სადგურსა და ნავსადგურს შორის ჩიხში გავიდნენ, მოულოდნელად მოხუც გაბოს შეეჩხენენ.

გაბომ აღმაცერად გადახედა ბავშვებს.

„რა გაყვირებთ? — თქვა მან, — ვერ გაივლით მშვიდად?“

ბიჭები შედგნენ. დაიბნენ. შეკრთა ბარბიუსის ქუჩის ბიჭების წინამძღოლი თენგო, რომელსაც ქერა თმა და დიდი თვალები ჰქონდა. მან ძაღლს შეხედა, მერე გაბოზე შეაჩერა მხერა.

„ოჰო, — წამოიძახა გაკვირვებით გაბომ, — აი, თურმე სად ყოფილა ჩემი ძაღლი...“

ბიჭებმა უკან დაიხიეს. ვიწრო ჩიხი ორ ნაწილად გაიყო. ზღვის მხარეს ბერიკაცი იდგა, ხელში ბზის ვეება ჯოხი ეკავა და სილას ჩიჩქნიდა. მეტეოროლოგიური სადგურის მხარეს ბიჭები იდგნენ. ყველა გრძნობდა,

რალაც უჩვეულო უნდა მომხდარიყო. დამკვნარი ფოთლებით გატყეპილ
ტომრებთან მურა გაქვავებულიყო.

„მურია“, — დაუძახა ბერიკაცმა. — მურია“.

ძალი წამოიმართა, კუდი ააქიცინა, ადგილზე მოუსვენრად დატრი-
აღდა. ბიჭებს მოხედა, აწკავწკავდა.

„მურია, მოდი აქ, მურია“, — ახლა ბრძანება გაისმა გაბოს ხმაში.

ძალი დამორჩილდა.

ბიჭები მობრუნდნენ, ღობეს გადაევიდნენ და გაიქცნენ. მირბოდნენ დი-
ღხანს, მირბოდნენ უკან მიუხედავად, ცრემლები ახრჩობდათ, ბოლმისგან
გული ამოვარდნას ჰქონდათ. მაგრამ გიჟურ რბოლას არ შეეძლო გაენე-
ლებინა ის ტკივილი, რომელიც რამდენიმე წამის წინათ ნავსად-
გურისაკენ მიმავალ ჩიხში განიცადეს. მზე ატერდა. ბიჭებმა სიცხე
იგრძნეს. მიტოვებულ სახელოსნოს მიაშურეს და კარები გადარაზეს. უხ-
მოდ ისხდნენ. ერთმანეთის ქშენა ესმოდათ. მერე იგრძნეს, რომ სახელოს-
ნოს კართან რალაცამ გაიბრაახუნა, ძელი შემოსწია თითქოს და დაიყმუვლა.

ბიჭებს შეეშინდათ. გაიტრუნენ.

მხოლოდ პატარა თენგოს არ შეშინებია, რომელიც ბარბიუსის ქუჩის
ბიჭების წინამძღვრად ითვლებოდა. იგი სწრაფად მივიდა კარებთან, ურ-
ღული ასწია და, როცა ეზოში გაიჭვრიტა, უხარმაზარი ბებერი ძალი და-
ინახა.



იაკობ მელია

მეგობრობა

დაილოცა მეგობრული გრძნობა კარით კარამდი,
გზა და ხიდად გადებული სიყვარული მარადი,
წყველიადშიაც მეგობრისთვის კაცი გზების გამნათი,
ხან შორიდან სანუგეშოდ მოფრენილი ბარათი.
ტკბილი არის თვითონ სიტყვა საქმით გამონაჩენი,
გულით გულს რომ ესიტყვები, მოძმის ვალში არ რჩები,
უკვდავების წყალი გთხოვოს, იყო წყაროს გამჩენი,
განა მტრულად? თეთრი სახის, შავი სახის გამჩენი!
იტყვი ქართულ „გენაცვალეს“, თითქოს გული გიგალობს.
დე. მარადჟამ იალბუზზე ძმობის დროშამ იალოს,
დარიალი განა მართლა კლდეა მარტო ფრილო?
სტუმრისათვის ღია გული, მტრისთვის რკინის კარები,
თვალი მტრულად რომ ანახო, ვერც კი გაეკარები.
ეს პატარა ჩვენი მიწა არწივების აკვანი,
ჭირშიც, ლხინშიც იყო მარად მეგობრობის გამტანი.
კრემლის მზისგან ნაშუქარი ჩვენი წმინდა მთა-ბარი
მეგობრობის წიგნი არის, მეგობრობის აკვანი.



გენრიკა ჟუთათალაძე

ღ ა თ უ ნ ი ა

საშუალო დაამთავრა, უკვე ცხრამეტი წლისაა და მუშაობს. ხუმრობა ხომ არაა, მუშაობს, სამსახურის ქალია. მერე რაა, რომ პატარა ტანისაა, ქალი ოცდახუთ წლამდე იზრდებაო და... იქნებ სოფიკოც გაიზარდოს, ეშველოს... თავისი ხელფასით იყიდა თეთრი საკაბე და თავისი ხელით შეიკერა. თეთრი ყველაზე მეტად უხდება. შავგვრემანებს თეთრი ფერი უხდებათ საერთოდ, ჰოდა, სოფიკომაც შეიკერა თეთრი, ლამაზი კაბა.

ოი, როგორ შეენის თეთრი კაბა სოფიკოს, რა ლამაზია... მაგრამ პატარა ხარო, ყველა ეუბნება. როგორ უნდა რომ გაიზარდოს, იყოს მაღალი ქალი, აი, მათ სამსახურში ბულატერი ქალი რომაა, მაღალი, კენარი ტანის!

— რა გვეშველება, რაღა გაზრდის ამას! — კოპებს იკრავს დედა.

— მაგი ჭერ სადაა, ტანს აიყრის, — ამშვიდებენ მეზობლები.

— რა გაასაღებს, — დარდობს უმცროსი და.

მალე ოცი წლის გახდება. უკვე მუშაობს. მერე რაა, რომ საქმეთა მმართველია, აუარებელი სამუშაო აქვს...

ყველამ იცის, რომ მალე ოცი წლის გახდება, რომ თავისი ხელფასით ყიდულობს კაბებს და სურს სწავლა განაგრძოს. ისიც იციან, რომ წიგნის მაღაზიაში უყვარს სიარული და ხან უწიგნოდ ბრუნდება. რას იზამ, პატარა ხელფასი აქვს სოფიკოს... მაგრამ რა იციან, რომ სოფიკომ ჩუმაღ

იყიდა თეთრი დათუნია და უჭრაში დამალა, იქ, თავის უჭრაში, სადაც ხუჭპარ წიგნებს და წერილებს ინახავს...

სისხამ დილით მირბის სამუშაოზე. ფეხზე ყოველთვის ჩუქურთმულია ველოსიპედი. რა ქნას, არ ეხერხება მაღალქუსლიან ფეხსაცმლებზე სიარული, თანაც უმარავი საქმე და სარბენი აქვს... ხან აქეთ უნდა გაიქცეს, ხან იქით... ფოსტა, კომიტეტი, ჰოდა, ვინ მოთვლის!.. ხან ერთი თანამშრომლის მოსაყვანად გარბის, ხან მეორესთან — უფროსი გიხმობსო. ჰოდა, ყველაფერი ჩქარა უნდა გააკეთოს, მაშ როგორ! უფროსი კეთილი კაცია. მაგრამ ზარმაცები არ უყვარს.

უმარავი საქმეა. ეს სესიო, ეს თათბირი, ეს ესაო, ეს ისაო... ჰოდა, ყველაფერ ამას მთელი დღე უნდება. ათასი მთხოვნელი მოდის უფროსთან, აქაოდა თავმჯდომარეა და ყველაფრის გაცემა შეუძლიაო.

რამდენი დასაბეჭდი აქვს ყოველდღე: ეს ოქმიო, ეს დღის წესრიგიო. ეს მოხსენებითი ბარათიო. ეს სამუშაო გეგმაო, ეს მოხსენების პროექტიო. მაინც რა ჩქარ-ჩქარა წერს უფროსი მოხსენებებს, რა მაღიმავ მიდის თბილისში. ისე, ცოდვა გამხელილი სკობს და, უფროსი თბილისში წასვლას რომ დააპირებს, სიხარულისაგან ასკინკილას უვლის სოფიკო...

პირდაპირ გადასარეკია, უფროსი რომ თბილისში მიდის... მაინც როგორი ცუდი წერა იციან! ეს ნასწავლი ხალხი ყველა ასეა, ამდენ თანამშრომელში ერთ კაცს ვერ ნახავ გარკვეულად და ლამაზად წერდეს; ხანდახან შინაარსით ხვდება, უკვე შეეჩვია მათ ნაწერებს. მაინც რა ცუდად წერს ის განყოფილების გამგე რომაა, მაღალ-მაღალი, ქერა.

ამას წინათ ერთმა ახალგაზრდამ ლექსები მოუტანა, გადამიბეჭდევო. დაეხატრა სოფიკოს, უარი ვერ უთხრა. კარგი ლექსები იყო, მოეწონა. ლექსებიც უყვარს სოფიკოს, მერე როგორ!.. მერე იმ ახალგაზრდამ ფული შეაძლია სოფიკოს. გაწითლდა გოგო, ეწყინა, ოი, როგორ ეწყინა!..

— ასეთი პოეტური ბიჭი და ასეთი ულამაზო საქციელი?! — და ცივად გაისტუმრა... თუმცა იმან რა იცის, როგორი გოგოა სოფიკო...

ხანდახან უფროსს ავიწყდება დაბარება, როცა მიდის... იმწუთსვე აწკრილდებიან ტელეფონები.

— უფროსი გვინდა!

— გავიდა, ბატონო!

— სად?

— შესვენებაზე.

— ალო!

— უფროსი? სესიაზეა... პლენუმზე... ჰოდა, რას არ ამბობს სოფიკო, ერთხელ უნებურად „ყრილობაზეაო“, წამოცდა... დატუქსა უფროსნა, რა

უნდა ექნა სოფიკოს! მერე ისწავლა თავშეკავება, ზომიერი პასუხების
გაცემა.

პასუხების
ეროვნული
გზავნილობა

ხანდახან ქალებიც ურეკავენ უფროსს. მათ ხმას უკვე არჩევენ სოფი-
კო... ზოგს ტკბილი, წკრიალა ხმა აქვს, ჰოდა... გულში იცინის სოფიკო...
ბავშვი ხომ არაა, მალე ოცი წლის გახდება.

სახლში უხარიათ, რომ სოფიკო მუშაობს... სამსახურშიც უყვართ სო-
ფიკო, უფროსიც ტკბილად უღიმის (როცა კარგ ხასიათზეა). დინჯი, წყნა-
რი გოგოა სოფიკო, უყვარს საქმე და ყველას ზრდილობიანად ეპყრობა.

...სარკეში მზერაც უყვარს სოფიკოს, ამ ბოლო დროს შეუყვარდა,
თორემ ისე...

მეზობლებსაც მოსწონთ სოფიკო; ჰო, კიდეც დათოს, დათუნის მოს-
წონს სოფიკო.

დათუნია ფოსტაში მუშაობს, რადისტია. ხანდახან ტელეფონით ურე-
კავს, ანცი ბიჭია.

— ალო, გისმენთ!

ტელეფონი დუმს. იცის სოფიკომ, იცის დათუნის ამბავი, აბა სხვა
ვინ გაუბედავს ტელეფონით დარეკვას?

დათუნია ხანდახან საქმეს აიჩენს და მოდის დაწესებულებაში... არ
აქცევს სოფიკო ყურადღებას, ბავშვი ხომ არაა, ოცი წლის იქნება მალე.
ისე კი გულში?.. წუხელ კიდეც დაესიზმრა... დათუნია შეხვდა, მერე ერ-
თად მიდიოდნენ, მიდიოდნენ დიდ გზაზე და დათუნია ტკბილად უღიმოდა...

... ჰოდა, იყიდა სოფიკომ დათუნია, თეთრი სათამაშო დათუნია და მას
ფრთხილად ინახავს უჯრაში... ღამით, ყველა რომ დაიძინებს, სოფიკო გა-
დაღებს განზე სამეცადინო წიგნებს და დათუნის ეალერსება, ებაასება...
მერე კი, გვიან, შეძვრება საბანში, თავქვეშ ისტორიის კონსპექტს ამოი-
ღებს და ფიქრობს, ფიქრობს და ოცნებობს... მალე ოცი წლის გახდება,
უმალღესშიც მოეწყობა, კიდეც შეიკერავს ახალ კაბას, რა ფერის? ახლა
ლურჯ კაბას შეიკერავს, ახალ ხელჩანთას იყიდის და სამსახურში ყველაზე
ადრე გამოცხადდება...

დათუნია? ნუთუ ისიც ეტყვის პატარა ხარო? არა, არა, დათუნისთვის
ყველაზე დიდი და ლამაზი იქნება სოფიკო...

ხომ, დათუნია?!



პარლამ გულისკერი

ა ზ ა რ ა

ო, რა კარგია აჭარა,
ზღვა — ლურჯი, მთები — მწვანე.
მზე რომ ეშვება ბარჩხალა,
ცას ვარსკვლავები წვავენ.
გავცქერი, ვსუნთქავ ჩქარ-ჩქარა...
ვღგავარ, განვიცდი წამებს.
რა ლამაზია აჭარა
ზღვითა და მწვანე კონცხით.
მის სანაპიროს და ქალას
ციცინათელა კოცნის,
მთვარე — ცის ღია ფანჯარა
თავზე ევლება ლოცვით.
რა ძვირფასია აჭარა,
უბეუხვი და ცასუფთა.
ბეჭდის თვალივით ჩამჯდარა
ბათუმში ბაღში სულ მთლად.
აჭარა, ჩემი აჭარა,
ჩემი ფიქრი და სუნთქვა.

* * *

მთა ყურიძირში არ მქონდეს
ქვეყნების გადასახედი,

გულით სიმღერა დამქონდეს,
სტრიქონებში ვერ ვამხედდე
და ცხრათვალა მზე კამკაშით
გულზე არ მეფინებოდეს.
მკლავი არ მქონდეს ვაჟკაცის,
არ მიხაროდეს ესოდენ,
სამშობლოს მიწის ნატეხი
თბილი არ იყოს გულივით,
არ ამყოლოდა არტახით
დედის ნატვრა და სურვილი,
ფარული ცეცხლით არ მწვავდეს
ტანაშოლტილი იამზე.
ბუნება ისე ამწვანდეს,
არ გაუცინოს იამ მზეს, —
იოლად გავიწირები,
დავდუმდებოდი მთასავით,
წუთით არ გავიბრწყინებდი —
მე, ერთი მკრთალი ვარსკვლავი.



ოკი დიგეიკიგუკის მეგობრობი—ოკი ხილხის მეგობრობი

გულიიად დი სიყვარულით მიილო ბიილი ქიართული შემოღვიმის დღეებში ქიართველი ხილხი უკიიინული მხიტირული სიტიყვის ოსტიტე-ბი — უკიიინული ლიტიერატიურის დეკადის მონიწილენი, რომელითი სიხე-ლი ფართოდ არის ცნობილი არი მართო ჩვენი დიად სიშოიბლოში, არამედ მის ფარგლებს გარეთიცი.

უკიიინული ლიტიერატიურის დეკადი სიქიართველოში — ეს არის სო-ციილისტიური ერების ძიიბი-მეგობრობის ახილი მძლავრი დემონსტი-რიცი, ერებისი, რომლებიც ხილხთი ერთიიან ლენიურ ოჯახში შეიკიავშირი დიდიიი რუსში ხილხში.

სიუკუნეთი წიილში იღებს სიათვეს უკიიინელი დი ქიართველი ხილ-ხების მეგობრობი, რისიცი გიიიიპირობებდი ამ ორი მოძმე ხილხის ისტორი-ული ბედის ერთვეირობი — ორივე იბრძოდი სოციილური დი ეროვნული თივისუფლებიისათვის, ბედნიერი მომავლისათვის.

„ერთ ბედს ქვეშ“ ყოფნიამ დიიიიილოვი დი დიამეგობრი უკიიინული დი ქიართული ლიტიერატიურიცი. ფრიად სიიბტიომატიურიი, რომ იმ დროს, როდესიცი მეფის მთიერობი თივისი შივრახმული კოლონიური პოლიტიკის შესი-ბიიისად შულლსი დი მტირობის თესივიდი ხილხთი შორის, უკიიინელი მწერი-ლები მშოიბლიურ ენიზე თიარგმნიდენ ქიართველი კოლეგების, ხოლო ქიარ-თველი მწერილები — უკიიინელი კოლეგების ნიწარმოებებს, რიითიცი გიიიო-ხიტივიდენ ორი მოძმე ხილხის მეგობრობის დი ინტიერესებისი დი მისწრი-ფებითი ერთიიანობის.



როცა დიდი ილიას პატრიოტულ „გაზაფხულს“ თარგმნიდა, რაინელ პოეტს თავისი ჩაგრული უკრაინა არ ესახებოდა თვალწინ? საყვარელ სამშობლოს არ ხედავდა? განა ქართული „მამულო საყვარელო, შენ როსლა აყვავდები?“ და უკრაინული „ჩომ ყე ტი ნე როზცვიტაჟე ბიდნა ვიტჩიზნო მოია?“ თანაბარი ძალით არ აძგერებდა ქართველი თუ უკრაინელი პატრიოტის გულს და არ აღანთებდა მას უკეთესი მომავლისათვის საბრძოლველად? ან საქართველოს ბულბულის აკაკის „ავადმყოფი“ განა ისევე არ ეხმაურებოდა უკრაინელი ხალხის გულისტკმას, როგორც ქართველი ხალხისას? „არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს“, ამბობდა უკრაინელი თავის მშობლიურ ენაზე და ღრმად სჯეროდა, რომ უკრაინა თავისუფალი და ბედნიერი გახდებოდა, გაიმარჯვებდა — უმალ მასვე დაამიწებდა, ვინც მის სიკვდილს შენატროდა!

ასევე შთამაგონებლად აუღერდნენ უკრაინულ ენაზე ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნეში ქართველი პოეტების ის ლექსები, რომლებიც სოციალური განთავისუფლების იდეებს შეიცავდნენ: ილიას „გუთნის დედა“, ი. დავითაშვილის „წუთისოფელში ცხოვრება შემექმნა გასაჭირადა“ და სხვ. მეორე მხრივ, ტარას შევჩენკოს, მიხეილ კოციუბინსკის, ივანე ფრანკოსა და უკრაინული ლიტერატურის სხვა კლასიკოსთა ნაწარმოებები სულიერ საზრდოდ ექცნენ ქართველ მკითხველს და ისინი ისევე შეიყვარეს საქართველოში, როგორც მშობლიურ უკრაინაში.

უკრაინელი და ქართველი ხალხების მეგობრობის სიმბოლოდ დიდი ხანია იქცნენ დავით გურამიშვილი და ლესია უკრაინკა, ტარას შევჩენკო და აკაკი წერეთელი, ილია ჭავჭავაძე და მიხეილ კოციუბინსკი. ისინი ქმნიდნენ ამ ორი ხალხის ლიტერატურათა მეგობრობის ტრადიციებსაც. და მაინც, არასოდეს ამ ორი ხალხისა და მათი ლიტერატურის მეგობრობა ისე ყოველმხრივი და შთამაგონებელი არ ყოფილა, როგორც ჩვენს დღეებში, როცა უკრაინელი და ქართველი ხალხები სსრ კავშირის ყველა ხალხთან ერთად წარმატებით აშენებენ მსოფლიოში პირველ კომუნისტურ საზოგადოებას.

საბჭოთა უკრაინამ აღზარდა საქვეყნოდ ცნობილი მწერლები და პოეტები, მათ შორის ლენინური პრემიის ლაურეატები ოლეს გონჩარი და მიხაილო სტელმახი, ქართველი ხალხის ძველი მეგობარი, უკრაინულ ენაზე „ვეფხისტყაოსნის“ მთარგმნელი მიკოლა ბაჟანი და პავლო ტიჩინა, ალექსანდრე კორნეიჩუკი და მაქსიმ რილსკი, სტეფან ოლეინიკი და ანდრეი მალიშკო, ნათან რიბაკი და ოსტაპ ვიშნია, ვასილ კოზაჩენკო და დმიტრო პავლიჩკო, დავით გურამიშვილის ბიოგრაფი, უკრაინული ლიტერატურის მკვლევარი დმიტრო კოსარიკი და სხვ.



უკრაინული ლიტერატურის დეკადა საქართველოში დიდხანს არსებობდა, ვანი მოვლენაა როგორც ქართველი, ისე უკრაინელი ხალხის კულტურულ ცხოვრებაში. უდავოა, რომ იგი ხელს შეუწყობს არა მარტო უკრაინული და ქართული ლიტერატურების ტრადიციული მეგობრობის გაფართოებას, არამედ უკრაინელი და ქართველი ხალხების მშობა-მეგობრობის შემდგომ განმტკიცებასაც. დეკადის დღეებისათვის ქართულ ენაზე გამოვიდა დეკადის თითქმის ყველა მონაწილის ნაწარმოებთა კრებულები, რომლებშიც ასახულია საბჭოთა უკრაინის მშრომელთა ბრძოლა კომუნიზმისა და მშვიდობის გამარჯვებისათვის. მათი გაცნობა საშუალებას მისცემს ქართველ მკითხველს უფრო ღრმად ჩასწვდეს უკრაინელი ხალხის ცხოვრებას, მის ფიქრებსა და განცდებს.

მეორე მხრივ, უკრაინელი მწერლების მოგზაურობა საქართველოში, შეხვედრები რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხის მშრომელებთან, რასაც დეკადის პროგრამა ითვალისწინებს, კიდევ უფრო დაახლოებს მათ ქართველ ხალხთან, მის კულტურასთან. გაუმდიდრებს წარმოდგენას იმ ბრძოლაზე, რომელიც ჩვენი დიადი სამშობლოს ყველა მხარეში მიმდინარეობს მშობლიური კომუნისტური პარტიის გრანდიოზულ წინასწარდასახულობათა განუხრელად განხორციელებისათვის. ეს კი იმის საწინდარია, რომ ისინი შექმნიან ახალ თვალსაჩინო მხატვრულ ნაწარმოებებს, რომლებშიც კიდევ უფრო ღრმად და ყოველმხრივად ასახავენ კომუნიზმის მშენებელთა მისწრაფებებსა და გრძნობებს.

ქართველი ხალხი, ქართველი მწერლები გულწრფელი სიყვარულით ხვდებიან უკრაინული ლიტერატურის წარმომადგენლებს თავის უძველეს მიწა-წყალზე და სულითა და გულით უსურვებენ მათ ახალ-ახალ შემოქმედებითს წარმატებებს ჩვენი საბჭოთა კულტურის სადიდებლად, გმირი საბჭოთა ხალხის საკეთილდღეოდ.

კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, ძვირფასო უკრაინელო ძმებო, საქართველოში — გენიალური რუსთაველის სამშობლოში!

დე. კვლავაც შეხმატკბილებულად ჟღერდნენ აწ და მარადის უკრაინული ციმბალი და ქართული ჩონგური!





მიქოლა ბაქანი


ვაჟა-ფშაველას ნეშტის გადასვენება

რაც ერთხელ იყო, არასოდეს განმეორდება, —
თბილისის ღამე. თავის ქალა, როგორც ჩვენება.
თვალის ბუდეებს ჩავცქერი და გული ღონდება,
თვალთა მაგიერ შიგ მიწაა და მოჩვენება.
თვალთა ქვაბული იყო მკვიდრი და დიდებული —
მიწის სიღრმეში ნაკადულის სიზმრის საფარი.
ფშაველას სიბრძნე სტალაქტიტის იყო სადარი —
დიდხანს ნაზარდი, ტინის ბურჯზე დამკვიდრებული.
იგი ძვლის მღვიმე იყო ჩუმი და დიდებული,
ის იყო ჭმუნვის სამალავი — თალი მაგარი.
მღვიმედან ვკვრეტდი ლეგა ღრუბლებს მთაზე შეფენილს,
ჯვარედინ ბილიკს მიჰყვებოდა მზერა კეთილი
და შენს ჩარგალში ჭრიალებდა მუხა ბებერი.
სადად ნაჭედი პაპის ხანჯლის სადარებელი
მაგარ კლდეებზე იყო წყარო გამოკვეთილი.
სიტყვების ლანდი ლაბირინთში იხლართებოდა
და რეკდა გმირი მომღერალის გულში სხვა ძალით;
მთაწმინდას ღამე. როგორც ვეფხი ეპარებოდა,
თითქოს უნდოდა მშვიდი სახის ეხილა ძვალი
და ვაჟკაცობის ქარი გულზე ელდად გვხვდებოდა.

* დიდუბის პანთეონიდან მთაწმინდაზე.

საშინელია, მისი ცქერა რომ გზარავს ასე.
 ის ჩვენთან იყო — ვაჟკაცურად პირქუში ფშავი.
 სულმოკლეობას დაეძგერა ისე, ვით ზვავი,
 ხოლო გმირობა ბილიყებით აზიდა მთაზე.
 აკაკი, ვაჟა, ალექსანდრე, ბრძენი ილია...
 ქვემოთ თბილისი მოჩახჩახე გადამლილია.
 ლექსის ვარსკვლავებს აელვარებს წყნარი მთაწმინდა.
 კვიპაროსები დაჰყურებენ მიწას წუხილით,
 სამპირიანი ხმლების მსგავსად ცაში აწვდილან
 და თითქოს ესმით მოზეიმე მთების ქუხილი.

თარგმნა გიორგი სალუქვაძემ.





მსგავსი მომენტი

სამყაროს წარმოშობა

(მეტეორული ნაშრომი, კაცია რომ თქვას,
მეტეორულ-პოპულარული)

წინათ დედამიწაზე არაფერი არ იყო. არა. მხოლოდ დედამიწაზე კი არ იყო არაფერი, არამედ საერთოდ არსად არაფერი არ იყო... მიწაც არ იყო, ყველგან სივრცე იყო... აბა, სადმე წახვიდოდი, ან რაიმეს ნახავდი?!

იყო ღმერთი... თავად მამა ზეციერი საბოთი... სად იყო იგი — არავინ უწყის... მაგრამ იყო კი... იგი იყო არსად... მაშინ არაფერი არ იყო და ამ არაფერზე იჭდა ღმერთი... დაფრინავდა... სად დაფრინავდა—არ არის ცნობილი... მაშინ ხომ ჰაერიც არ ყოფილა... მაგრამ დაფრინავდა; აბა, რის ღმერთი იქნებოდა, რომ არ ეფრინა, თუნდაც სივრცე არ ყოფილიყო?! დაფრინავს, დაფრინავს ღმერთი და, სადაც არ გაიხედავს, ყველგან სიბნელება... თვალთან თითხ ვერ მიიტან... თუმცა არც ის „ყველგან“ ყოფილა, ვინაიდან არაფერი არ იყო... იყო ღმერთი ბნელში, თუმცა იმ დროს არც სიბნელე იყო, ვინაიდან იგი მაშინ გაჩნდა, როცა უკვე სინათლე შეიგრძნეს. იყო სივრცე, თუმცა იგი მხოლოდ მაშინ დაინახეს, როცა უკვე ყველაფერი საესე იყო...

ერთი სიტყვით, ღმერთს მოუბერდა იმაში ფრენა, რაც არ იყო... ვერ ხედავ, სად დაფრინავ, ვინაიდან საცქერი არაფერია. დანახვა კი ძლიერ გი-

* ოსტაბ ვიშნია გამოჩენილი უკრაინელი იუმორისტი მწერალია.



ნდა, თუმცა მაშინ არც სურვილი იყო... გამოუვალი მდგომარეობაში, თუმცა არც მდგომარეობა ყოფილა მაშინ.

გახედა ღმერთმა ყველა მხარეს, თუმცა არავითარი მხარე მაშინ არ არსებობდა...

ერთი სიტყვით, დასჭექა ღმერთმა:

— იყოს ნათელი!

ეს იყო დღე პირველი. თუმცა დღეებიც არ ყოფილა მაშინ.

და განათდა ირგვლივ, ძლიერ განათდა!..

შეხედა ღმერთმა — ნათელია... არაფერი კი არა ჩანს. ვინაიდან რაღაც დაინახავდა, რაც არ იყო...

შუქირა, შუქირა ღმერთმა და...

— კიდევ ვიფრინო?!

ფრთები სტკიოდა, თუმცა სად ჰქონდა ფრთები...

— საჭიროა, — ამბობს, — ბინა მოვძებნო!..

სად იპოვიდა? მაშინ ხომ არ არსებობდა საბინაო განყოფილება...

საშინელ დღეში იყო! და ისევ დაიჭუხა:

— იყოს ცა! იყოს ხმელეთი!

დაბრუნდა და დატრიალდა (თუმცა არაფერი იყო საბრუნავი და სატრიალო) და ცაც წამოემხო დედამიწას.

მაშინ ღმერთი ცაზე აფრინდა, დაჯდა (თუმცა დასაჯდომი არ იყო), წვერზე ხელი ჩამოისვა და თქვა:

— ახლა კი ყველაფერი მოგვარდება.

— აბა, — ამბობს, — მიწა — მარჯვნივ, წყალი — მარცხნივ (არც წყალი იყო მაშინ)...

წყალი მიწისაგან განაცალკევა...

— აბა, — ამბობს, — მიწავ, ამოზარდე სხვადასხვა მცენარე!

ამოხეთქა და ამოხეთქა მატიტელა, მრავალძარღვა!

ამოვიდა მუხა, იფანი, არყი...

იზრდებიან და იზრდებიან, ახლაც იზრდებიან...

მზე არ ანათებს, ისინი კი იზრდებიან...

— იზრდებით? — ეკითხება ღმერთი... — აბა როგორ! ნუ ლელავთ— ახლავე იქნება მზე. მთვარეც ახლავე იქნება! ვარსკვლავებიც!

ღმერთმა ხელი ასწია და მართლაც:

მზე ამოზრწყინდა, გაანათა მთვარემ, აკიაფდნენ ვარსკვლავები...

ეს მოხდა ღამით (თუმცა ღამეც არ იყო მაშინ). მზე კი ანათებს, მთვარეც ანათებს, ვარსკვლავებიც ანათებენ...

საერთოდ ისეთი ამბავი დაატრიალა ღმერთმა, ახლაც უკვირთ.

ეს უკვე მეოთხე დღე იყო.

ღმერთი ითვლიდა, თუმცა არც ციფრები ყოფილა მაშინ...
მეხუთე დღეს ადგა ღმერთი და ხედავს — წყალს ბოლო არ უჩანს,
ტყეებს ხმელეთი დაუფარავს, თევზსა და ფრინველს კი წამლავს.
იპოვი...

იყოს ნება ღვთისა!

— აბა, — ამბობს. — ისრიალეთ, თევზებო! იელურტულეთ ჩიტებო!..

ხუთ წუთსაც არ გაუვლია, მოქუჩდა თევზი, ამღერდა ბუღბუღი, მოს-
ძახა გუგულმა. გამოჩნდა ბუ, იხზავდა ყორანმა... ერთი სიტყვით, აივსო
თევზითა და ფრინველით ყველაფერი...

მეექვსე დღეს ზის ღმერთი და ფიქრობს:

— ყველაფერია! კაცი კი არ არის! არც ცხოველია! ვინ დამინთებს
სანთელს? ვინ ილოცებს?

ხელი დააქნია — და გაჩნდა ცხოველები!

შემდეგ კი ხელი დასტაცა თიხას, დააფურობა, მოზილა, გამოძერწა კა-
ცი, შთაბერა და... პირველ კაცს ცხვირი დააცემინა და მაშინვე წამოიძახა:

— იდიდოს, ღმერთო, შენი სახელი! იცოცხლეთ, თქვენო აღმატებუ-
ლებავ!

— არა, — ეუბნება ღმერთი, — ასე არ მომპართო!.. ასე უწოდებენ
მეფის გენერლებს, მე კი მიგალობ: „ღმერთო დიდებულო!“ დაწევი ადამო!
დაწვა ადამი!

ღმერთმა ადამს ნეკნში ხელი ჩაავლო... მოსწია... ნეკნი ამოაძრო. შთა-
ბერა.

— მიიღე ევა! მე კი დავიძინებ!

მთელი მეშვიდე დღე ეძინა ღმერთს.

მერვე დღეს რომ ადგა, მიმოიხედა, თავი გაიქნია:

— ჰო, ჰო, რა მიქნია ავი!..

.

აი სამყაროს წარმოშობის მთელი ისტორია... მართალია, იგი ახალი
არ არის, მაგრამ ამ ბოლო დროს იგიწყებენ.

მოგაგონეთ...

მოგაგონეთ იმიტომ, რომ არ დაგაეჩივდეთ... მალე განკითხვის დღეც
დადგება და ტაფას ვერ ასცდებით იმისათვის, რომ დაივიწყეთ ღვთის უმ-
თავრესი საქმენი. ვინაიდან ის, რაც ღმერთმა შემდეგში შექმნა, მიჰქარავს
მის პირველ საქმეებთან შედარებით, რითაც სამუდამოდ გაითქვა სახელა
უკუნიისით უკუნისამდე.

ამინ...

უკრაინულიდან თარგმნა გრიგოლ სიხარულიძემ.



ივანე ნახოლა

კარგია ზენთან

კარგია, ჩემო მეგობარო, როს ერთად ვტყუებით
ლილისფერი ზღვის ატეხილი ზვირთების ცემით.
მხოლოდ ჩვენ ვართ და, მაღლა მთვარე, მშვიდი თენების
ერთგული მცველი.
ვარსკვლავმა სადღაც გაიღვია ჩამოვარდნისას,
საუკუნეთა წყვდიადებში ცვივან წლები.
მხოლოდ მე და შენ, მეგობარო, ასე მწამს წმინდად,
არ დავერდებით. ვარდის ცეცხლით გადავიწვებით.
ზღვის სილურჯეში ჩაიცრია მთვარე და ახლა
კარგია, კარგო. ერთად ვსუნთქოთ ცისკრის სურნელი.
მე გულით ვიგრძნო მოკრძალებით თქმული „მიყვარხარ“,
რომელსაც შენგან, ვით წმინდა ფიცს, თრთოლვით სულ ვეღა-

მე შენ გელოდი

ბოხოქრობს დნებრი. მაისის მზეში
ყვავიან ირგვლივ ჯგრო ენძელების,
წამები თითქოს გარბიან თქემით,
გელი, ლოდინი ძნელია, ძნელი.
მოღელავს დნებრი. მდინარის ტანზე
გადაწვა ბური ჩუმაღ და ნელა.

და შენ სადა ხარ, ვაცეცებ თვალებს,
მე გელოდები, მე შენზე ვღელავ.
ბოხოქრობს დნეპრი. მაღლა კი მჭისედ
მწუხარე ნისლი დახეტილობს.
ვიყავ მარტო და მარტო ვარ ისევ
და შენ სადა ხარ, ჩემო ტრფიალო!

* * *

თქვენ მიპასუხეთ ოდესღაც, მახსოვს,
თქვენი პასუხი გამყვება მარად:
— თქვენ ძლიერ, ძლიერ მოჰგავხართ
ძმასო...

არ ვიცი, არა, ვგავარ თუ არა,
მაგრამ მე თქვენს ხმას რომ გავიგონებ,
დარდი ამიტანს, რამ დამაწყნაროს:
თქვენ იმას გავხართ, ლამაზო, სწორედ,
როგორიც მინდა მე შევიყვარო.

ზღვის ხასიათი

ზღვას, დილით კეთილს,
შუადღის ქარი
მირეკავს ტალღად სიშმაგით ჩქერის.
მოდი, გაიგე ზნე მისი ერთი!
ზღვამ მომაგონა გოგონა ჩემი:
აქვს ხასიათი მასაც ზღვისებრი, —
აბოხოქრდება, და რისთვის ნეტავ,
და მის წინაშე ზღვაც კი თვისებით
წარმოგიდგება სიმშვიდის ღმერთად.

თარგმნა მამია ვარშანიძემ.





რუსული პოეზიის დიდება

მ. ი. ლერმონტოვის დაბადების 150 წლისთავის გამო

მიხეილ იურის-ძე ლერმონტოვი რუსული კლასიკური პოეზიის ერთ-ერთი უდიდესი მნათობია, გენიალური პუშკინის ღირსეული მემკვიდრე.

პოეზიის მოყვარულებმა იგი პირველად გაიცნეს საოცრად ექსპრესიული ლექსით „პოეტის სიკვდილზე“, რომელიც პუშკინის გარდაცვალების დღეებში დაწერა და მის უკედავ ხსოვნას მოუძღვნა.

პუშკინის მკვლელობა ახალგაზრდა პოეტმა აღიქვა როგორც დიდი სახალხო ტრაგედია, რომელიც გულდასმით მიაჩნდა მეფის თვითმპყრობელობამ. მან საჩაროდ განაცხადა, რომ პუშკინი მოკლეს, რადგან მასში ზედადენ თავისუფლების ქომაგს, გენიას, თვითმპყრობელობისათვის იდიოზურ და საშიშ პიროვნებას.

გაბედულად თქვა რა მთელი სიმაღლე, ლერმონტოვმა ზიზღით დაგმო და შეაჩვენა პუშკინის მკვლელები — ნიკოლოზ პირველი და მისი სისხლიანი სასახლე.

პროტესტანული სულისკვეთებით გა-

ღენილ ამ ლექსს, რა თქმა უნდა, ვერცერთი იმდროინდელი ყურნალი ან გაზეთი ვერ დაბეჭდავდა და იგი ხელიდან ხელში გადადიოდა ხელნაწერის სახით, სწრაფად ვრცელდებოდა მთელ რუსეთის იმპერიაში.

ახალგაზრდა, მანამდე საესეებით უცნობი პოეტი ერთბაშად გახდა სახელოვანი.

ყველამ იგრძნო, რომ ლერმონტოვის სახით რუსული პოეზიის ცაზე ახალი კამკაშა მნათობი გამოჩნდა.

რუსული მოწინავე საზოგადოებრიობა მოხიბლა ლერმონტოვის რევოლუციურმა, პროტესტანტულმა პათოსმა, ლექსის ფოლადისებურმა ნაქედობამ, გრძნობის, განცდის უშუალოდ და არაჩვეულებრივმა ძალამ.

ამიტომაც თქვა გენიალურმა ბელინსკიმ, ლერმონტოვის ლექსები მელნიტი კი არა, სისხლით არის დაწერილი.

ლერმონტოვმა გააღრმავა და შემდგომ განავითარა პუშკინის პოეზიის საუკეთესო ტრადიციები, გამოამჟღავნა რუსული ლექსის ახალი შესაძლებლობანი და აიყვანა იგი უფრო მაღალ საფეხურზე, ამა-

ვე ღროს მან აღძრა ბევრი ისეთი პრობლემა, რომლებიც წინათ უცნობი იყო თვით პუშკინის პოეზიაშიც კი.

„ლერმონტოვის ლექსებში. — წერდა სოციალიტური ლიტერატურის ფუძემდებელი მაქსიმ გორკი. — ხმამაღლა ეძვრა იწყებენ ისეთი ნოტები, რომლებიც ღიათქმის სრულებით შეუძენველია პუშკინის ნაწარმოებებში“.

როგორც პოეტი, ლერმონტოვი უპირველეს ყოვლისა ლირიკოსი იყო.

ლირიკული საწყისი არის წამყვანი მის პოემაშიც, მოთხრობებსა და პიესებშიც. ლერმონტოვის ლექსი — ეს არის სულის აღსარება.

პოეტს თითქმის არც კი აინტერესებს ობიექტური სამყარო და მხოლოდ თავის სულში გვახედებს, თავის სუბიექტურ სამყაროს, იქ მომდინარე პროცესებს გვაცნობა, საკუთარ გრძნობებს, ენებებს, ფიქრებსა და მისწრაფებებს გვიზიარებს.

ასეთი „სუბიექტივიზმი“. სუბიექტური ელემენტების სიჭარბე, როგორც მელინსკი იტყუა, ჩვეულებრივ პოეტებში შეზღუდულობის ნიშანი და ერთდროვნებას წყარო, მაგრამ დიდ ტალანტში იგი პემაინიზმის გამოვლენებაა.

ეს იმიტომ, რომ ყოველი ქემპარიტად დიდი პოეტი დიდი პიროვნებაა, დიდი მამდნადაც ლირიკოსი დიდი პიროვნებაა, ე. ი. ეპოქის მოწინავე, ამაღლებული იდეებით შთაგონებული, იმდენად მისი სულის აღრჩევა, ინტიმურ-სუბიექტური სამყარო ობიექტურ-მოქალაქეობრივი ხდება, თუნდაც ლექსი ქალს სიყვარულს უმღეროდეს და არ აღძრავდეს რაიმე სოციალურ პრობლემას.

„როცა დიდი პოეტი თავის თავზე, თავის „მე“-ზე ლაპარაკობს. — წერდა მელინსკი, — იმავე ღრის ლაპარაკობს სპერთოზე, კაცობრიოებაზე, ცინიკიდან შანტენებაში პოთქეზებულა ყველაფერი ის, რითაც კაცობრიობა ცხოვრობს, ამიტომაც მასში ყოველი ჩვენგანი ცნობს თავის სევედას და ხედვას მასში არა მარტო პოეტს, არამედ ადამიანსაც, ადამიანობით“.

ამის ცხადი დადასტურება იტრისავე ლერმონტოვის პოეზია და მთელი მისი შემოქმედება.

ლერმონტოვის ყოველ ნაწარმოებში ჩანს არა მარტო პოეტის უდიდესი სულიერი ტკივილები, არამედ მათი აღმძვრკელი გარემოებანიც, რომლებშიც იბატება მთელი ეპოქა.

ასე რომ არ იყოს, იგი ვერ დაკავებდა ესოდენ თვალსაჩინო ადგილს საქვეყნოდ განთქმულ რუსულ კლასიკურ ლიტერატურაში.

ჩვენთვის, ქართველებსათვის, განსაკუთრებით სასიამოვნოა და საამაყო, რომ ლერმონტოვის უბადლო პოეტური ნიჭი გაიშალა კავკასიასა და საქართველოში, რომ საქართველო მთელ კავკასიასთან ერთად გახდა დიდი რუსი მწერლის პოეტური სამშობლო.

„სასოცარია. — წერდა ლერმონტოვის ლექსებისადმი მიძღვნილ სტატიაში გენალური რუსი კრიტიკოსი ბ. ბელინსკი. — კავკასიას თითქმის წილად ხვდა ყოფილიყო ჩვენი პოეტური ტალანტების აყვანი, მათი მწეხების შთამაგონებელი და გამომწერთნელი. მათი პოეტური სამშობლო“.

„და აი, — წერდა შემდეგ ბელინსკი, — გვევლინება ახალი დიდი ტალანტი და კავკასიაც ხდება მისი პოეტური სამშობლო. მის მიერ მგზნებაჩრდ შეყვარებული მხარე, კავკასიონის მიუწვდომელ, მარადი თოვლით მოხილ მწვერვალებზე პოულობს იგი თავის პარნასს, კავკასიონის მძვინვარე თერგში, მისი მთების ჩანჩქერებში, მის სამყურნალო წყაროებში პოულობს იგი თავის კასტლის წყაროს, თავის იპოკრენას“.

მართლაც, კავკასიამ შთაგონა ლერმონტოვის ბევრი საუკეთესო ნაწარმოები და შეიძლება თამამად ითქვას, რომ არც ერთ რუს პოეტს, თვით პუშკინსაც კი, ისე ფართოდ და სრულად არ აქვასხევა

კავკასია-საქართველო თავის თხზულებებში, როგორც ლერმონტოვს.

თუ რა ძლიერ უყვარდა საქართველო პოეტს, ეს კარგად ჩანს იმ წერილებში, რომლებიც თავისი მეგობრებისათვის გაუზგავნია ჩვენი ქვეყნიდან.

„აქ კარგი ბიჭები ბევრნი არიან! განსაკუთრებით თბილისში შეხედვები ქალიან პატიოსან ხალხს“...

„როგორც კი გადავიცდი მთაგრეხილს და გადავიდი საქართველოში, მივატოვე ეტლი და გადავყევი ცხენზე. ავტოცლო ყველზე მალე დათოვილი ჯვარის მთაზე... იქიდან ნახევარი საქართველო ისევ მოსჩანს, როგორც ხელის გულზე... ამ წუთში ქვეყანაზე არაფერი მენატრება. მინდა მხოლოდ მთელი სიცოცხლე ჯერ აქ და გადავქეპროდე საქართველოს ბუნებას“...

საქართველოს ბუნებითა და ადამიანებით მოხიბლული ლერმონტოვი თვლიდა, რომ ჩვენი ქვეყანა, თითქმის საგანგებოდ, შემოქმედებითი აღმაფრენისათვის იყო შექმნილი და არ შეიძლებოდა ადამიანს აქ არ სწევოდა ნამდვილი პოეტური შთაგონება.

„თუ კავკასიაში წახვალ, — წერდა ლერმონტოვი ერთ-ერთ ბრათმე თავის მეგობარს რაევსკის, — დაწმენდებული ვარ, შენ ეს „წასვლა“ ბევრ სარგებლობას მოგიტანს: შენ იქიდან დაბრუნდები, როგორც პოეტი და არა როგორც ეკონომისტი-პოლიტიკოსი“.

ეს სიტყვები სრული უფლებითა და რწმენით შეეძლო დაეწერა პოეტს, რომელმაც თვითონ იპოვა საქართველოში თავისი კასტილის წყარო და რომელმაც ჩვენი ქვეყნის ულამაზეს ბუნებასა და ადამიანებს მიუძღვნა უკვდავი პოემები „მწირი“ და „დემონი“, აგრეთვე ბევრი ლექსი და ლეგენდა.

არსებობს მოსაზრება, რომ ლერმონტოვი იცნობდა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანს“ და ამ გენიალურმა ნაწარმოებმა შთააგონა მას მონასტრიდან გა-

ქცეული ქაბუჯის ვეფხთან შეხვედრა. ცნობილი ეპიზოდი პოემაში „მწირი“ ლერმონტოვის დიდ სიყვარულს ეძღვნა. ქვეყნისადმი ქართველი ხალხის სიყვარულითვე უპასუხებდა.

ამ სიყვარულის ერთ-ერთი მკაფიო დადასტურებაა ის ფაქტი, რომ ქართველი პოეტები მუდამ განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ ლერმონტოვის ნაწერების მშობლიურ ენაზე თარგმნას.

აკაკი წერეთლის თქმით, ეს ასეც უნდა ყოფილიყო.

„ლერმონტოვი, — წერდა იგი, — როგორც კავკასიის ბუნებისა და კავკასიელთა ზნე-ჩვეულების მღერალი უფრო ხედება ქართველ გულს და ჩვენი მწერლებიც ხშირად მიჰმართავდნენ ხოლმე. — ბევრი გვაქვს ლერმონტოვიდან ნათარგმნი, მათ რიცხვში პოემებიც ურევია“...

საგულისხმოა, რომ ლერმონტოვის ნაწარმოებთა ქართულად თარგმნას სათავე დაუდო დიდმა ქართველმა პოეტმა აკაკი წერეთელმა.


1858 წელს, ჟურნალ „ცისკარში“, მან დაბეჭდა ლერმონტოვის ცნობილი ლექსის „პალესტინის რტო“ ქართული თარგმანი.

დიდ ყურადღებას უთმობდა ლერმონტოვის ნაწარმოებთა ქართულად თარგმნას ილია ქავჭავაძე.

ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში ილიას უთარგმნია გენიალური რუსი პოეტის „წინასწარმეტყველი“, „ციცაბო კლდე“, „სისუშარი“, „პაჯი-აბრეკა“, და უწყია, მაგრამ აღარ დაუმთავრებია „მწირის“ თარგმნი. გარდა ამისა, ჩვენამდე მოღწეულია ილიას მიერ ქართულად გადმოღებული „დემონის“ პირველი ხანა.

ლერმონტოვის ქართულად ამტყველებაში თვალსაჩინო წვლილი შეიტანა დიდმა ქართველმა პოეტმა ვაჟა-ფშაველამაც.

„ვაჟა-ფშაველამ, — წერს გამოჩენილი ქართველი პოეტი და მკვლევარი ი. გრიშაშვილი, — რომელმაც არც ერთი სტრი-



ქონი არ თარგმნა პუშკინიდან, შეიგრძნო და შეითვისა მეორე დიდი რუსი პოეტი ლერმონტოვი. მან იშვიათი ხერხით, მისთვის უჩვეულო წყობით (10-მარცვლიანი ლექსით) გადითარგმნა ლერმონტოვის „დემონი“, რომელსაც „ქაჯი“ უწოდა.

ვაჟა-ფშაველას გარდა „დემონი“ ქართულად თარგმნეს მ. გურიელმა, კ. ჯაფარიძემ, კ. ჭიჭინაძემ.

ბევრი მთარგმნელი გამოუჩნდა „მწიროსაც“ — იგი მთლიანად თარგმნეს ვ. აბაშიძემ, ა. სიჭინავამ, ცნობილმა ქართველმა პოეტმა ქალმა ბაბილანამ.

განსაკუთრებით დიდი შრომა გასწევს ლერმონტოვის თხზულებათა ვადმოთარგმნისათვის ქართველმა საბჭოთა მწერლებმა და პოეტებმა, მათ შორის შ. დადიანმა, კ. ჭიჭინაძემ, კ. ნადირაძემ, ვ. გაბესკირიამ და სხვ. ქართულ ენაზე არაერთხელ გამოვიდა დიდი რუსი პოეტის მოთხრობები, პოემები და ლექსები.

...საუტუნეზე მეთი გავიდა. რაც უდროოდ ჩაქრა ლერმონტოვის სიცოცხლე, ჩაქრა იმ დროს, როცა მისი უდიდესი პოეტური ნიჭი სრულ სიმწიფეში შედიოდა.

სულ ოცდაშვიდი წელიწადი იცოცხლა ლერმონტოვმა. მაგრამ ეს მცირე დროც კი გენიისათვის საეცებით საცმარისი აღმოჩნდა, რომ შეექმნა მარად უცვლადი ნაწარმოებები, რომლებიც დღესაც ამშვენებენ რუსული და მსოფლიო მწერლობის საგანძურს.

თავისი დროის დიდი მოქალაქე და პოეტი ლერმონტოვი ხელს უწყვდის ჩვენს თანამედროვეობას, ცოცხლობს ჩვენს დროშიც. მისი პუბლიცისტური იდეები გასაგები და ახლობელია კომუნისმის მშენებლებისათვის, მშვიდობის მედროშეთათვის.

იმის ნათელსაყოფად, თუ როგორ აქტიურად ეხმაურება ჩვენს ეპოქას ლეო-

მონტოვის პოეზია, საცმარისი გადმოვწერეთ მისი ერთ-ერთი მშვენიერესი „ვალერი“.

ამ ლექსში, როგორც ცნობილია, კავკასიის ე. წ. სამხედრო ექსპედიციის მონაწილე პოეტი-ოფიცერი, რომელმაც საკუთარი თვალით ნახა, თუ რა საშინელებაა ომი, მკაცრად ილაშქრებს ომების წინააღმდეგ და ქადაგებს მშვიდობას, აღამიანთა მეგობრობის იდეას.

„და მე ვფიქრობდი, კავშით საცესო, საცოდავი აღამიანი!

ნეტავი რა სტრს?... სუფთაა ზეცა, ცის ქვეშ აღვილი ბევრია მისთვის, მაგრამ ყოველთვის, ქვეშაო

მხეცად,

შურსა და მტრობას ეძლევა...

რისთვის?“

(თარგმანი კ. ნადირაძისა)

თავისთავად ცხადია, მშვიდობა, ხალხთა უშიშროება ლერმონტოვის დროს მხოლოდ იდეალი იყო, მაგრამ დღეს იგი უკვე რეალობა ხდება — მთელი მოწინავე და პროგრესული კაცობრიობა თავდადებით იბრძვის ამ უკეთილშობილესი იდეალის ხორცშესხმულ სინამდვილედ გადაქცევისათვის.

აღე ეხმაურება ყველა დიდი პოეტი მომდევნო ეპოქებს, შთამომავლობას, ასე ცოცხლობს იგი ყოველ დროში.

მიხეილ იურის-ძე ლერმონტოვი სწორედ უკვდავთა იმ თანავარსკვლავედში ბრწყინავს, რომელთა გლვარებას ხანი ვერ აფერმკრთალებს, პირიქით, კაშკაშს მატებს მათ.

და ახლა, როცა მთელი მოწინავე და პროგრესული კაცობრიობა ზემოთ აღნიშნავს გენიალური რუსი პოეტის მ. ი. ლერმონტოვის დაბადების 150 წლისთავს, ქართველი ხალხი თავის სადღესასწაულო ხმას უერთებს მსოფლიოს ყველა ხალხთა ხმას.



ახალ სურგულაძე

პიკვედი ინგაინასიონალი და ქაიხავი საზოგადოებრიობა

ასი წლის წინათ, 1864 წლის 28 სექტემბერს, კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა დააარსეს პროლეტარიატის პირველი საერთაშორისო კომუნისტური ორგანიზაცია — პირველი ინტერნაციონალი. ეს იყო რევოლუციური მოძრაობის დიდმნიშვნელოვანი მოვლენა. რამდენადაც ინტერნაციონალის შექმნით საფუძველი დაედო მუშათა კლასის ბრძოლას სოციალიზმისათვის, მომზადდა პროლეტარული პარტიების შექმნის ნიადაგი და დასაბამი მიეცა საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობას. ამიტომ პირველი ინტერნაციონალის დაარსებას ალტავერით შეხვდა მთელი პროგრესული კაცობრიობა. ფართოდ გამოეხმაურა მას ქართველი საზოგადოებაც. ეს იმიტომ, რომ XIX საუკუნის 60-70-იანი წლები აღინიშნა ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის გააქტივებით. ასეთ პირობებში „ხალხთა უკეთესი მომავლისათვის მებრძოლი საერთაშორისო ამხანაგობის“ საქმიანობის პროპაგანდას პრესაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რა-

მდენადაც ხელს უწყობდა განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობას საქართველოში.

ინტერნაციონალის შექმნის დროისათვის ქართულ ენაზე გაზეთი არ არსებობდა. „დროების“ პირველი ნომერი მხოლოდ 1866 წელს გამოვიდა. ამიტომ ძნელდება გარკვევა, თუ როგორ შეხედნენ საქართველოში მუშათა საერთაშორისო ორგანიზაციის დაარსებას (რუსულ ოფიციალურ გაზეთ „კავკაზში“ ამის შესახებ თითქმის არაფერი დაბეჭდილა). მაგრამ მისი პირველი ნაბიჯები რომ ცნობილი იყო და მას დადებითად გამოეხმაურნენ, ეს ფაქტია. მოწინავე ინტელიგენცია რუსული რევოლუციურ-დემოკრატიული ჟურნალ-გაზეთების მეშვეობით ეცნობოდა ინტერნაციონალის საქმიანობას. ამაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ საზღვარგარეთ მყოფი ის ქართველი ახალგაზრდებიც, რომლებსაც ახლო კავშირი ჰქონდათ პირველ ინტერნაციონალთან.

ინტერნაციონალის შესახებ „დროებაში“ მრავალი სტატია, კორესპონდენცია და ქრონიკა დიბეჭდა. მათი ნაწილი ნიკოლაძეს ეკუთვნის, ნაწილი კი დ. ზუბოვს (იგივე დავით მიქელაძეს). რამდენიმე წერილის ავტორია ბესარიონ ჯაფარიძეც. ქრონიკები და კორესპონდენციები ეკუთვნოდან: ნაწილი — ქართულ ქალებს, რომლებიც „ხშირად აგზავნიდნენ წერილებს „დროებაში“ და ბევრი მათგანი ხელმოუწერლად იბეჭდებოდა“.¹ ნაწილი კი რუსული თუ უცხოური პრესიდან იყო ამოღებული.

გაზეთში ინტერნაციონალი სხვადასხვა სახელითაა მოხსენებული: „ხალხთა შორის მუშაობის ლიგა“, „მუშების ასოციაცია“, „საერთაშორისო ამხანაგობა“ და სხვ., მაგრამ ამის მიუხედავად ქართველი საზოგადოებისათვის ცნობილი იყო ამ ორგანიზაციის დანიშნულება, მისი მიზანი და ამოცანები. „დროება“ წერდა: „ეს ასოციაცია არის მთელი ქვეყნის მუშების შენაერთებული. ის ცდილობს, რომ ყველა მუშებს ერთი აზრი, ერთი წადილი და ერთნაირი მოქმედება ჰქონდეთ“ (№ 23, 1871). „დროება“ დაწერილებით მიუთითა ინტერნაციონალის სამოქმედო პროგრამაზეც დ. მიქელაძის სტატიაში „წერილები ქვეყნიდან“ (№ 47, 1872). სტატიის ავტორს ამ მიზნით უსარგებლია და თითქმის სიტყვა-სიტყვით გადმოუწერია კ. მარქსის შედგენილი „მუშათა საერთაშორისო ასოციაციის საერთო წესდების“ ძირითადი დებულებანი. მართალია, ცენტრული პირობების გამო აქ მითითებული არაა ავტორი და დოკუმენტის სახელწოდება, მაგრამ ამის მიუხედავად ფაქტი საუბრად-ღებოა — ეს არის კ. მარქსის ნაშრომი

ყველაზე ადრინდელი ციტირება ქართულ ენაზე.¹

საქართველოში კარგად იცნობოდა ინტერნაციონალის წევრთა რაოდენობა, სოციალური შემადგენლობა, მისი სტრუქტურა, ხელმძღვანელი ორგანოების ადგილსამყოფელიც. „დროებაში“ აღნიშნულია: „ეს საზოგადოება ან ასოციაცია შემდგარია თითქმის მხოლოდ მუშა ხალხიდან, მაგრამ იმის წევრებად არიან აგრეთვე ისეთი მწერლები და სხვა პირებიც... რომელთაც კსურთ მდაბიო, მუშა ხალხის მდგომარეობის გაუმჯობესება. სულ წევრების რიცხვი ორი მილიონი და ნახევარია: ესენი თითქმის მთელ დედამიწაზე არიან გაფანტული. საცა კი ცოტაოდნად შესულა მუშებში განათლების სიღვი, ყველაზე ნახევრად ამ ასოციაციის წევრებს, ცენტრალური მმართველობის კომიტეტი კი ლონდონშია; აქ სწუდება ასოციაციის ყველა საზოგადო და ღირსშესანიშნავი საქმეები“ (№ 23, 1871).

გაზეთი სწორად მიუთითებს ინტერნაციონალის დამაარსებელ პირთა ვინაობას, მაგრამ საინტერესო ისაა, რომ იგი გამოყოფს კარლ მარქსის სახელს და მას ორგანიზაციის ხელმძღვანელად თვლის. ერთ წერილში მითითებულია: „ხალხთა შორის მუშაობის საზოგადოების... კომიტეტის თავი ნემეცი კარლ მარქსია“ (№ 41, 1871).

ინტერნაციონალის შესახებ მასალების ბეჭედა „დროებაში“ გაფართოვდა პარიზის კომუნის დღეებში. მუშათა საერთაშორისო ორგანიზაციის დამოკიდებულება კომუნის საქმიანობისადმი, ვერსად-ღელთა წინააღმდეგ ბრძოლა, ინტერნაციონალის ღონისძიებანი და სხვ. გაზეთის განხილვის საგანი გახდა. 1871 წლის 15 აპრილს „დროება“ წერდა: „ახლანდელი პარიზის რევოლუციის პლანები

1 გ. აბზიანიძე, ნარკვევები XIX საუკუნის ქართული აზროვნების ისტორიიდან, 1959, გვ. 475, 502.

1 ლ. გორგილაძე, ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან, 1961, გვ. 193.



ლონდონში დაუწყეია მარქსი, ასისი. ბენ-ტის, ღარმოტს... ყველა ესენი არიან სხვადასხვა ქვეყნების წარმომადგენელი წევრები ლონდონის ხალხთა შორის მუშების ლიგისა“ (№ 15); და შემდეგ: „პარიკის არეულობის მომხდენი და მოთავე მუშების საზოგადოება იყო... პარიკის მუშებს ლონდონისა და ბერლინის კომიტეტებიდან მოსდოდათ ინსტრუქცია და დარიგება თუ როგორ უნდა მოქცეულყენენ ისინი და როგორ უნდა წაყვანათ არეულობის საქმე“ (№ 23, 1871). მართალია, გაზეთი რამდენადმე აჭარბებს კომუნის საქმეებში ინტერნაციონალის როლს, მაგრამ აქ მთავარი ეს კი არაა, არამედ ის, რომ ქართველი საზოგადოება ევროპის რევოლუციური მოძრაობის მსვლელობის კურსში იყო. მოტანილი ციტატა საინტერესოა იმ მხრივაც, რომ იგი პირველად ქართულ პუბლიცისტიკაში იხსენიებს კ. მარქსის სახელს.¹

1871 წლის საფრანგეთის რევოლუციის გაფართოებასთან ერთად ინტერნაციონალმა გააქტიურა თავისი საქმიანობა. ეს შეუმჩნეველი არ დარჩა „ღროებას“. იგი კიდევ წერდა: „წევრები ხალხთა შორის მუშაობის ასოციაციისა დაიარბიან თურმე საფრანგეთის და აგრეთვე ბელგიის და ინგლისის ქალაქებში და იწყევენ თავის ამხანაგებს, რომ იმათაც მიიღონ მონაწილეობა პარიკის არეულობაში და დაეხმარონ იქაურ მუშებს სხვადასხვა უფლებების მოპოვებაში“ (№ 18, 1871).

„ღროება“ იცნობს ინტერნაციონალის საქმიანობას კომუნის დამარცხების შემდეგაც. ჩანს, საქართველოში სწორი ინფორმაცია ჰქონდათ ამ ორგანიზაციის ლონდონის კონფერენციის გადაწყვეტილებების შესახებაც. ერთ წეროში აღნიშნულია: კომუნის დამარცხების შემ-

დეგ დაწყებული რეაქციის გამო ლონდონში „მხოლოდ 26 სხვადასხვა ინტერნაციონალის წარმომადგენელი მოიწვიეს და საილუმლო კრება დანიშნეს... კრებამ 15 კაცი ამოარჩია საზოგადოების საქმეების გამგებლად, რომელნიც მუდამ ლონდონში არიან და ცენტრალურ კომიტეტს შეადგენენ. კომიტეტის თავი კარლ მარქსია, რომელმაც კრებას საზოგადოების მოქმედების ანგარიში წაუკითხა“. გაზეთის სიტყვით, „კრებამ გადაწყვიტა, რომ განსაკუთრებით ყურადღება საფრანგეთისა და რუსეთის მუშებს უნდა მიეცეყოთ“ (№ 41, 1871).

უნდა ითქვას, რომ პირველი ინტერნაციონალის მოღვაწეობის უკანასკნელი წლები სუსტად აისახა ქართულ პრესაში. თითქმის არაფერია დაბეჭდილი ამ ორგანიზაციის დაშლის შესახებ. ჩანს, „ღროების“ კორესპონდენტებისათვის უცნობი დარჩა მიზეზები ინტერნაციონალში გაჩაღებული იმ შინაპარტიული ბრძოლისა, რომელიც კომუნის დამარცხების შემდეგ რეაქციისა და სხვადასხვა წერილებითა და აზიულ მიმართულებათა ზეგავლენით წარმოიშვა.

პირველი ინტერნაციონალისადმი ქართველი საზოგადოების ინტერესი გაზეთში გამოქვეყნებული წერილებით არ განისაზღვრება. ირვევა, რომ ქართველები ესწრებოდნენ ინტერნაციონალის სხდომებს, მონაწილეობდნენ მის მუშაობაში. ესენი იყენენ რადიკალურად მოაზროვნეის ახალგაზრდები, მათ შორის ქალბერიც, რომლებიც 60-70-იანი წლების მიჯნაზე მასობრივად გაემგზავრნენ შვეიცარიისა და საფრანგეთში უმაღლესი განათლების მისაღებად. ქართველი სტუდენტები სწავლასთან ერთად ხალხით მონაწილეობდნენ საზღვარგარეთის რევოლუციური ორგანიზაციების პრაქტიკულ საქმიანობაში. ამ მხრივ ახალგაზრდების დიდ დაინტერესებას იწვევდა პირველი ინტერნაციონალი. ამის შესახებ ცნობილი რუსი ნაოოდნეი ნიკ. მოროზოვი წერდა: „არო-

1 პ. გუგუშვილი, კ. მარქსი ქართულ პრესასა და პუბლიცისტიკაში, 1960, გვ. 62.



დესაც ინტერნაციონალის სხდომებს ვესწრებოდი... თითქმის ყოველთვის ვხედავდი იქ ახალგაზრდა ქალთა სამეფულს. ერთი მათგანი იყო თავადის ქალი გერამიშვილი (ოღლა ალექსანდრეს ასული. შემდეგში ნ. ნიკოლაძის მეუღლე — ა. ს.), მეორე, იმერელი წერეთელი (მამიკო ექვთიმეს ასული, გ. წერეთლის და — ა. ს.) და მესამე, ნიკოლაძე და ცნობილი ქართველი მწერლისა. ნიკ. მორაზოვის მოწმობით, ისინი თურმე ხშირად უერთდებოდნენ რუს რევოლუციონერ-დემოკრატებს და კომუნარებს „ინტერნაციონალის სხდომებზე დასასწრებლად“.¹ მართლაც, თ. გურამიშვილის სიტყვით. „უენევაში ჩვენ არ ვტოვებდით ინტერნაციონალის არც ერთ სხდომას. ყველაზე დიდ გავლენას ახდენდა ჩვენზე ინტერნაციონალის კომუნისტური სექციის წევრების სიტყვები. მათ აღფრთოვანებულ გამოსვლებს არსებული წყობილების წინააღმდეგ ჩვენი წარმოდგენები გადაჭიმვით პარიზის კომუნის ბაიკალებზე და ეს ჩვენში კიდევ მეტ სიმპათიას მატებდა მათ მიმართ“.²

ინტერნაციონალთან მჭიდრო ურთიერთობაში იყვნენ აგრეთვე შვეიცარიაში 1873 წელს დაარსებული ქართველთა რევოლუციური ორგანიზაციის „უღელს“ წევრები. თ. გურამიშვილის სიტყვით, „გოლდენბურგი ინტერნაციონალის კომუნართა სექციის მდივანი, ახლო დამოკიდებულებაში იყო „უღელის“ საზოგადოებასთან, ჩვენთან ხშირად შემოდიოდა“. ასეთ პირობებში, ცხადია, ქართველებსათვის ცნობილი იყო ინტერნაციონალის გადაწყვეტილებათა უმრავლესობა. მართალია, „უღელის“ წევრთაგან ყველას ერთნაირი შეხედულება არ ჰქონდა იმ საკითხებზე, რომლებსაც ჩვენს

წინაშე აყენებდა ინტერნაციონალის სხდომები, მაგრამ ერთი კი ცხადყოფნა ყველა ჩვენგანის გონებითაა დასაბუთებული. „უღელის“ წევრები იყვნენ მოსამართლეები სიბერეებისა... სხდომებზე ხშირად გვესმოდა მარქსის სახელი. ჩვენ ვთხოვეთ მის შესახებ მოხსენება გაეკეთებია ბესარიონ ჯაფარიძეს, რომელიც ჩვენს შორის ყველაზე მეტად დაკავშირებული იყო ინტერნაციონალთან... მარქსის სახელზე დიდ დებატები გამოიწვია „უღელის“ კრებაზე. თუმცა ეპიკურსობა დიდის სიმპატიით ეპყრობოდა ამ სახელს... მარქსის სახელი დავას იწვევდა ინტერნაციონალთან დაკავშირებით, რადგან ჩვენს შორის ზოგი მეტად გატაცებული იყო ბაქუნინით და მასთან შეხედრებაზე ოცნებობდნენ. მარქსის და ბაქუნინის მიმართულება კი დამეტრიალურად საწინააღმდეგო იყო ინტერნაციონალის საქმეებში“.

პირველი ინტერნაციონალის ხელმძღვანელობასთან ახლო იდგა ნიკო ნიკოლაძე. ცნობილია, რომ 1864 წლის შემოდგომაზე იგი პარიზს ჩავიდა და პოლ ლაფარგის შეწვევით მალე დაუბრუნდა კ. მარქსს. ისინი ხშირად საცდობდნენ ინტერნაციონალის მოღვაწეობის, კერძოდ საქართველო-ამიერკავკასიაში მისი იდეების პროპაგანდის შესახებ. ჩანს, კ. მარქსს მოსწონდა დიდად განათლებული, მოწინავე რევოლუციური შეხედულებების მქონე ნ. ნიკოლაძე, რომელსაც შესთავაზა კიდევ „მედიო თავის თავზე ინტერნაციონალის წარმომადგენლის მოვალეობა ა-კავკასიაში“, უდაოა, ასეთი დაულება დიდი ნდობისა და სიახლოვის შედეგად იყო. სამწუხაროდ, როგორც პროფ. ს. ხუნდაძე იგონებს, „ამ წინადადებაზე სხვადასხვა მიზეზების გამო ნიკოლაძეს უარი უთქვამს“ (ეურ. „დროშა“, № 14-15, 1934).

მასშალამე, ქართველები არა თუ იცნობდნენ ინტერნაციონალის საქმიანობას „დროშის“ მეშვეობით, არამედ უცხოეთში მყოფი რევოლუციურად განწყო-

1 ნ. მორაზოვი, ჩემი ცხოვრების ამბები, 1933, ტ. 2, გვ. 199 (რუსულად).

2 ნ. ნიკოლაძის არქივი, № 38,25 (უცუელია თბილისის საჯარო ბიბლიოთეკის ქართველოლოგიის კაბინეტში).



ბილი ახალგაზრდები ესწრებოდნენ მის
სხდომებს, მხურვალედ მონაწილეობდნენ
ინტერნაციონალის ქენქეია სექციის მუ-
შაობაში, ჟამათობდნენ შიღებულ გადა-
წყვეტილებებზეც. ამით აიხსნება, რომ
„დროებაში“ მუშათა საერთაშორისო ორ-
განიზაციის შესახებ ობიექტური და შინა-

არსიანი სტატიები იბეჭდებოდა **დროებაში**
და მნიშვნელობის მოკლენა **ბილი** **სხდომებზე**
ავტორებო. ჯერ ერთი, პროპაგანდას
უწყევდნენ ინტერნაციონალს, მის იდეებს;
და მეორეც, ამით ხელს უწყობდნენ ქა-
თული საზოგადოებრივი აზროვნების გა-
ვითარებას.





შოთა ქარიძე

ვიქტორ გაბესკირია

„შენზე მუზეები მგლოვიარედ
არხვევენ ზარებს...“

კ. ნადირაძე.

მოულოდნელი და მძიმე დანაკლისი განიცადა ქართულმა ლიტერატურამ — უეცრად გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი პოეტი და დრამატურგი ვიქტორ გაბესკირია.

მისი სახით ქართულმა მწერლობამ დაკარგა უანგარო მუშაკი, ნაცნობ-მეგობრებმა — უაღრესად გულთბილი ადამიანი.

ყველა, ვინც ახლოს იცნობდა ვიქტორ გაბესკირიას, მას ახასიათებდა როგორც პირუთენელ, საოცრად კეთილშობილ და პატიოსან ადამიანს.

ზოგს მხოლოდ ის უკვირდა, რომ ვიქტორის მეგობართა შორის ბლომად იყვნენ „უსახელონი“. მაგრამ ამაში არაფერი იყო საკვირველი. ვიქტორი ადამიანში უპირველეს ყოვლისა კეთილშობილურ წრფელ გულს აფასებდა და განუტრეხვლად ყველა უყვარდა, ვისაც კი ასეთი გული ჰქონდა.

შეიძლება თამამად ვთქვათ, რომ იგი მეგობრებს თითქმის მართლამ ერთო ნი-

შნით ერჩევდა. ტყუილად კი არ განაცხადა ასეთი სიამაყით თავის უკანასკნელ ლექსში („ეპიტაფია“) „ცულ კაცთან მე არასოდეს პური არ გამიტენია“.

ვიქტორ გაბესკირიამ რაინდული მეგობრობა იცოდა. ლხინს გულით გაიზარებდა, ჭირშიც გვერდით ამოვიდგებოდა, ყოველთვის მონახავდა სანუგეშო სიტყვას. გაგამხნევებდა, გულს გაგიმაგრებდა, თვითონ კი ძვირად დაცდებოდა მიჭირსო — ერიდებოდა, ეკრძალებოდა, მეგობარი არ შევაწუხოო. თუ მისი ბედის გამო შეეფოთებას შეგატყობდა, თვითონვე შეეცდებოდა შენს დამშვიდებას, საეუთარ ჭირს არად ჩაადგებდა.

იგი იმდენად მოკრძალებული იყო, რომ ბათუმში ჩამოსვლისას მხოლოდ უახლოეს მეგობრებს თუ მოიკითხავდა, ორიოდე წუთით შეუვლიდა სამსახურში და მაშინაც წარამარა ეკითხებოდა, გადაუდებელი საქმე ხომ არაფერი გაქვს, ტყუილ-უბრალოდ არ გაცდენლე, ჩემი

გულისთვის საქმე არ გაგიფუჭდესო. ამიტომ უფრო ხშირად მარტოდმარტო სერიზოზა ბათუმის ქუჩებში, ზღვისპირა პარკში და, თუ შემთხვევით გადაეყრებოდა რომელიმე მეგობარს, გულით გახარებდა. უყვარდა მეგობრებთან საუბარი და ჭადრაკის ან ნარდის თამაში.

პირად ცხოვრებაში საოცრად მოკრძალებული, ლიტერატურაშიც ისეთი იყო და მთელი არსებით ძაგდა ყოველგვარი პოეზია. მას ჩრდილში ყოფნა ერჩივნა და უმსახურებლად წინ წარმოჩენას. იგი თითქმის ქვეცნობიერად მიადევდა პარანკვას: „საქმემან შენმან გამოგაჩინონ შენ!“

საქმეს კი შრომა და სიყვარული უნდა. ნიჭთან ერთად, რა თქმა უნდა, მაგრამ თუ ნამდვილად გიყვარს (ვიქტორს ეს სულმად სჯეროდა), პატარა ნიჭითაც შეგიძლია სასარგებლო იყო და შენს ქვეყანას, ხალხს არგო. მთავარია წრფელი გულით მიგქონდეს მშობლიურ ხალხთან შენი ნახელავი.

ჩემსა და უბრეტენიოსს, ვიქტორს ყოველთვის ერიდებოდა თავის შემოქმედებაზე ლაპარაკი და, თუ რომელიმე ნაწარმოებზე შეუტებდნენ, თავს უხერხულად გრძნობდა, საუბარს მაშინვე ახვს თემაზე გადაიტანდა. ერთხელ თავისი ლექსების ახალი კრებული „ლირიკა“ მაჩუქა და თან მთელი გულით მთხოვა. საქებარი არაფერი დაწერო ამ წიგნზე, ამისათვის არ მიჩუქნიაო. ხომ დამახასიათებელია, რომ მის „ლირიკას“, რომელიც „თანამედროვე ქართული პოეზიის ბიბლიოთეკა“ სერიით გამოვიდა, სხვა წიგნების მსგავსად დართული უნდა ჰქონოდა ავტორის მოკლე ბიოგრაფია და შემოქმედებითი გზის მიმოხილვა. მაგრამ მასში მხოლოდ ლექსებია დაბეჭდილი.

ამავე დროს ვიქტორ გაბესკირა ცნობილი პოეტი და დრამატურგი იყო. ბოლო წლებში კი თავი გამოიჩინა ლიტერატურულ-კრიტიკული სტატიებითაც. მისი „წერილები ლიტერატურაზე, ხელოვნება-

ზე“, საკმაოდ სპელტანიანი წიგნი. ძალიერ გულთბილად მიიღო მკითხველმა და გადოებრიობამ და ლიტერატურულმა კრიტიკამ. შეიძლება მასში ზოგი რამ სადავო იყოს, ავტორი ზოგჯერ ცდებოდეს, მაგრამ ცდება თუ არა, იგი ყოველთვის უაღრესად გულწრფელია და უშუალო. და სწორედ ეს უშუალობა და გულწრფელობა, ორმა ერთდროისთან ერთად, ზიზღავს მკითხველს.

როგორც პოეტი, ვიქტორს საკუთარი, ინდივიდუალური ხმა და პოზიცია ჰქონდა. იგი დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა მწერლის სახელს. მწერლის შრომას, დაწერო ისეთი ლექსი, რომლის დაბეჭდვამაც უარს ეერ გეტყვიან, ძლიერ ადვილიაო, ხშირად ამბობდა ხოლმე იგი. მაგრამ ნამდვილმა შემოქმედმა არასოდეს არ უნდა იკადროს მკითხველს მიაწოდოს მოუწოდებელი, განუთქმელ-გაუთხარებელი ნახელავი.

ჭეშმარიტი ხელოვნების ნაწარმოებიც ისევე იქმნება, როგორც ბუნებრივი მარგალიტი, მითხრა ერთხელ ვიქტორმა. მარგალიტი რომ გაჩნდეს, ნიჭარაში უთვალავი მარჯანი უნდა ჩაყდეს. ერთ ნამდვილ ლექსშიც ათობით რიცხით ლექსი უნდა ჩაყდეს და მხოლოდ მაშინ გახდება იგი პოეტური შედეგად. ჩანს, დიდმა შოთამ შემთხვევით როდი უწოდა თავის ლექსს ხელიხელ საგოგმანებელი მარგალიტი!

ვიქტორ გაბესკირას მოაჩნდა, რომ თვითული მხატვრული ნაწარმოებით შემოქმედმა რაღაც ახალი უნდა თქვას, მოაგნოს ისეთ დამახასიათებელ დეტალს. რომელიც ახლებურად გამოაჩენდა ყოველდღიურ, უკვე საცხებიტ გაჩვეულებრივებულ მოვლენას, ახალი კუთხით დაგვანახებდა მას. ეს მისი ურყევი მხატვრული პოზიცია იყო. რომელსაც ერთგულად იცავდა პირველი ნაწარმოებიდან მოკიდებული უკანასკნელ ლექსამდე.

ამ მიზანს ვიქტორმა ძლიერ თავისებურად აღწევდა. ლექსში იგი შეგნებულად

წამყვან ავტოალს ანიჭებდა ეპიტორი ელემენტა — აღწერას, თხრობას და ზოგჯერ გაერთიანებათ კიდევ რა ჩვეულებრივზე და ჩვეულებრივად წერდა, მაგრამ ბოლო სტრიქონებით ისეთ დეტალს შეიტანდა ლექსში. ასე უჩვეულოდ დაამთავრებდა, რომ ერთბაშად ყველაფერი ახალ შექმნე წარმოცდებოდათ, ახლებურად შეხედავდით, განიცდიდით სავსებით ჩვეულებრივს, რომელსაც ყოველდღიურ განმეორებათა გამო მანამდე არაფერი ყურადღებას არ აქცევდით. ეს ე. გაბესკირიას ლექსს ახლოვებდა ნოველისთან და შეიძლება ითქვას, რომ მისი თვითელი საუბრითა და ლექსი თავისებური პოეტური ნოველია.

აბა, ვის არ უნახავს, როგორ მოხვედია სურთ ზეს, მაგრამ ე. გაბესკირიას ლექსში „თელა და სტრო“ ამ სახესებით ჩვეულებრივ ფაქტს საოცარი თანატოლობით იყენებს დიდი მხატვრული განზოგადებისათვის. ნორჩი თელა ამოდ ქმდარება სტროს, ზრდას ნუ მაშლი, მომშორდით, მაგრამ მოდის აღმართი, დაჭრავს ნაჯახს და... „სტრო ეხვევა თელას ვით ძმას და განწირულადი ერთად სტრიან“. ასეთივე მოულოდნელი ფინალი აქვს ე. გაბესკირიას თითქმის ყველა საუბრითა და ლექსს და ისეთი შთაბეჭდილება გექმნებათ, რომ პოეტი თითქოს ბოლო სტრიქონებისათვის წერს მთელ ლექსს, ამით ახსნება, ალბათ, რომ ე. გაბესკირიას ლექსები, როგორც წესი, მოცულობით დიდი არ არის, ხშირად ერთი ან ორ-სამსტროფიანია, პოეტი უახლოესი გზით მიისწრაფის ფინალისაკენ, რომელშიც ცნებრივება ლექსის იდეა და ელინდება მისი ნაზი, მეტისმეტად სათუთი ლირიზმი.

ამგვარ დეტალებს რომ მიაგნო, ამგვარი ლექსი რომ შექმნა, დიდ და კეთილშობილ გულთან ერთად უნდა გქონდეს მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობა. უნდა შეგეძლოს შეუპოვარი შრომა. უქველია, ეს მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობა იყო იმის ძირითადი მიზეზი,

რომ ეპიტორი გაბესკირია ისე, ამგვარივე აქვეყნებდა ახალ ნაწარმოებებს და ლექსებს კრებულსაც ათ წელიწადში ერთხელ ეკრებულ სტემა.

მოუხედავად ამისა, ე. გაბესკირიამ მნიშვნელოვანი პოეტური შემოქმედება დაგვიტოვა და თავისი წვლილი შეიტანა ქართულ ლექსის განვითარებაში. მან ახალ თემებითა და იდეებით გაამდიდრა ჩვენი პოეზია. განსაკუთრებით საგულისხმოა, რომ ე. გაბესკირიამ ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში ერთ-ერთმა პირველმა დაამკვიდრა ზღვის თემატიკა.

როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ არტურ ლისტმა აღნიშნა, რომ ქართულ პოეზიაში თითქმის არსად ჩანს ზღვა და მისი პეიზაჟები. თუმცა საქართველო ზღვის ქვეყანაც არის. მართლაც, ჩვენი პოეტები და მწერლები შთაგონებით უმეტესად ცადაზიდულ მთებს, მქუხარე მდინარეებს, მაგრამ ძლიერ იშვი თად — ზღვას. ეპიტორი გაბესკირია ამ მხრივ გამონაკლისი იყო — საქართველოს ზღვისპირეთში გაზრდილმა პოეტმა დიდი შთაგონებით უმეტესად ზღვა, დახატა მისი საუცხოო პეიზაჟები და აღმართები, რომლებიც არ ეპყებიან, მამაცურად ებრძვიან ზღვის სტიქიონს და იმორჩილებენ. ხალხის სამსახურში აყენებენ მას.

სასიამოვნოა, რომ ე. გაბესკირიას „საზღვაო“ ლექსებში ერთი-ერთი წამყვანი ავტორი უყვია ბათუმს და საერთოდ აქარს ზღვისპირეთს. აქვე უნდა დავძინოთ, რომ ეს შემთხვევითი არ ყოფილა. პოეტის შემოქმედებითი დავაყვაცების წლები დამთხვავა ჩვენს ქალაქში მის მოღვაწეობას. მართალია, პირველი ლექსები მან ფოთის გაზეთში გამოაქვეყნა, მაგრამ ოცნანი წლების დამდეგს იგი საცხოვრებლად გადმოვიდა ბათუმში და მაშინვე აქტიურად ჩაება აქაურ ლიტერატურულ ცხოვრებაში. საქმარისია ითქვას, რომ ეპიტორი იყო ლიტერატურულ-მხატვრული ეურანლის „ისპირი“ დაარსების

შოთა რუსთავეა

ქაჯ პეისონაჟთა საკითხისათვის „ვეფხისტყაოსანში“

„ვეფხისტყაოსნის“ „ქაჯი“ არის არა მარტო მითოლოგიური, ზღაპრული, არამედ რეალური ნამდვილი არსება, ადამიანი.

კ. კეკელიძე.

შოთა რუსთაველის პოემაში არც ისე ცოტაა ისეთი სიტყვები, რომელთა ავტორისეული მნიშვნელობა სულ სხვაა. ვიდრე მათი ახლანდელი შინაარსი; პოეტს ავრთვევ რამდენიმე ერთი და იგივე სიტყვა უხმარია პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით. პოემის ამა თუ იმ სიტყვის არაავტორისეული გაგება დიდად აბრკოლებს მრავალი რუსთველოლოგიური საკითხის მართებულ გადაწყვეტას და დიდ თუ პატარა გაუგებრობასაც ქმნის.

ამ მხრივ პირველად უნდა დავასახულოთ სიტყვა „ქაჯი“. ზოგიერთი რუსთველოლოგი პოემის ამ სიტყვას ზღაპრებით ცნობილ „ქაჯთან“ აიგივებს და თხზულების ქაჯ პერსონაჟებს ამავე სახელწოდების ზღაპრულ პერსონაჟებად თვლის.

შოთა რუსთაველის პოემის „ქაჯს“ მეკვლევარნი სხვადასხვანაირად განმარტავენ: „ქაჯი მავნე სულა, ქაჯეთის მკვი-

დრი, საზღაპრო ჯადოსნური საქმეებით და საომარი ხერხებით განთქმული ხალხი“ (იუსტ. აბულაძე, ვეფხისტყაოსნის 1926 წლის გამოც., გვ. 285; პოემის 1951 წლის გამოც., გვ. 386); „გრძნეული მავნე სული“ (ს. კაკაბაძე, ვეფხისტყაოსნის 1927 წლის გამოც., გვ. 206); „ზღაპრული არსება უხორცო და ადამიანის მავნე, გრძნეული და ჭკვიანი ადამიანი; ავრთვევ ხალხი ქაჯეთში მცხოვრები“ (დ. კარიჭაშვილი, ვეფხისტყაოსნის 1903 წლის გამოც., გვ. 348); „არა მარტო მითოლოგიური, ზღაპრული, არამედ რეალური ნამდვილი არსება, ადამიანი“ (კ. კეკელიძე, ავტორი ვეფხისტყაოსნისა და დრო მისი დაწერისა, მნათობი, 1931, № 7-8, მ. ჯანაშვილი, თამარ მეფის მხატვანი, გვ. ტრიბუნა, 1923, № 481); „ზღაპრული არსება, რომლის აღწერა მოცემულია 1247-1249 სტროფებში“

(შ. რუსთაველი, ეფთხისტყაოსანი, 1957, გვ. 387).

იმის გამოსარკვევად, თუ რომელია მართებული ზემოჩამოთვლილი მოსაზრებებიდან, საჭიროა ჯერ ყუბაღლება მიეცეს იმ ვარემოებს, რომ „ეფთხისტყაოსანში“ ავთანდილის მიერ ნახსენები (მხოლოდ ნახსენები) „ქაჯი“ ზღაპრულ-ფანტასტიკურის, უხორცო არსების აღმნიშვნელი სიტყვაა. ასეა, მაგალითად, ტაყებში: „ეთო ქაჯი დაგვემალე“ (286); „უღონიოდ მართალ იყენეს, რომელთაცა ქაჯად თქვიან“ (192); „ქაჯნი ყველა უხორცოა, რამან შექმნა ხორციელად?“ (1245); „მავრა ქაჯნი უხორცონი რას აქნევენ, მიკვირს ქალსა?“ (1246); სიტყვა „ქაჯს“ ზღაპრულ-ფანტასტიკური მნიშვნელობით ხმარობს აგრეთვე ფატმანი, ნელომ მხოლოდ ერთხელ: „არ ქაჯნია, კაცნიაო“ (1246). რაც შეეხება პოემის ქაჯ პერსონაჟებს, როგორც რუსთაველი განმარტავს, ისინი რეალური, ისტორიულად არსებული ტომის წარმომადგენლები უნდა იყვნენ. ასეთებია, მაგალითად, ღულარდუხტი — მეფე ქაჯეთისა, როსანი და როდია — მისი ძმისწულები, როშაქი — ქაჯთა მონების მეთაური, დავარის ორი მონა (ქაჯი უნდა იყოს ფატმანის მალუმსარბოლიც). საინტერესოა ის ვარემოება, რომ რუსთაველსათვის ცნობილი ყოფილან არა მარტო ზღაპრულ-ფანტასტიკური ქაჯები, არამედ ამგვარი სახელწოდების რეალური ტომის თუ ეთნოგრაფიული ჯგუფის აღმნიშვნელიც. პოეტი ხაზგასმით აღნიშნავს, ნესტანის შემპყრობნი არიან არა ზღაპრული ქაჯნი, არამედ კაცნია: „არ ქაჯნია, კაცნიაო, მინდობიან კლდესა სალსა“ (1246); პოეტი სხვაგანაც ამბობს: ისინი ყველანი „კაცნია, ჩვენებრვე ხორციელნი“ (1249), ოღონდ გრძნებაში დახელოვნებულნი.

რუსთაველს რეალურად არსებული ტომის წარმომადგენლები რომ ჰყავს გამოყვანილი მოქმედ პირებად და არა ზღაპრულ-ფანტასტიკური არსებანი და

რომ პოეტის განმარტებანი ქაჯ პერსონაჟთა რეალობის შესახებ სომართულობით ფერება, მტკიცდება შემდეგი ფაქტებით: ქაჯის ანუ ქაჯის ტომი, რომელიც უსეთივე შეგვიანონ აღმნიშვნავან შედგება, როგორც „ეფთხისტყაოსანში“ აღნიშნულა, შემორჩენილა ნიგერიასი. აქ, გვიანა ზანგებისა, ცხოვრობენ კობტები, ასურები (ასურები), ინგლისელები, მაქსისელები, ირლანდიელები და სხვანი. აქვე, რაც ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა, ცხოვრობს ქაჯის ანუ ქაჯის ტომი, რომელიც 1952-1953 წლების აღწერით 25 ათას ქაჯს აერთიანებს (რ. ისვიალოვი, ნიგერიის ხალხები, რუს., 1963, გვ. 207). ამ მხრივ მნიშვნელოვანია ის გაზეოვებაც, რომ ისტორიულად ცნობილი ყოფილა აგრეთვე ქვეყანა „კაჩი“ (ინგლისური გამოთქმით) და ენა „კაჩი“. „კაჩის“ ქვეყანა ერთ დროს ბრიტანელი ინდოეთის ვასალურ სახელმწიფოთ ითვლებოდა (ვ. სოხაძე, ეფთხისტყაოსნის ღვთაშეტყვევებზე, 1963, პარიზი, გვ. 322). ჩვენ დამატებულებით არ ვიცით, თუ კანსა რომელი ფერის აღმნიშვნელი ცხოვრობდნენ „კაჩის“ სახელმწიფოში ანდა „კაჩი“ და „ქაჯი“ შესტად დაქვეყნებული ცნებებია თუ არა, მაგრამ ის კი ცხადია, რომ როგორც ზემოთ აღნიშნა, ქაჯის ტომის შეგვიანარი აღმნიშვნები, როგორებიც „ეფთხისტყაოსანში“ ასახულია, ახლაც ცხოვრობენ. ეს ფაქტი იმას მოწმობს, რომ „ეფთხისტყაოსნის“ ქაჯი პერსონაჟები რეალურად არსებული ტომის თუ ეთნოგრაფიული ჯგუფის წარმომადგენლები უნდა იყვნენ და მათ შინაარსობრივი თვალსაზრისით არაფერი არ უნდა ჰქონდეთ საერთო ზღაპრულ-ფანტასტიკურ ქაჯებთან. ამ შეხედულებას ისიც ამავრებს, რომ „ეფთხისტყაოსნის“ ქაჯ პერსონაჟებს, როგორც ირკვევა, არავითარი ზღაპრულ-ფანტასტიკური, არააღმნიშვნელი ნიშან-თვისებები არ მოუპოვებათ.

უნდა აღინიშნოს, რომ „ეფთხისტყაოსნის“ ქაჯი პერსონაჟები რეალურ, რატო-





რელ ადამიანთა კოლექტივის წარმონაღებნებად მოუჩვენია აგრეთვე ვიქტორ ნოზაძეს (ვეფხისტყაოსნის ლეონს-მეტყველება, 1963, პარიზი, გვ. 322).¹

ის გარემოებანი, რომ ქაჯთა ტომის ადამიანები, ახლაც ცხოვრობენ ნიგერიაში (აფრიკაში), ისე კი არ უნდა გავიგოთ, თითქმის შოთა ზუსტად აღწერილი იქნება აფრიკელ ქაჯებს. არა, ქაჯთა ტომის ახლანდელი არსებობა იმას მოწმობს, რომ პოემის ავტორისათვის ცნობილი უნდა ყოფილიყო ინდოეთისა ან სხვა ქვეყნებში მცხოვრები შავკანიანთა მოღვაწის ზემოდასახლებული ტომი თუ ეთნოგრაფიული ჯგუფი, ვინაიდან ნიგერიის რამდენიმე ათეული ტომი ამჟამად ბევრ ქვეყანაში ცხოვრობს. ანალოგიური მდგომარეობა უნდა გვეჩინოდა შოთა ზუსტად აღწერილი ეპოქაშიც.

ზოგიერთი მკვლევარი თვლის, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ქაჯთა ზღაპრულობის დამადასტურებელია შემდეგი სტროფები:

„ქაჯნი სახელად მით ჰქვიათ,
არიან ერთად კრებულნი,
კაცნი, გარძნებისა მცოდნენი,
ზედა გახელოვნებულნი,
ყოველთა კაცთა მადნენი,
იგი არვისგან ვნებულნი;
მათნი შემბმელნი წამოვლენ
დამბრძოლნი, დაწბილებულნი“

(1247).

„...ამისთვის ქაჯად უხმობენ
გარეშემონი ყველანი,
თვარა იგიცა კაცინა,

1 შეხედულება, რომ ზუსტად აღწერილი ნაწარმოებში ქაჯი პერსონაჟები რეალური ადამიანები არიან და არა ზღაპრულები, გამოთქმული ვაჟა-ფშაველას მიერ: „სინამდვილის ობიექტური ასახვის საკითხისათვის „ვეფხისტყაოსანში“ (გაზ. თბილისის უნივერსიტეტი, 1962, 14 დეკემბერი), „სინამდვილის სახეის საკითხისათვის „ვეფხისტყაოსანში“ (გაზ. თბილისი, 1963, 7 იანვარი) და სხვ.

ჩვენებრვე სორციელანი“.

ავთანდილ მაღლი უბრადად აღწერს
„ცუცხლი დამივსენ ცხტად მისი“
დიდად მიამნეს ამბავნი,
სიტყვანი აწინდელანი“

(1249).

ამასთან საჭიროა ითქვას, რომ ზემოთხსენებულ სტროფებში, და არც სხვა ადგილას, არსად არა გვაქვს ქაჯთა ზღაპრულობის დამადასტურებელი „აღწერა“. პირველი, როგორც აღინიშნა, აქ პოეტი ფაქტუალურად განმარტავს, რომ ნესტანის შემპყრობნი ქაჯნი არიან „კაცნი“, „ჩვენებრვე სორციელანი“, 1246-ე სტროფში კი პოეტი გარკვევით ამბობს: პოემის ქაჯნი არ არიან ზღაპრული არსებანი („არა ქაჯნი, კაცნი“). ამით აიხსნება, რომ ფაქტუალური ამ განმარტებამ ავთანდილს, რომელსაც ეს ქაჯნი ზღაპრული ავსულები, უხორციენი, თვლით უხილავი არსებანი ეგონა, დიდად ამაა, ნესტანის სიბრალულით მოკიდებული „ცუცხლი დაუესო“ და ტყვეების გათავისუფლების იმედი ჩაუხერგა („დიდად მიამნეს ამბავნი, სიტყვანი აწინდელანი“). ავთანდილმა მართებულად დაასკვნა: ვინაიდან ნესტანი რეალურ ადამიანებს ჰყოლიათ ტყვედ, მათთან ბრძოლა და ტყვეების გათავისუფლება შესაძლებელია. იქნებ, ვინმემ იფიქროს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ქაჯთა ზღაპრულობა თითქმის ჩანდეს 1247-ე სტროფის უკანასკნელ ტაქტებში:

„...ყოველთა კაცთა მადნენი,
იგი არვისგან ვნებულნი,
მათი შემბმელნი წამოვლენ,
დამბრძოლნი, დაწბილებულნი“.

საქმე ისაა, რომ ამის საფუძველს არ გვაძლევს ზემოთხსენებული ტაქტის შინაარსი. პოემის მიხედვით, ქაჯი მეომრები სამხედრო ხელოვნების მაღალ ტექნიკას ფლობენ, აქვთ სხვა სალხათათვის უცნობი საბრძოლო საშუალებანი (მაგალითად, იყენებენ დამაბრძოლებელ ნივთიერებას და

ა. შ.), სალ კლდეებში ჩასაფრებულან
 („კლდის ქალაქში“ ცხოვრობენ), მათ
 მტრის მახვილისაგან იცავს არა მარტო
 ლითონის აბჯარი და მაღალი მეომრული
 ოსტატობა, არამედ ფრიალ სიამელო
 კლდოვანი საფრები და ხელოვნური სა-
 მალაგები; მიუვალი კლდეებიდან მტერს
 შორიდანვე ხედავენ და ადვილად აზი-
 ნებენ, თაფლამსხმელნი კი მომგერიებელთ
 ან სრულებით ვერ ხედავენ ან ბუნდოვ-
 ნად. ასეთ პირობებში საცხებით შესა-
 ლებელია, რომ ქაჯი მეომრები მრავალ-
 გზის უვნებლად დარჩენილიყვნენ, ხოლო
 მტრები დაბრმავებულნი და შერცხვე-
 ნილნი („დაწბილებულნი“) უკუეჭეციით.
 მაშ, როგორ გაიმარჯვეს ქაჯებზე ტარი-

ელმა და აეთანდღილა? ნესტან-დარეჯანის
 განთავისუფლებისათვის ბრძოლაში, რო-
 გორც პოემიდან ჩანს (124, 125, 126, 127, 1313, 1320, 1386). არც ერთი
 გარძნეული (რთულ სამხედრო ტექნიკას
 დაუფლებული) ქაჯი მეომარი არ მონა-
 წილეობდა. ისინი მეფე დედოფლებს
 სხვა ქვეყანაში ახლდნენ.

ამრიგად, ჩვენი აზრით, საბოლოოდ და-
 დასტურდა აკად. კ. ყუედიძის მოსაზრე-
 ბა, რომლითაც სიტყვა „ქაჯი“ პოემაში
 ნახვარია ორგვარი მნიშვნელობით: ერთი
 მხრივ, როგორც ზღაპრულ-ფანტასტიკუ-
 რი, მითოლოგიური არსება გამომატ-
 ველი ცნება, ხოლო მეორე მხრივ, რეა-
 ლურად არსებული „ნამდვილი ადამი-
 ნის“ აღმნიშვნელი სახელი.



სისანა ჟორჟოლიანი

რუსთაველის სახელობის თეატრის გასვრდების გამო

რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრის გასვრდებმა ფართო კამათი გამოიწვია ბათუმელ თეატრისმოყვარულთა შორის. ათობით წლის განმავლობაში რუსთაველის თეატრმა შექმნა თეატრალური ხელოვნების დროულ-რომანტიკული პეიზაჟი. ეს იყო რომანტიკული თემის, მონუმენტური სცენური ფორმების, ძლიერი ემოციების თეატრი, სადაც გმირების, ამაღლებულებისა და ტრაგიკული გვერდითი იქმნებოდა პოეტურად განზოგადებული სახეები და ხასიათები, თეატრი, სადაც მსახიობის მეტყველება, ქეტი, მიმიკა, მოძრაობა კი დინამურად იყო შერწყმული სპექტაკლის ძირითად რიტმთან. რამდენიმე თეატრალური თაობის მიერ რუსთაველის თეატრის სცენაზე შექმნილი ტრადიციები საფუძვლად დაედო ჩვენი რესპუბლიკის ბევრი დრამატული თეატრის შემოქმედებას.

და აი, ამასწინანდელმა გასვრდებმა

შექმნა აზრი, რომ რუსთაველის თეატრმა უღალატა თავის ტრადიციებს, უპირველეს საბუთად კი მის რეპერტუარს ასახელებენ. დღესი სპექტაკლიდან, რომლებიც თეატრმა მაყურებელს უჩვენა, არც ერთი არ ყოფილა რომანტიკულ-გმირული, მის ნაცვლად შერჩეული იყო ფსიქოლოგიური დრამა, სატირა, პამფლეტი. ეს, რა თქმა უნდა, შემთხვევით არ ყოფილა. რუსთაველებების ყოველი აღზრდილი სპექტაკლი გამოჩნდილი იყო მაყურებლის ემოციაზე მაქსიმალური ზემოქმედებისათვის. სპექტაკლის იდეითა და სულისკვეთებით მის ასანთებად, „თუ მაყურებელი დარბაზს დრამა აღელვებული არ ტოვებს, მაშინ სპექტაკლი არ ვარგებულაო“, — ამბობდა რუსთაველის თეატრის ერთ-ერთი კოორდინატორი. ამიტომ კიდევ ბოლო რუსთაველის თეატრს რომანტიკული რეპერტუარი და მონუმენტური პოეტური სცენური ფორმებიც.

ახლა, როგორც ჩანს, თეატრმა შეცვა-



ლა მაყურებელთან კონტაქტის დამყარების დამკვიდრებელი ტრადიცია, რამაც თავი იჩინა მის ამჟამინდელ რეპერტუარშიც და რამდენადმე ზოგიერთი სპექტაკლის გამომსახველობით ფორმაც. მაგრამ როგორმა მიმდინარეობამაც არ უნდა იჩინოს თავი არტისტის თეატრში, ვიქტრობით, მისი ხელოვნება ყოველთვის იყო, არის და იქნება ღრმად პროფესიული, აღსავსე ჰუმანური და ზოგადასაკატბრიო იდეალებით.

ადამიანური ვნებები და იდეალები უკვდავო და მარადიულია ისევე, როგორც სამყარო, მზე, სიცოცხლე. არაფერს აძალუხს შეაჩეროს კაცობრიობის წინსვლა, ადამიანის სწრაფვა თავისი თავისა და სამყაროს უკიდვანოს სივრცეების შესაცნობად, რადგან შეუტყნობლისავენ სწრაფვაში, ცხოვრების მარადიულობაში, თავისი თავის სრულყოფისათვის. ბრძოლაშია სწორედ ადამიანის არსი, მილიონი წლების იქით, როდესაც გაჩნდა ადამიანი, მასთან ერთად გაჩნდა აზრიც. ვნებებიც, სურვილებიც და ასე დაიწყო კაცობრიობის ისტორიაც.

ამ იდეის კონცენტრირებაა ი. შტოკის ორმოქმედებაში პიესა „ღვთაებრივი კომედია“ (დადგმა რესპუბლიკის დამსახურებელი არტისტის ბ. კობახიძისა, მხატვრობა ქოჩიაკიძის, სლავინსკისა და ჩიკვაიძისა). ბუნებრივია, რომ როგორც რეჟისორი, ისე მხატვრები ვერ აცდნენ ცნობილი ფრანგი მხატვრის ჟან ვეფელის სამყაროს შექმნის გრაფიკული ციკლის გავლენას. ეპიზოდები გადაწყვეტილია სხარტად და მახვილგონიერად, სახეები კი ძალზე რელიეფურია.

რესპუბლიკის სახალხო არტისტ ე. მანჯგალაძის ბუნებრივი მონაცემები პირდაპირ ზედგამოჭრილი აღმოჩნდა შემოქმედი ღმერთის როლისათვის. მსახიობი შემოქმედის სახეს ქმნის მსუბუქი იუმორით: ღმერთი საქმოსანი მმართველი იყო, რომელმაც მოწყენილობისა და ხელქვე-

ითი ანგელოზების დაეინებელი პიესით შექმნა სამყარო და პირველი პიესის მას უყვარდა დიდება და გახიზნილი ავტორიტეტი. უშვებდა უამრავ შეცდომას, ამჟღავნებდა უმწიობას და ა. შ.

მოაზროვნე და ცინიკური ანგელოზის საინტერესო სახე შექმნა რესპუბლიკის დამსახურებელმა არტისტმა გ. გუგუცკორმა. მთავარად ანგელოზი ოსტატურად დახატა რესპუბლიკის დამსახურებელმა არტისტმა კ. საკანდილიძემ. კარგია მსახიობი კ. კავსაძე ადამიან როლში. უაღრესად ქალურია ნანა ფიარანშვილის ევა. სპექტაკლში გაკრიტიკებულა პატარა ადამიანური ვნებები, მაგრამ შემოქმედო ღმერთებიც უქალური აღმოჩნდნენ დაუთრგუნათ და შეეჩერებინათ დიდი ადამიანური ვნებები და იდეალები.

და თუ თვით შემოქმედმა ვერ შეძლო შეეხებოდა ადამიანის სწრაფვა დამოუკიდებლობისა და თავისუფალი შემოქმედებითი შრომისაკენ, როგორ განწირული უნდა იყოს ერთი მუშა მონოპოლისტთა სურვილი ბორკილებით და სახმჩოხლეებით ჩაახშონ მილიონობით ადამიანის ბრძოლა ეკონომიური, პოლიტიკური და პიროვნული თავისუფლებისათვის. ამ იდეას გაუსვა თეატრის კოლექტივმა ხაზი საერთაშორისო ლენინური პრემიის ლაურეატის ბერტოლდ ბრეტანის პიესაში „სამგროშოანი ოპერა“.

ბ. ბრეტანმა თავისი პიესის ობიექტად აირჩია კაპიტალისტური სამყაროს არა ზედაფენი, არა რომელიმე მახვილი სამრეწველო სინდიკატის ან ტრესტის მონოპოლისტები, არამედ ბიზნესის ყველას არც თუ ისე აღიარებული სფერო: მიწები მათხოვრების, ხოლო მეკპით: სისხლის სამართლის დამნაშავეთა განგაშტურულ კონცერტთა მეფეები არიან. ბიზნესის ეს ორი სახე არაფრით განსხვავდება ოფიციალური კაპიტალისტური სამყაროსაგან და ამდენად, ავტორის აზრით, კაპიტალიზმი უფრო დიდი დანაშაულია, ვიდრე ძარცვა და მკვლელობა. მხილველთა კა-

მეტაფიზიკური საზოგადოების მოძალადე, ბრეტონი აქვე იყენებს ბუტყუაზიულ საზოგადოებისა და პიროვნების დამოკიდებულების საკითხს.

მთელი სპექტაკლი განსჯალღვრა მოძალადე-მეტაფიზიკური საზოგადოების განწყობილებას განწყობილებითა და ბუტყუაზიულობით, დამდგმელმა რეჟისორმა რესპუბლიკის სახალხო არტისტმა დ. ალექსიძემ სპექტაკლი გაიზარა ეპიკურ-სტოლში, კარგად შიგნებულმა მსახიობთა ანსამბლი სწორად ახდენს ბუტყუაზიული საზოგადოების ტიპიზაციას. მათგან არ შეგვიძლია არ დავასახელოთ სახელმწიფო პოემის ლაურეატი რესპუბლიკის სახალხო არტისტი ემ. აფხაიძე (ბრაუნო), რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები რ. ჩხიკვაძე (მეკითი), მ. გიგეშაშვილი (პიჩეში) და თ. თარხნაშვილი (ქალბატონი პიჩეში), აგრეთვე ახალგაზრდა ნიჭიერი მსახიობები ლ. კახანაძე (ჯენი), მ. ლომიძე-პაჭკორია (პოლ პიჩეში) და ლ. ჭავჭავაძე (ლუსი).

შესანიშნავად დადგმული ცეკვები (ქორეოგრაფი ი. ზარეცკი), სიმღერა, დეკლამაცია, მსახიობთა პლასტიკურობა ხელს უწყობს სპექტაკლის იდეის ნათლად მიტანას მაყურებელში, ბ. ბრეტონის „სამგერომიანი ოპერა“ რუსთაველიანობა ააქვით რეჟისორს ბუტყუაზიული საზოგადოების წინააღმდეგ მიმართული მსახური პაფლეტი.

უსამართლობისა და მხაგვრელთა წინააღმდეგ ბრძოლა დაედო საფუძვლად გ. ნახუტკიშვილის ზღაპარ-კომედიას „ჭინჭრაქა“. იმ თეატრალურია, რომელმაც ხალხის თავისუფლების დიად თემებს მიუძღვნა არაერთი რომანტიკულ-გმირული სპექტაკლი, სრულად უჩვენებია „ჭინჭრაქას“ სტილი, თუმცა სპექტაკლი გადაწყვეტილია რეალიზტურად (დამდგმელი რეჟისორი რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი მ. თუმანიშვილი). პატარა სოფელი ბიჭო ჭინჭრაქა ცოცხალია, ცოცხალია მკვებარე მთებიც.

თა და საზრიანობით დაჩაგრული გლეხი უსამართლოდ მპყრობელ ბაყაყა გლეხს და დამარცხებს. ზღაპრის სიყრდენში თხოობის მანერა ძალზე ეროვნულია.

სპექტაკლში უხვადაა გამოყენებული ხალხური ინსტრუმენტი, იგავ-არაკები, რომლებიც ნაწარმოების დედა-არას ხსნიან. „ჭინჭრაქა“ — ეს არის სპექტაკლი — იგავ-არაკი.

მსახიობებმა შექმნეს დასამახსოვრებელი სცენური სახეები. შედეგად შეიძლება ჩათვალოს რესპუბლიკის სახალხო არტისტების მ. ჩახავას, ე. მანჯგალაძის, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის გ. გუგუშვილისა და მსახიობ ზ. კვერენჩილაძის მიერ აშენებული თანატოლით გამოკვეთილი მუღის, დივის, მგლისა და ტურის აღფრთხილებელი სახეები. კარგია აგრეთვე რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ვ. საყანდელიძე (ჭინჭრაქა), ბ. მარტინაშვილი (მზია), ნ. მარგველაშვილი (ბაყაყა დევი) და სხვ.

ცხოვრების რაობა, ადამიანის დანიშნულება საკითხს ეხება თეატრი ა. სულაქური პიესაში „წყალდიდობა“. მართალია, არ უნდა გვღაფდეთ, არ უნდა გვძულდეს, არ უნდა ვანგრევდეთ, მაგრამ სახამ ადამიანი არ განათავსდებულა, არ ამაღლებულა, არ შეუცნია თავისი „მე“. ამიტომ უნდა გვძულდეს, მოსაკლავი უნდა მოიკლას, დასანგრევი უნდა დაინგრეს, რათა აშენდეს ახალი და კარგი, ნათელი დაწმინდა, სამოსილი საჭირო ძლიერი ადამიანები, დიდი წყალდიდობა, განახლების ნამდვილი ნგრევა. ა. სულაქური გეინიენებს სამი ადამიანის სულბერ დრამას. კეთილი, ალალ მეთევზე ლალის არ ესმოდა ადამიანების, არც ადამიანებს ესმოდათ მისი. ერთ დღეს თვლი აცხილა და დაინახა, რომ მის ირგვლივ იყო მხოლოდ ტყე, იყავი, იყავი, უპატრონობა. მას არ შესწევს ძალა სხველათი იცხოვროს ქაობში, მაგრამ არც ბოძოლის უნარი აქვს და ვარბის, საფრთხილად და მარტოსულს საბ-

მოთა სინამდვილემ აპოკალიფსიკური გზაც და თავისი თავიც. ეს კია, მხოლოდ ოციოდე წლის შემდეგ იგრძნო მან მისი სიკეთე. პატარა ადამიანი იყო იგი, მაგრამ მის ირგვლივ გამეფებულ წყვედიანში მაინც არ უნდა გაქცეოდა საკუთარ თავს და იმ ადამიანს, რომელსაც ყველაზე მეტად ჰპირებოდა მისი სიყვარული, მისი სიკეთე, ახალგაზრდა ლაღოს როლს ასრულებს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი გურამ საღარაძე, მოხუც ლაღოს — რესპუბლიკის სახალხო არტისტი გიორგი საღარაძე. გურამ საღარაძის ახალგაზრდა ლაღო ტყეშია და მართალი და ცხადია. უფიქსი ტექნიკით მიჰყავს როლი გიორგი საღარაძეს. ეს არის მრავალნაცადი კაცის ფიქრებთან ჰიდილი. დრამატული პიროვნებით ჩატარა მან სცენა იულიასთან.

მხატვრული დამატებებში გამოიჩინევა რესპუბლიკის სახალხო არტისტის მედეა ჩახავას იულია და რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის კოტე მახარაძის სტეფანე. სწორად გადმოსცემს დრამატურგის ჩანაფიქრს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ბ. კობახიძე.

სპექტაკლი დადგა ახალგაზრდა რეჟისორმა ე. ევაძემ, მხატვრულად გააფორმა თ. მურვანიძემ. შავ და თეთრ ფერში გადაწყვეტილი დეკორაციების განწყობილება პირქუშია. ასეთია ცა წყალდიდობის წინ, ჩამოხურული და იღუმალი, მოლოდინითა და მრისხანებით სავსე. სპექტაკლი დადგმულია რეალისტურად, სცენური ეფექტების გარეშე.

თანამედროვეობას ასახავს ე. როზოვის ორმოქმედებიანი პიესა „ვახშობის წინ“ და თ. მამფორიას კომედია „მეტეხის ჩრდილში“. პირველში სტალინის პიროვნების კულტით გამოწვეული ზოგიერთი მანკიერი მხარეა გამოტანილი საშუაროზე. პიესა ოპტიმისტურად მთავრდება.

მოდის ლენინური იდეებით, რომელიც სტრუქტურით აღზრდილი ახალი თაობა, რომელიც აგრძელებს მიერ უმწიკვლოდ მოტანილ ახალი საზოგადოების შენების ესტაფეტას. ანუ — დასასრული არა მარტო ამ სპექტაკლის, არამედ თეატრის მიერ არჩეული თემის ფინალიცაა. ჩვენი თანამედროვეების შესანიშნავი სახეები შექმნეს რესპუბლიკის სახალხო არტისტმა ე. მანჯგალაძემ, რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტებმა სალომე ყანჩელმა და გიორგი გეგეჭკორმა, მსახიობებმა ზ. კვერცხილაძემ, ბ. მირიანაშვილმა, მ. თავაძემ და სხვ.

რუსთაველის სახელობის თეატრის კოლექტივი შემოქმედებით ძიებაშია. ხელოვნების ეროვნული ფორმა, რა თქმა უნდა, არ შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც რაღაც უცვლელი და მყარი. ისტორიული თავისებურებების გათვალისწინებით იგი ყოველთვის ვითარდებოდა და იცვლიდა სახეს. ჩვენი მიზანი არ არის გაეცავით, რამდენად გამძლე იქნება ქართული ხელოვნებისათვის რუსთაველის თეატრის ეს ახალი ტენდენცია. ამას დრო გვიჩვენებს. და მაინც, ჩვენი აზრით, რუსთაველის თეატრი მთლიანად მაინც ვერ უარყოფს რამდენიმე თეატრალური თაობის მიერ დღემდე მოტანილ რომანტიკული ხელოვნების დროშას, მით უმეტეს, რომ ამას წინათ ჟურნალი „თეატრი“ წერდა: „დღეს საბჭოთა თეატრი უნდა იყოს ისე რომანტიკული და აღმაფრთოვანებელი, როგორც არასოდეს წინათ, რადგან ჩვენი სოციალისტური ხელოვნების მოქალაქეობრიობა და მარად ჭაბუკური მგზნებარება საუკეთესო პასუხია ბურჟუაზიული სამყაროს ყველა ჯურის შემოფრთხილებული და გულგატრეებული, გამძლარი და გამოფიტული ობივაციონალიზმის“.



ამიკან კახიძე

ნითაღზიგუკიანი გუგუსი ზიჭუნაკში

1962 წელს ფიქვენარის ანტიკური ხანის ნაქალაქარის ტერიტორიაზე არქეოლოგიური კვლევა-ძიებისას იპოვეს წითელფიგურიანი გუტუსი, რომელზეც გამოსახულია კურდღელზე ძაღლით ნადირობის სცენა.

გუტუსი პატარა ზომის დახურული ჭურჭელია. მას იყენებდნენ ჭრაქებში ზეთის გადასასხმელად. ზედაპირისათვის რძის მისაწოდებლად და ა. შ. იგი წარმოადგენს სითხისათვის განკუთვნილ წრისებრი ძირიან დაბალ ჭურჭელს. რკალისებურად მოხრილი კედლები ქმნის ზემოდან ამოზრდილ მოხატულ მედალიონს. მედალიონის ცენტრალურ ნაწილში სფეროსებურად ჩაღრმავებული ოცნახვრეტეიანი ფილტრია. კორპუსზე კედლებისა და მედალიონის შეერთების არეში შეზრდილია ოდნავ დახრილი, ტუჩგადმოშლილი მღრი — გაფილტრული სითხის სადინარად. ბერძნულ თუ იტალიურ ნაწარმზე ასეთი მღრის ნაცვლად ზოგჯერ ვხვდებით რელიეფურად გამოყვანილ ლომის თავის გაბრუნებულს, რომლის დაღრმეული პი-

რიდან გადმოდიოდა სითხე. გუტუსის მღრის ახლოს, იმავე არეში გამოძერწილია რელიეფურად დაღარული რგოლისებური ყურის შიდა ზედაპირი. ძირი და ფილტრის არე დატოვებულია თიხისავე ფონზე, ხოლო დანარჩენი ნაწილები დაფარულია მოხატულობითა და წაბლისფრად განზავებული შავი ანტიკური ლაკით. თიხა კარგად გაცრილ-განღეჭილია და მალალ ტემპერატურაზე მოყვითალო-ვარდისფრადია გამომწვარი. ზომები ასეთია: სიმაღლე — ოთხი სანტიმეტრი, ძირის დიამეტრი — რვა, ფილტრისა — ოთხი, კორპუსისა — 10,2, მილთან ერთად კი 13,5 სანტიმეტრი.

გუტუსის მოხატულობა ნაწილობრივ დაზიანებულია, მაგრამ მაინც შესაძლებელია სიუჟეტის მთლიანად აღდგენა.

როგორც ცნობილია, ბერძნულ ლარნაქთმომხატველობაში სხვადასხვა დროს გაბატონებული იყო სხვადასხვა სტილი. ყველაზე ადრეულია ე. წ. გეომეტრიული სტილი, რომელიც დამახასიათებელია არქაული ხანისათვის. ე. წ. VI საუკუნის შუა წლებიდან იწერება ე. წ. შავფიგურ-



როანი სტილის მხატვრობა. ბერძენი კერამიკოსი მხატვრები გამოსახულებას გადმოსცემდნენ ქურჭლის ფონზე მოხატული შავი ლაქის სილუეტებით, ხოლო მომდევნო პერიოდში (ძვ. წ. V საუკუნის დასაწყისიდან) დიდ აღმავლობას მიღწეა მოხატულობის ე. წ. წითელფიგურაანმა სტილმა. ლაკით იფარებოდა ქურჭლის ზედაპირის დიდი ნაწილი, გარდა ფიგურისა, რომელიც თიხაზე ფონზე იყო დატოვებული. სწორედ ამ სტილის ნაწარმს განეკუთვნება ფიქვნარის გუბუსიცი. მოხატულობის თანმიმდევრობა ასეთია: მილსა და ყურს შორის გამოსახულია ლამაზად შესრულებული მოზრდილი პალმეტი. პალმეტის შემდეგ (მარჯვნივ) კედელი დაზოანებულია და ჭირს გამოსახულების გარკვევა. ამის შემდეგ იწყება კომპოზიციის ძირითადი ნაწილი: მონადირე ძაღლით თავდავიწყებით მისდევს კერძულს. ავტორს ეს სცენა ძლიერ დინამიკურად და მიმზიდველად გამოუხატავს. ორივე ფიგურა შესრულებულია ფაქიზად, დასრულებული სახით. სხეულის ნაკეთების რელიეფურად ჩვენების მიზნით ავტორს გამოუყენებია სხვადასხვა ფერის ლაკი (შავი, მოწითალო, წაბლისფრად გაწაფებული და ა. შ.), სხვადასხვა ზომის ხაზები და წერტილები. სიუჟეტი მთლიანობაში ქმნის რეალისტურ სურათს. ნაწილობრივ სქემატიზმი შეიმჩნევა ძაღლის უკანა კიდურების თათების მონახულობაში, რაც მემკვიდრეობით უნდა მომდინარეობდეს გეომეტრიული თუ აბრეული შავფიგურაანი სტილის მხატვრობიდან. მიუხედავად ამისა, გუბუსის აღნაგობა, მოხატულობის უშუალოება და პროპორციულობა ცხადყოფს, რომ ფიქვნარში აღმოჩენილი ქურჭლის სახით ჩვენ ხელთა გვაქვს ანტიკური ხანის ხელოვნების ერთ-ერთი საყურადღებო ნიმუში.

ანტიკურ ვახთმომხატველობასა თუ შენობათა გაფორმებაში პალმეტის გამო-სახულება ერთ-ერთი წამყვანი მოტივია.

პლასტიკურ ხელოვნებაში იგი გამოიყენებოდა თავისუფლო ფიგურებში შესავსებად. ზოგიერთ შემთხვევაში ლოდ სამი პალმეტია გამოსახული, ისე როგორც მხატვრობის სტილი. პალმეტის მოყვანილობაც ხშირად იცვლებოდა. ამიტომ ზოგჯერ მკვლევარნი არქეოლოგიურ ნივთს პალმეტის მიხედვითაც ათარილებენ. ფიქვნარის გუბუსის მსგავსი პალმეტები სწორედ ძვ. წ. IV საუკუნის I მეოთხედის ქურჭელზე გვხვდება. გარდა მოხატულობის, სიდიდისა და პალმეტის მოყვანილობისა, ფორმის მიხედვით ფიქვნარში აღმოჩენილი გუბუსის მსგავსი ქურჭელი ძირითადად ამ პერიოდის გულტურულ ფენებსა თუ სამარხებში მოპოვებული (ქერსონესისა და სხვ.).

ფორმითა და ქრონოლოგიურად თანაბართული, ფიქვნარში აღმოჩენილი გუბუსის მსგავსი გვხვდება აგრეთვე სხვადასხვა ქვეყნის მუზეუმებსა და კერძო კოლექციებში: ასე, მაგალითად, პოლონეთში დაცული გუბუსებიდან ფიქვნარის გუბუსთან ყველაზე ახლო დგას კ. ბულისის მიერ მოპოვებული ქურჭელი.

ამერიკის შეერთებულ შტატებში დაცული ანალოგიური ფორმის ქურჭლის ლომის თავის სეულბტურული გამოხატულება უშუალოდ დაკავშირებულია მედალიონზე მოხატულ ლომისავე ტანთან. ეს მეტად საყურადღებო დეტალია, რომელშიც აშკარად ჩანს ბერძნული სეულბტურისა და მხატვრობის შერწყმა. ასეთივე ქურჭელი გვხვდება სევრის მუზეუმში, რომელიც დამზადებულია სამხრეთ იტალიაში, კერძოდ კამპანიაში. იგი არა მარტო სტილისა და ფორმის მიხედვით, არამედ სიუჟეტიც მსგავსია ზემოთ აღწერილი ატიკური გუბუსებისა.

არანაკლებ საყურადღებოა ქურჭლის მოხატულობის მოტივიც. მასში, როგორც ხელოვნების ნიმუშში, მხატვარს გადმოცემული უნდა ჰქონოდა გარკვეული ესთეტიკური გრძნობები. საერთოდ, ნაღობა ჯერ კიდევ ქვის ხანის ადამიანის

სამეურნეო საქმიანობის დარგი იყო. ამიტომაც ზედა პალიოლითელი ადამიანის კლდეზე გრაფიკული მხატვრობის არაერთმა შედეგმა მოაღწია ჩვენამდე. რომლებიც სწორედ ნადირობის მიმზიდველ სიტყვებს გადმოგვცემენ. მართალია, ახალი ქუჩის ხანიდან მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის განვითარებასთან დაკავშირებით გარკვეულად იკვეთება მონადირეობის საზღვრები. მაგრამ იგი დიდხანს რჩებოდა მეურნეობის დამხმარე დარგად. თუნდაც ადამიანის სპორტული გატაცებას საგნად. ამიტომ არაა შემთხვევითი, რომ ანტიკური ხანის ბერძნულ ეპოქაში მხატვრობაში ხშირად გვხვებით მალაღობის გამომხატვლი ნადირობის სხვადასხვა სცენას. ძალზე დაკრძალული ბევრჯერაა გამოხატული მთელ რიგ კომპოზიციებში, განსაკუთრებით ანტიკურ კულტურაში დაკავშირებით. ჩვენს მიერ შესწავლილი მასალებიდან კერძოდ უნდა აღვნიშნავთ ნადირობის მოტივი გადმოცემულია გეომეტრიული სტილის არიზალებზე, რომელიც ძვ. წ. 657-650 წლებით თარიღდება, აგრეთვე შავ-ფიგურაჲ სტილის იონიურ ამფორზე, ათენის გროვენელ მუზეუმში დაცულ შავ-ფიგურაჲ ლეკიფზე (ძვ. წ. 500-490 წ.წ.).

კერძოდ უნდა აღვნიშნავთ ნადირობის მოტივი წარმოდგენილია გუტუსთან გენეტიკურად ახლო მდგომ ძვ. წ. V საუკუნის წითელფიგურაჲ ასელებზე. მოუნხენში დაცულ ასევე გამოხატულია მონადირეობის ძალზე, რომელიც მისდევს ერთ პატარა და მხოლოდ კერძოდ. ქრონოლოგიურად წინ უსწრებს, ხოლო სიუჟეტის მიხედვით დიდ სახალხოვეს იჩენს ფიგურაჲს, კერძოდ დ. სიმენსის მიერ 900-იან წლებში ქერხში აღმოჩენილი ასევე. ამჟამად ეს კერძო დაცულია ამერიკის შეერთებულ შტატებში. ასევე ერთ მხარეს გამოხატულია დოგერის ჯიშის მონადირეობის ძალზე, ხოლო მეორე მხარეს, რევერსზე კერძოდ, აღ-

წერილი ასევე თარიღდება ძვ. წ. V საუკუნის დასასრულით. ზემოთ აღვნიშნავთ ასევე შედეგებით, სცენის დაკრძალვის მიხედვით, ფიგურაჲს კერძოდ მონადირეობასთან უფრო ახლოს დგას ვენის ხელოვნების ისტორიის მუზეუმში დაცული პიქსიდის სახურავის გამოსახულება. ეს კერძო თარიღდება ძვ. წ. V საუკუნის დასასრულით.

როგორც მოტანილი მავალითები გვიჩვენებს, ბერძნულ კერამიკა-მხატვრობის ძალზე კერძოდ ნადირობის გადმოცემა ერთ-ერთი საყვარელი მოტივი ყოფილა. ასევე შემთხვევითი როდესაც ყოფილიყა მისი შემოტანა ძველი კოლხეთის ტერიტორიაზე. განსაკუთრებით ამ მხრივაა აინტერესო ეს კერძო. ადრე მოპოვებული სადა თუ ნაირ-ნაირი ჩუქურთმით შემკული შავლაქიანი კერამიკა. რომის კერამიკა. დიდძალი ამფორის ნატეხები, რომლებშიც წარმოდგენილია ეგვიპტური სამყაროსა თუ სხვა ქვეყნების მთელი რიგი ცენტრები, მრავალრიცხოვანი ნუმისმატიკური მასალები და სხვ., აშკარად უნდა მოწმობდნენ ფიგურაჲს მკვიდრთა საკმაოდ მაღალ საეკონომიკურ და კულტურულ ურთიერთობას მთელ რიგ ადრე დაწინაურებულ ქვეყნებთან. მოხატული თუ ნაირ-ნაირი ჩუქურთმით შემკულ კერძო საეკონომიკურ იმაზე მიგვითითებს, რომ უკვე ადრე ანტიკური ხანის ფიგურაჲს მოსახლეობაში გამოიყოფა ეკონომიკურად საკმაოდ დაწინაურებული ფენა, რომელიც თავისი ესთეტიკური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად იძენს მალაღობის ხელოვნებით შესრულებულ კერძოებს. ამ აზრს ისიც აძლიერებს, რომ 1962 წელს ფიგურაჲში მოპოვებული წითელფიგურაჲნი გუტუსი არცთუ ისე ხშირად გვხვდება ბერძნულ კერამიკულ წარმოებაში. ეს მკერძო საყურადღებო დეტალია ფიგურაჲს მოსახლეობის სოციალური განვითარების შესწავლისათვის.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 5/X 1964 წ. საბეჭდი 6, საგამომცემლო 5, თანახმა
შეკვეთის № 6093, ემ 00615, ქაღალდის ზომა 60X90, ტირაჟი 2.700.

* * *

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის კომიტეტის
მთავარბოლიგრაფმრეწვის ბათუმის სტამბა № 9 (ლუქსემბურგის, 22).

შპს 40 333.

0 7/260



ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

„ლიტერატურული აჭარა“

ОРГАН АДЖАРСКОГО ОТДЕЛЕНИЯ
СОЮЗА ПИСАТЕЛЕЙ ГРУЗИИ

ИНДЕКС 76118